

გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მეოთხე

ნაკვეთი I

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო

სიმონ ყაუხჩიშვილმა

თბილისი 1941

დაიბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის
საქართველოს ფილიალის განკარგულებით

თავმჯდომარე აკად. ნ. მუსხელიშვილი

რედაქტორი პროფ. ს. ჯანაშია

შინაარსი

იოანე ანტიოქელი	1
იაფეტის მოდგმა 2. – პომპეუსის ლაშქრობანი 3. – ბიზანტიის ჯარის რაოდენობა ლახზეთში 3.	
Chronicon Paschale	5
იაფეტის მოდგმა 6. – დედამიწის მოსახლეობა 9. – ცნობა კასპიის კარების შესახებ 10. – დედამიწის ქალაქები 11.– ლაზთა მეფე წათი 11. – ირანელების ლაშქრობა ლაზების წინააღმდეგ 14.	
თეოფილაქტე სიმოკატა	17
სტრატეგოსი ფილიპიკე და იპოსტრატეგოსი აფსიხი 19. – დაწყნარებული კოლხეთი 19. – ლაშქრობა სვანეთის წინააღმდეგ 21. – ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობა 565-572 წლებში 27. – მავრიკის ლაშქრობა სომხეთში 578 წელს 29. – ჰორმიზდას გამეფება ირანში 31. – ბარამის დამარცხება სვანეთში 32. – კავკასიის მთები 35. – ფოკას ტირანობა 36.	
თეოდოსი განგრელი	38
მაქსიმეს გადასახლება ლაზეთში 40. – ანასტასის თავგადასავალი ლაზეთში 44. – თეოდოსი განგრელის «მოგონებებიდან» 48.	
ეპიფანე კონსტანტინეპოლელი	57
ანდრია მოციქულის მიერ დამოძღვრილი ტომები და ადგილები 57. – ლაზეთის ქალაქი ტრაპიზონი 57. – სვანეთი, ფუსტა, აბაზგია, ჯიქეთი 58.	
გიორგი სინგლოზი	60
იაფეტის სამფლობელო 61. – იაფეტის მოდგმა 61. – ალექსანდრე მაკედონელი „კავკასიაში“ 64. – პომპეუსის ლაშქრობა ალბანიაში, იბერიაში და კოლხეთში 68. – 532-წლიანი მოქცევა 67. – კოლხეთის დაპყრობა რომაელთა მიერ 68. – კეისარ ტაკიტეს მოკვლა 69.	
თეოფანე ჟამთააღმწერელი	70
იბერიელთა და სომეხთა მოქცევა 75. – იოანე ოქროპირის გამეფება ბიჭვინტაში 76. – ფარსმან კოლხი 76. – ლაზთა მეფე წათე 77. – ირანელთა ლაშქრობა წათეს წინააღმდეგ 79. – იბერიელთა მეფე ძამანარძე 80. – ბულგარელ ტყვეთა გაგზავნა სომხეთსა და ლაზეთში 81. – ლაზები და პეტრას ციხე 84. – 562 წლის საზავო ხელშეკრულება 85. – ირანელების ლაშქრობა სვანეთის წინააღმდეგ 86. – ირაკლი კეისრის	

ლაშქრობანი 90. – ლაზები, აბაზგები და იბერიელები ირაკლის ჯარში 94.
– ირაკლი კვისარი საქართველოში 98. – იბერიელთა მთავარი ვარსა-
მუსე 100. – ფაზისის ეპისკოპოსი კვიროსი 101. – აჯანყება სომხეთში 102.
– არაბთა ლაშქრობა სომხეთში 102. – იბერიის კარები 103. – ხარკი
სომხეთიდან და იბერიიდან 108. – ბერიისა და სომხეთის დამორჩილე-
ბა 104. – ლაზეთის პატრიკოსი სერგი 105. – აბაზგია ლეონ ისავრიე-
ლის დროს 106. – ხაზართა ლაშქრობა სომხეთზე 114. – არაბთა ლაშ-
ქრობა თურქების წინააღმდეგ 115. – არაბები კასპიის კარებთან 115. –
„რკინის“ ციხის აღება არაბთა მიერ 116. – მაკარის წამება 116. –
მიწისძვრა კასპიის კარებთან 116. – თურქების გადმოსვლა კასპიის კა-
რებით 116. – თურქების შემოსევა იბერიაში 117.

გეორგოვა

IV

იოანე ანტიოქელი

იოანე ანტიოქელი (*Ἰωάννης Ἀντιοχένος*), წარმოშობით სირიელი, ქალაქ ანტიოქიიდან. ეკუთვნის VII საუკუნის სირია-პალესტინის მოღვაწეთა რიცხვს. მისი ბიოგრაფიული ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში შენახული შენიშვნების წყალობით შესაძლებელი ხდება იმის გამორკვევა, რომ მისი სამწერლო მოღვაწეობა ირაკლი კეისრის (610 – 641) ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

იოანე ანტიოქელის პიროვნებისა, და ეპოქის შესახებ დღესაც არ არის მიღწეული საბოლოო შეთანხმება მეცნიერთა შორის. ასე მაგ., C. E. Gleye (B Z II, 160) ფიქრობდა, რომ იოანე ანტიოქელი იყო იოანე მალალას ქრონიკის ავტორი. მეორე მხრით, XII საუკუნის პოეტ-კომპილატორის ცეცეს მიერ მოყვანილი ციტატების საფუძველზე თითქოს შესაძლებელი ხდებოდა იოანე ანტიოქელის მიკუთვნება XI საუკუნის მეორე ნახევრისათვის. მაგრამ იოანე ანტიოქელის ჩვენამდე მოღწეული ფრაგმენტებიდან და სხვა ისტორიკოსთა და ქრონოგრაფოსთა შედარებიდან ირკვევა, რომ იოანე ანტიოქელის ნაწარმოები VII საუკუნის თხზულება უნდა იყოს.

იოანეს ნაწარმოები წარმოადგენდა მსოფლიო ქრონიკას ადამიდან 610 წლამდე, კეისარ ფოკას გარდაცვალებამდე. კონსტანტინე პორფიროგენეტის ექსცერპტებში ამ ნაწარმოებს ეწოდება *Ἰστορικὴ χρονική*, ზოგჯერ პირდაპირ *Ἱστορία*, ხოლო სხვა, ამ ნაშრომის ნაწილების შემცველ, ხელნაწერებში *Ἀρχαιολογία* ან *Ἐκθεσις περὶ χρόνων καὶ κρίσεως κόσμου*.

წყაროებად იოანეს გამოუყენებია სექსტე იული აფრიკანე, ევსევი კესარიელი, ევტროპი, იოანე მალალა, პეტრე პატრიკოსი და სხვები (იხ. H. G e l z e r, Sextus Iulius Africanus und die byzantinische Chronographie [Lp. 1898], I 118, 228 და სხვაგან).

ტექსტის დამზადების დროს ხელთ გვექონდა:
Müllerus Carolus, Fragmenta Historicorum Graecorum (FHG), vol. IV, 535 – 622.

1. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1940, I.

De Boor carolus, Excerpta de insidiis (Iussu imp. Constantini Porphyrogeniti contexta), p. 58 – 150. Brl. 1905.

Buttner - Worbst, Excerpta de virtutibus et vitiis (Iussu Imp. Const. P. cont.), p. 164 – 206. Brl. 1906.

იაფეტის მოდგმა ¹.

Διμερίσθησαν. αὐτὸν φυλακιστῶν
 σὶ τῶν Νῶε. Καὶ ἔλαχεν ² ἡ φυλακὴ
 [τοῦ] Σήμ ἀπὸ Περσίδος καὶ
 [Βάκτρων] ἕως Εὐφράτου· ἡ δὲ
 τοῦ Χάμ ἀπὸ [Ῥινοκο]ρούρων
 τῆς Αἰγύπτου ἕως μέρους τῆς θύ-
 σεως, καὶ πᾶσαν τὴν Λιβύην, τὸν
 Νεῖλον τὸν λεγόμενον Χρυσορ-
 ρῶν ἕως Μαυριτανίας καὶ τῶν
 μεγάλης θαλάσσης τῆς Ἀδρια-
 ν[ῆς]. Ἡ δὲ τοῦ Ἰαφέθ ἀπὸ Μη-
 θίας τὴν ἐπὶ τὸν ἄρκτον ἕως
 Βριττανικῶν νήσων [καὶ] πάντα
 τὰ τοῦ πόντου ἔ...³ (ἐπὶ?) τὸν Δά-
 νουβιν [καὶ] τὸν Ἰάναϊν τοὺς πο-
 ταμούς, τὴν ἐπὶ Καυκάσια ὄρη
 καὶ Ἀβασγούς, ἀπὸ Τίγριδος
 καὶ ἕως τῆς Ποντικῆς θαλάσσης
 τὰ ἀπὸ... τὸν Ἰρῶν καὶ Κύπρον
 καὶ τὴν ἄ... (FHG IV, 541).

ფრგ. 2. ნოეს შვილთა ტომები
 შემდეგნაირად იყვნენ განაწილე-
 ბულნი. სემის მოდგმას წილად ხედა
 სპარსეთიდან და (ბაქტრელთა ქვეყ-
 ნიდან) ვიდრე ევფრატამდე. ქამის
 მოდგმას – ეგვიპტის რინოკორური-
 დან ვიდრე დასავლეთის მხარემდე,
 მთელი ლიბია, ქრიზოროად წოდე-
 ბული ნილოსი ვიდრე მავრიტა-
 ნიამდე, ჰერაკლეს სვეტებამდე და
 ადრიანეს დიდ ზღვამდე. ხოლო ია-
 ფეთის მოდგმას წილად ხედა მი-
 დიიდან ჩრდილო ნაწილი ვიდრე
 ბრიტანიის კუნძულებამდე, მთელი
 [მიწაწყალი] ე[ვქსინის] პონტოს
 გარშემო, მდინარე დანუბისა და
 ტანაისის გარშემო, კავკასიის
 მთებში და აბაზგების ქვე-
 ყანაში [მდებარე მიწაწყალი],
 ტიგრისიდან ვიდრე პონტოს ზღვამ-
 დე... როდოსი, კეიპროსი და...
 ტექსტი დაზიანებულია.

¹) ეს ნაწყვეტი მოთავსებულია XIV საუკუნის ხელთნაწერში (Codex Pa-
 risinus № 1630), მის იმ ნაწილში, რომელსაც სათაურად უწერია: *Ἀπὸ τῆς ἐκ-
 θέσεως Ἰωάννου Ἀντιοχείας τῆς περιχρόνου καὶ κτίσεως πόλεως ποιεμένης
 ὡς φησὶν, ἀπὸ βιβλίου Μωσέως, Ἀφρικανοῦ, Ἐσθιβίου, Παππίου καὶ Διδό-
 μου καὶ ἑτέρον;*

²) ხელთნაწერში *ἐλαβεν*.

³) ამ ადგილას ტექსტი დაზიანებულია; იქნებ, აქ უნდა ვიგულისხმოთ
Ἐθελίνου καὶ.

პომპეუსის ლაშქრობანი ¹

Μετὰ ταῦτα Ἄλβανούς ἠπέταξε καὶ τὸν βασιλέα τῶν Ἰβήρων Ἀρσάκην (l. v. Ἀρτάκην) φεύγειν ἠνάγκασε, καὶ τὴν μικρὰν Ἀρμενίαν Διωτάρη τῆς δυναστείας τῆς Γαλατίας ἐδωρήσατο, Ἄτταλόν τε καὶ Πυλαίμωνα ἐπὶ τὴν οἰκίαν ἀρχὴν τῆς Παφλαγονίας κατήγαγεν, ἐξεληλαμένους πρὸς τοῦ Μιθριδάτου, Κόλχοις τε ἐπίστησιν ἡγεμόνα (FHG IV, 563).

ფრგ. 70. [პომპეუსმა] ამის შემდეგ დაიმორჩილა ალბანელები, და იბერთა მეფე არსაკე (var. არტაკე) ² აიძულა გაქცეულიყო; მცირე არმენია აჩუქა გალატიის მმართველს დეიოტარეს 3; დააბრუნა მათსაკუთარ სამფლობელოში, პაფლაგონიაში, ატტალე და პილემენე, რომლებიც მითრიდატეს მიერ იყვნენ გამევებულნი, კოლხებსაც დაუყენა მეთაური ⁴.

ბიზანტიის ჯარის რაოდენობა ლაზეთში

Ἐπὶ μὲν γὰρ τῶν πρὸς αὐτοὺς βασιλείων [εἰς] ἐξακοσίας καὶ τεσσαράκοντα πέντε χιλιάδας μαχιμῶν ἀνδρῶν ἔ τῶν Ῥωμαίων

ფრგ. 218. იუსტინიანეს წინადროინდელი მეფეების დროს რომელთა ჯარის რაოდენობა აღწევდა ექვსას ორმოცდახუთ ათას მე-

¹) ეს ნაწყვეტი მოყვანილი აქვს ლექსიკოგრაფ ს ვ ი დ ა ს s. v. *Πομπήιος*, სადაც მოთხრობილია მითრიდატეს უკანასკნელი დღეების შესახებ, როდესაც მას, პომპეუსის მიერ მისი დამარცხების შემდეგ, აუჯანყდა მისი შვილი ფარნაკე (დაწვრილებით იხ. ქვემოთ, ს ვ ი დ ა ს „ლექსიკონიდან“ მოყვანილ ექსცერპტებში). მთელი ამ ნაწყვეტის მიკუთვნებას იოანე ანტიოქელისათვის მ ი უ ლ ე რ ი ასაბუთებს მისი მჭიდრო კავშირით კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ იოანე ანტიოქელის „ქრონიკიდან“ მოყვანილ ნაწყვეტთან (De insidis, ed. de B o o r, p. 70, Müllerus, FHG IV, 563).

²) ა პ პ ი ა ნ ე (II საუკ. ახ. წ.) უწოდებს მას *Ἀρτάκης* (Appiani Lib, de b. Mithridatico 103), ხოლო ე ვ ტ რ ო პ ი (IV ს. ახ. წ.) Artoces (Eutrop. VI, 14). როგორც ცნობილია, ქართულ წყაროებში მას ეწოდება არ ტ ა გ ი.

³) დ ე ი ო ტ ა რ ე. დუმნორიგის ძე, გალატიის მზართველი („ტეტარქი“), დამეგობრებული იყო პომპეუსთან, რომელმაც მას 63 – 62 წელს უბოძა მცირე არმენია, ამასთანავე ფარნაკიაცა და ტრაპეზუნტიც.

⁴) პომპეუსის მიერ კოლხეთში 63 წელს ჩაყენებული მეთაურის სახელს ჩვენი ავტორი არ იხსენიებს. ა პ პ ი ა ნ ე (Mithr. 114) მას არ ის ტ ა რ ქ ე ს უწოდებს (*εἰσὶν δὲ καὶ τετρακτὰς... καὶ Κόλχων Ἀριστάρχου δυνάστην*: ed. Parisilis Didot, 1877, გვ. 267). ე ვ ტ რ ო პ ი ც სწერს (VI, 14): Aristarchum Colchis regem imposuit („კოლხებს მეფედ დაუყენა არისტარქე“). ეს ის არისტარქეა, რომელიც კოლხეთში საკუთარ ფულსა სჭრიდა წარწერით: *Ἀριστάρχου τοῦ ἐπι Κολχίδος* (H e a d, Historia Nummorum 423).

ἐκδουλοῦντο στρατός· Ἰουστινιανὸς δὲ μόλις εἰς ἑκατὸν καὶ πενήκοντα περιέστησεν· Ὅστε μὴ ἔδυνασθαι ἐξαρκεῖν ἐν τῇ Λαζიკῇ καὶ Ἀρμενίᾳ καὶ Διβύῃ καὶ Γότθοις καὶ Ἰταλίᾳ (FHG IV, 622).

ბრძოლ კაცს, იუსტინიანემ კი ძლივს ასორმოცდაათი [ათასი] შემოიკრიბა, ასე რომ ეს ჯარი არც შეიძლებოდა ჰყოფნოდა ლაზეთში ი, არმენიაში, ლიბიაში, გუთების ქვეყანაში და იტალიაში ¹.

¹) ეს ცნობა ჩვენს ავტორს ამოღებული აქვს აგათიას „ისტორიიდან“ (V, 13; იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია III, 187) და ეხება 558 წლის ახლო ხანებს.

Chronicon Paschale

„პასქალური ქრონიკა“ (Chronicon Paschale) რომელსაც აგრეთვე Chronicon Alexandrinum Chronicon Constantinopolitanum ეწოდება, წარმოადგენს ბერძნულ-ქრისტიანულ ქრონოგრაფიას და შეიცავს „მსოფლიო ისტორიას“ ადამიდან ვიდრე 629

წლამდე (ახ. წ.), ნაშრომის სათაურია: Ἐπιτομὴ χρόνων τῶν ἀπὸ Ἀδάμ τοῦ πρωτοπλάστου ἀνθρώπου ἕως καὶ ἔτους τῆς βασιλείας Ἡρακλείου τῆς εὐσεβεστάτου καὶ μετὰ ὑπατείας ἔτους αὐτοῦ καὶ τῆς ἔτους τῆς βασιλείας Ἡρακλείου γένου Κωνσταντίνου τοῦ αὐτοῦ υἱοῦ Ἰνδικτιῶνος Γ΄

(„უამთა მოკლე აღწერა ადამითგან, პირველქმნილი ადამიანიდან, ვიდრე ყოვლად სათნო ირაკლის მეფობის მეოცე წლამდე და მისი ძის, კონსტანტინე ახლის ირაკლის¹, მეცხრამეტე იპატოსობის შემდეგ და მეფობის მეთვრამეტე წლამდე, ინდიქტიონსა მესამესა“). როგორც ამ სათაურიდან ჩანს, მოთხრობა მოტანილი ყოფილა 629 წლამდე („ირაკლის მეფობის მეოცე წლამდე“), მაგრამ ერთად-ერთ ხელთნაწერში (Cod. Vaticanus 1941), რომლითაც მოღწეულია ჩვენი ქრონოგრაფი, მოთხრობა წყდება პირველ ინდიქტიონზე (627 წელზე).

„პასქალური ქრონიკის“ ავტორი, როგორც ეს დღეს – წინააღმდეგ ძველ მკვლევართა P. Goar-ის (XVII ს.) და H. Hody-ს (XVII ს.) აზრისა – დამტკიცებულად ითვლება ჰ. გელცერის გამოკვლევის შემდეგ (H. G e l z e r, Sextus Iulius Africanus und die byzantinische Chronographie II, 138 – 176), ირაკლი კეისრის (610 – 641) თანამედროვე იყო, და „ქრონიკის“ შედგენაზე მას 630 – 640 წლებში უმუშავია.

„პასქალური ქრონიკა“ შედგენილია ძველი ქრონიკების მასალათა შეზავების გზით, ერთ-ერთი ძირითადი წყარო უძველესი პერიოდისათვის იყო სექსტე იული აფრიკანეს ქრონიკა;

¹) ირაკლი კეისრის შვილი ირაკლი, რომელსაც აგრეთვე კონსტანტინე ახალი (ὁ υἱὸς Κωνσταντίνου) ეწოდებოდა, თავისი მამის თანაკეისრად იყო 613 წლის 22 იანვრიდან.

²) მესამე ინდიქტიონი ხვდება 629 წელს.

შემდგომი ხანებისათვის კი ევსევი კესარიელის „საეკლესიო“ ისტორია“ და იოანე მალალას „ქრონოგრაფი“ (ხოლო მისი სრული რედაქციით). უკანასკნელი ხანების ამბები (600 იანი წლებიდან დაწყებული) ავტორს მოთხრობილი აქვს დაწვრილებით, ალბათ იმიტომ, რომ იგი ამ ამბების თანამედროვე იყო (K. Krumbacher², Geschichte der byz. Literatur, 337 – 339). – წელთაღრიცხვა, ჩვენი ავტორის მიერ ხმარებული, დაფუძნებულია ბიზანტიურს ერახე, იწყება 5507 წლის 31 მარტით (პირველად ეს წელთაღრიცხვა იხმარა ჩვენმა ავტორმა).

ტექსტი და თარგმანი დამზადებულია ჩვენ მიერ ლ. დინდორფის გამოცემის მიხედვით (Chronicon Paschale ad exemplar Vaticanum recensuit Ludovicus Dindorflus, 2 voll. Bonnæ 1832¹).

იაფეტის მოდგმა

Υἱὸν Ἰάφεθ τριτοῦ υἱοῦ Νῶε
φύλαξι δμοῦν² ἰδ'.

Γάμερ, ἐξ οἰ Κελταῖοι.

Μαγῶγ, ἐξ οἰ Ἀκυρτανοί. ἡ-
νὲς ἐκ τοῦ Μαγῶγ τοὺς Γῆθους
λέγουσι καὶ τοὺς Σαρμάτας καὶ
τοὺς Σκῦθας γεγενῆσθαι.

Μαδάι, ἐξ οἰ Βρετανοί.

Ἰωθᾶ, ἐξ οἰ Σπανοί οἰ³ καὶ
Τυράνιοι.

ნოეს მესამე ეაჟის, იაფეთის, შვილები თოთხმეტია, ამდენივეა მათი მოდგმა.

გამერი, რომლისაგანაც წარმოშობილნი არიან კელტები.

მაგოგი, რომლისაგანაც არიან აკირტანები. ზოგიერთები ამბობენ, რომ მაგოგისგან არიან წარმოშობილი გუთები, სარმატები და სკვითები.

მადაი, რომლისაგანაც არიან ბრეტანიელები.

იოია, მისგან არიან ესპანელები, რომლებსაც აგრეთვე ტირანიელები ეწოდებათ.

¹) დინდორფს გამოცემა შესრულებული აქვს ვატიკანის კოდექსის (V) საფუძველზე, ხოლო კრიტიკულ აპარატში ვარიანტები მოყვანილი აქვს რადერის გამოცემისა (R) და პარიზის გამოცემის (P) მიხედვით (Matthaeus Rader-მა პირველმა გამოსცა „ქრონიკა“ 1615 წელს მიუნქენის მოგვიანო და შერყვნილი ხელნაწერის მიხედვით, ხოლო პარიზის კორპუსში მოთავსებული გამოცემა ეკუთვნის დიუკანჟს, 1688 წელს).

²) *δμοῦν* გამოტოვებულია V-ში. – ³) *οἰ* გამოტოვებული V-ში; იპპოლიტე რომაელის (III საუკ.) „ქრონიკაში“ სწერია: Hiberi qui et Tyrreni.

Ἐλισά, ἐξ οὗ Μαυροί.
 Θοβέλ, ἐξ οὗ Μακουακοί¹.
 Μοσόχ, ἐξ οὗ Γετοῦλοι.
 Θηράς, ἐξ οὗ Ἄφροι.
 Ἀσχανάθ, ἐξ οὗ Μάζικες.
 Ῥιφάθ, ἐξ οὗ Ταράμαντες ἐξώ-
 τερσι.
 Θόργαγμα, ἐξ οὗ Βοράδες².
 Ἐρκα, ἐξ οὗ Βελτίονες.
 Θαρσεῖς, ἐξ οὗ Ταράμαντες
 ἐνώτεροι.
 Ῥόδιοι, ἐξ οὗ Ῥωμαῖοι οἱ καὶ
 Λατῖνοι.
 Εἰσὶν δὲ τὰ τοῦ Ἰάφεθ ἕθνη
 ἀπὸ Μηδίας ἕως τοῦ ἐσπερίου
 κατεσπαρμένα Ὠκεανοῦ βλέποντα
 τὰ πρὸς βορρᾶν οὕτως. Μηδοί,
 Ἕλληνες, Ἀλβανοί, Οὐβεννοί,
 Ἀρμένιοι, Δαυνεῖς, Κορζήνοί,
 Ἴππικοί, Παφλαγόνης, Ἰβήρες οἱ
 καὶ Τυράννιοι, Χάλυβες³, Κελ-

ელისა, რომლისაგანაც არიან
 მავრები.

თობელი, რომლისაგანაც
 არიან მაკუაკები.

მოსოხი, რომლისაგანაც არი-
 ან გეტულები.

თერასი, რომლისაგანაც არიან
 აფრები.

ასქანათი, რომლისაგანაც არიან
 მაზიკები.

რიფათი, რომლისაგანაც არიან
 გარეგანი ტრამანტები.

თორგარმა, რომლისაგანაც არი-
 ან ბორადები.

ჰერკა, რომლისაგანაც არიან
 ბელტიონები.

თარსები, საიდანაც არიან შინა-
 განი ტარამანტები.

როდიელები, საიდანაც არიან
 რომაელები, რომლებსაც აგრეთვე
 ლატინები ეწოდებოდათ.

იაფეთისაგან წარმოშობილი ტო-
 მები გაბნეული არიან მიდიიდან
 ვიდრე დასავლეთის ოკეანემდე და
 ჩრდილოეთის მიმართულებით შემ-
 დეგნაირად: მიდიელები, ჰელლინი-
 ბი, ალბანელები, უენები, არმენი-
 ელები, დავნები, კორზენები, ჰიპ-
 პიკები, პაფლაგონიელები, იბერე-

¹) ამათი ნამდვილი სახელი, სხვა ბერძენ და რომაელ ავტორთა გადმოცე-
 მით, არის Baquates, Bacuates *Βακουαται, Ουακουαται* – დასავლეთ მავრიტა-
 ნიაში მოსახლე ტომი (D e s s a u: RE II, 2851), თუმცა კლინიუსი (H. N.
 VI, 179) იცნობს ნილოსის ნაპირას ქალაქს Macua (ვარიანტი: Mascoa). – თ-
 ბ ე ლ ი ს ტომის შესახებ ძველი, ფრაგმენტულად შენახული, „ქრონიკა“ (*Ἐκλογὴ*
ἱστοριῶν ... διοχομένη μέχρι τῆς Ἀναστασίας βασιλείας) სწერს: *ἐκ δὲ τοῦ*
Θοβὲλ θόβηλοι, οἱ οὖν Ἰβήρες (იხ. Chr. Paschale, ed. Dindorfius, II, 237).

²) გიორგი სინგელოზის „ქრონოგრაფში ვკითხულობთ *Θόργαγμα*
ἐξ οὗ Ἀρμένιοι

³) *χάλυβες PV.*

ταῖσι, Σαυρομάται, Γάλλισι, Ταύ-
 ριοι, Βάσαντες, Ἰλλυριοί, Οὐακ-
 καῖοι, Δίγυρες, Ἰάπυρες, Γαγγη-
 νοί, Λατῖνοι οἱ καὶ Ῥωμαῖοι,
 Ἀμαζόνεις, Λιγυστανοί, Δεναγγη-
 νοί, Ἀκύνιοι, Μαριανδονί, Κυρ-
 τιανοί, Μοσσύνιοι, Κόνιοι,
 Μαιῶται, Καλαβροί, Θράκες, Γάλ-
 λοι οἱ καὶ Κελτίβηρες, Μακεδό-
 νες, Ἰλλυριοί, Ἰστροί, Λυσιτά-
 νιοι, Ἑβραῖοι, Βρεττανοί, Κῶλοι.

Οἱ δὲ ἐπιστάμενοι αὐτῶν γράμ-
 ματὰ εἰσιν οὗτοι. Καππάδοκες,
 Ἰβήρες οἱ καὶ Τυράνσιοι, Ταβα-
 ρινοί, Λατῖνοι οἱς χρῶνται οἱ
 Ῥωμαῖοι, Σαρμάται, Σπανοί,
 Σκύθες, Ἑλληγες, Βασταρνοί,
 Μηδοί, Ἀρμένιοι.

Ἔστιν δὲ κατὰ μῆκος¹ τὰ ὅρια
 αὐτῶν ἀπὸ Μηθίας ἕως Γαδεί-
 ρων βλέποντα πρὸς βορρᾶν, εὐρος
 δὲ ἀπὸ Ποταμίδος ποταμοῦ ἕως
 Μαστουσίας τῆς καθ' ἡλίον. αἱ δὲ
 χῶραι αὐτῶν εἰσι κατὰ τὰς φυ-
 λὰς αὐτῶν αὗται. ἢ Λυχνίτις, Μη-
 θία, Ἀδριακὴ, ἀφ' ἧς τὸ Ἀδρια-
 κὸν πέλαγος, Ἀλβανία, Γαλλία,
 Ἀμαζόνις, Ἰταλία, Ἀρμενία μικ-
 ρά τε καὶ μεγάλη, Θουσκηνή,

ბი, რომლებსაც აგრეთვე ტირან-
 ნიელები ეწოდებათ, ხალიბები,
 კელტები, სავრომატები, გალლები
 ტავრელები, ბასანტები, ილიორიე-
 ლები, უაკველები, ლიგვირები, ია-
 პიგები, გაგენები, ლიტინები, რომ-
 ლებსაც აგრეთვე რომაელები ეწო-
 დებათ, ამაზონელები, ლიგისტანები,
 დენნაგენები, აკვიტინები, მარიან-
 დინები, კვირტიანები, მოსინიკე-
 ბი, კონნიელები, მეოტები, კალაბ-
 რები, თრაკიელები, გალლები,
 რომლებსაც აგრეთვე კელტიბერე-
 ბი ეწოდებათ, მაკედონელები, ილ-
 ლირიკები, ისტრები, ლისიტანები,
 ერრები, ბრეტანიელები, კოლები.

ხოლო საკუთარი დამწერლობა
 აქვთ: კაპადოკიელებს, იბერებს,
 რომლებსაც აგრეთვე ტირანნიე-
 ლები ეწოდებათ, ტაბარინებს, ლა-
 ტინებს, რომლებითაც სარგებლო-
 ბენ რომაელები, სარმატებს, ეს-
 პანელებს, სკვითებს, ჰელლინებს,
 ბასტარნებს, მიდიელებს, არმენიე-
 ლებს.

მათი მიწაწყალი გაჭიმული არის
 სიგრძეზე მიდიიდან ვიდრე ლადირ-
 თამდე, ჩრდილოეთისაკენ, ხოლო
 სიგანეზე მდინარე პოტამიდიდან
 ვიდრე მასტუსიამდე, აღმოსავლე-
 თისაკენ. მათი ქვეყნები ტომების
 მიხედვით ასეთია: ლიხნიტისი, მი-
 დია, ადრიაკე, საიდანაც მოდის
 სახელწოდება ადრიაკის ზღვა, ალბა-
 ნია, გალლია, ამაზონისი, იტალია,
 არმენია დიდი და მცირე, თუსკენე,

1) *Κολχοί* გამოტოვებულია V-ში.

Καππαδοκία, Λυσιτανία, Παφλαγονία, Μεσσαλία, Γαλατία, Κελτίς, Κολχίς¹, Σπανογαλλία, Ἰνδική, Ἰβηρία, Ἀχαιία, Σπανία ἢ μεγάλη, Βοσπορηγὴ, Μαιώτις, Δέβρις, Σαρματίς, Ταυριανίς, Βασταρνίς, Σκυθία, Θράκη, Μακεδονία, Δελματία, Κολχίς, Θετταλίς, Λοκρίς, Βοιωτία, Αἰτωλία, Ἀττική, Ἀχαιία, Πελοπόννησος, Ἀκαρ[να]νία, Ἠπειρώτις, Ἰλλυρίς (CB 46—48).

კაპპადოკია, ლისიტანია, პაფლაგონია, მესსალია, გალატია, კელტისი, კოლხიდა, სპანოგალოია, ინდოეთი. იბერია, აქაია, დიდი ესპანეთი, ბოსპორენე, მეოტისი, დერრისი, სარმატია, ტავრიანისი, ბასტარნისი, სკვითია, თრაკია, მაკედონია, დელმატია, კოლხისი, თეტტალიისი, ლოკრისი, ბეოტია, ეტოლია, ატტიკა, აქაია, პელოპონესი, აკარნანია, ეპიროტისი, ილლირისი.

დედამიწის მოსახლეობა

Τὰ δὲ ἔθνη ἃ διέσπειρε κύριος ὁ θεὸς ἐπὶ τῆς γῆς μετὰ τὸν κατακλυσμὸν ἐν ταῖς ἡμέραις Φαλέγ καὶ Ἰεκτάν τοῦ ἀδελφοῦ αὐτοῦ τῆς πυργοποιᾶς, ὅτε συνεχύθησαν αἱ γλῶσσαι αὐτῶν, ἔστιν ταῦτα. α' Ἑβραῖοι οἱ καὶ Ἰουδαῖοι, β' Ἀσσύριοι, γ' Χαλδαῖοι... ιγ' Κάσπιοι, ιδ' Ἀλβανοί, ιε' Ἰνδοὶ πρῶτοι, Ἰνδοὶ δεῦτεροι, ...κζ' Σαρμάται, κη' Φοίνικες, κθ' Σύροι, λ' Κίλικες, κα' Καππάδοκες, λβ' Ἀρμένιοι, λγ' Ἰβηρες, λδ' Βεβρανοί, λε' Σκύθες, λς' Κόλχοι, λζ' Σάνιοι, λη' Βοσποριανοί, λθ' Ἀσιανοί... να' Βέσσοι, νβ' Δάρδανοι, νγ' Σαρμάται, νδ' Γερμανοί (CB 56—57).

შემდეგნი არიან ის ტომნი, რომელნიც განაბნივნა უფალმა ღმერთმა დედამიწახე წარღვნის შემდეგ ფალეგისა და მისი ძმის იექტანის დღეებში, გოდლის აშენებისას, როდესაც აირივნენ მათი ენები: ა' ებრაელები, ანუ იუდეელები, ბ' ასირიელები, გ' ქალდეველები... იგ' კასპიელები, იდ' ალბანელები, იე' პირველი ინდოელები, მეორე ინდოელები... კზ' სარმატები, კლ' ფინიკიელები, კთ' სირიელები, ლ' კილიკიელები, ლა' კაპპადოკიელები, ლბ' არმენიელები, ლგ' იბერიელები, ლდ' ბებრანები, ლე' სკვითები, ლვ' კოლხები, ლზ' სანნიები, ლწ' ბოსპორანეზი, ლთ' ასიანები...

ნა' ბესები, ნბ' დარდანები, ნგ' სარმატები, ნდ' გერმანელები...

1) *Κολχοί* V.

ცნობა კასპიის კარების შესახებ

Δέον γνῶναι καὶ τὰ κλίματα τῶν ἀγνώστων ἐθνῶν καὶ τὰ ὀνομαστά ὄρη καὶ τοὺς ἐπισήμους ποταμούς. ἀρξομαι διαγράφειν περὶ τῶν ἐθνῶν ἀπὸ τῆς ἀνατολῆς καὶ μέχρι δὴσσεως ὄπως οἰκοῦσιν.

Ἄδιαβηγοὶ καὶ Ταϊανοὶ πέραν οἰκοῦσι τῶν Ἀράβων.

Ἄλαμοσσυνοὶ ἐσώτεροί εἰσιν τῶν Ἀράβων.

Σακκηγοὶ πέραν τῶν Ταϊανῶν.

Ἄλβανοὶ πέραν τῶν Κασπιανῶν πλῶν οἰκοῦσιν.

Πέραν τῶν Καππαδοκῶν εἰς τὰ δεξιὰ οἰκοῦσιν Ἀρμένιοι καὶ Ἰβηρες¹ καὶ Βερρανοὶ καὶ Σκύθες καὶ Κόλχοι καὶ Βοσποριανοί. οἱ δὲ καλούμενοι Σάλλισι, οἱ καὶ Σανίται κεκλημένοι, οἱ ἕως τοῦ Πόντου ἐκτείνοντες ὅπου ἐστὶν ἡ παρεμβολή Ἄψαρος² καὶ Σεβαστόπολις καὶ ὁ Ἰσσοῦ λιμῆν καὶ Φᾶσις ποταμός. ἕως τοῦ Τραπεζοῦντος ἐκτείνει τὰ ἔθνη ταῦτα.

საჭიროა აგრეთვე გავეცნოთ უცნობ ტომთა ადგილებს, ცნობილ მთებს და შესანიშნავ მდინარეებს. დავიწყებ ტომთა აღწერით აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მათი ბინადრობის კვალობაზე,

ადიაბენები და ტაიანები ცხოვრობენ არაბების გადაღმა.

ალამოსსინები არაბთა მახლობლად არიან.

საკკენები ტაიანთა გადაღმა.

ალბანელები ცხოვრობენ კასპიის კარების გადაღმა.

კაპადოკიელთა გადაღმა, მარჯვნივ, ცხოვრობენ არმენიელები, იბერები, ბერანები, სკვითები, კოლხები და ბოსპორელები. ხოლო მიწაწყალი ეგრეთწოდებული სალებისა, რომელთაც სანიტებსაც ეძახიან, პონტომდე აღწევს, სადაც არის ბანაკი აფსაროსი, სებასტოპოლისი, ისესე ნავთსადგური და მდინარე ფაზისი; ეს ტომები აღწევენ ტრაპეზუნტამდე (CB 60 – 61).

1) Ἰβηρες V. – იპოლიტეს „ქრონიკაში“ სწერია: Hiberii, Irrani, Scytae Golchi, Bosforani, Suni qui appellantur Sunnices usque Pontum extendente,s (Chr. Pasch. II, 247).

2) Ἄψαρος ბერძნულ წყაროებში ხშირად გვხვდება (იხ. ჩვენი „გეორგიკა“ II, 94, 96 და III, 82, 83). იმით აღინიშნება ქალაქი შავი ზღვის ნაპირას, კოლხიდაში, ბიზანტიის საზღვრების მახლობლად. ჩვენს ტექსტში მას ეწოდება *παραμβολή* („ბანაკი“); ამ სიტყვით აღინიშნებოდა ისეთი ბანაკი, რომელსაც იმპერიის საზღვრებისათვის უნდა ეგდო ყური. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთს, იმპერიის საზღვრის მახლობლად მდებარე, ქალაქში იყო მოწყობილი მთავარი სატუსალო, სადაც ათავსებდნენ სახელმწიფო დამნაშავეებს; აგათიან მოგვითხრობს (III, 14), რომ გუბაზ მეფის მკვლელები იოანე და რუსტიკე «ქალაქ აფსარუნტში გააგზავნა და იქაურ სატუსალოში დაამწყვდევინა» სენატორმა ათანასიმ (გეორგიკა II, 83 – 83). – ანდრია მოციქულის შესახებაც მოთხრობილია, რომ ის ჰქადაგებდა *καὶ ἐν πᾶσι τῇ μεγάλῃ, ὅπου ἡ παρεμβολή Ἄψαρος, καὶ Φᾶσις ποταμός* (Chr. P. II, 247).

დედამიწის ქალაქები

Ἐδοξέ μοι καὶ τὰς ἐπισήμους πόλεις τῶν ἑπτὰ κλιμάτων ἐξείπειν.

Ε'. Κλίματος πέμπτου πόλεις ἐπίσημοι Ἰταλίας Νεάπολις, Ῥώμη, Ποτίοιοι... Καππαδοκίας Κώμιανα, Ἀμάσεια, Καϊσάρεια, Μάζακα, Μηλιτίνη, Εἰκόσιον, Νικόπολις, Νεοκαისάρεια, Σάταλα, Ἀρμενίας μεγάλης Κολχίς.

ς'. Κλίματος ἕκτου Λογδοῦνος, Δαλματίας Σαλῶναι, Καππαδοκίας Τραπεζοῦντα (CB 62—64).

მე საჭიროდ მიმაჩნია დავასახელო აგრეთვე შვიდივე მხარის შესანიშნავი ქალაქები (მოსდევს ჩამოთვლა ქალაქებისა)... მეხუთე მხარის შესანიშნავი ქალაქები: იტალიისა – ნეაპოლი, რომი, პოტიოლი..... კაპპადოკიისა – კომანა, ამასია, კესარია, მაზაკა, მელიტინე, იკონიონი, ნიკოპოლი, ნეოკესარია, სატალა, დიდი არმენიისა – კოლხისი. მეექვსე მხარის ქალაქები: ლოგდუნე, დალმატიის სალონი; კაპპადოკიისა – ტრაპეზუნტი.

ლაზთა მეფე წათი

τῆς Ὀλυμπιάδος.
Ἰνδ. ιγ'. β'. ὑπ. Βιταλιανὸς καὶ Ῥουστικίου.
Ἰνδ. ιδ'. γ'. ὑπ. Ἰουστινιανὸς καὶ Οὐαλερίου.
Ἰνδ. ια'. δ'. ὑπ. Συμμάχου καὶ Βοηθίου.
Ἐν τούτῳ τῷ χρόνῳ Ἰζάθιος ὁ υἱὸς Ζαμνάζου¹ τοῦ Λαζῶν βασιλέως, ἢ μόνον ἔτελεύτα ὁ πατήρ αὐτοῦ Ζαμνάζης, εὐθέως ἀνηλθεν ἐν Κωνσταντινουπόλει πρὸς τὸν θειότατον βασιλέα Ἰουστινόν, καὶ ἑαυτὸν ἐκδεδωκῶς παρεκάλεσεν ἀναγορευθῆναι αὐτὸν βασιλέα Λαζῶν ὑπὸ τοῦ Ῥωμαίων βασιλέως, γινόμενον χριστιανόν, καὶ μὴ πρὸς συνήθειαν ὑπὸ τοῦ Περσῶν βασιλέως προχειριζόμενον ἀναγκασθῆναι αὐτόν, ὡς εἶπα

325 ოლიმპიადი².

ინდიქტიონი 13.2. ვიტალიანეს და რუსტიკეს კონსულობისას.

ინდიქტიონი 14.3. იუსტინიანეს და ვალერიანეს კონსულობისას.

ინდიქტიონი 15.4. სიმმაქეს და ბოეთის კონსულობისას.

ამ წელს ლაზთა მეფის ზამნაქსეს ძე წათი, როგორც კი მისი მამა ზამნაქსე გარდაიცვალა, მაშინვე ჩავიდა კონსტანტინეპოლში ღმრთეებრ მეფე იუსტინესთან. ამას ჩააბარა მან თავისი თავი და სთხოვა, რათა ის გაქრისტიანებული ყოფილიყო და ლაზთა მეფედ აღიარებული რომაელთა მეფის მიერ იმ მიზნით, რომ ის, ჩვეოლებისაგან სპარსელთა მეფის მიერ ხელდასხმული, იძულებული არ ყოფილიყო, ვითარცა ქვეშევრდომი და

1) Ζαμνάζου R, Ζαμνάζου V.— 2) უდრის 521 – 524 წლებს.

ὑποκείμενον καὶ παρ' αὐτοῦ προ-
χειριζόμενον βασιλέα, καὶ τὰς θυ-
σίας ποιῆσαι καὶ πάντα τὰ Περ-
σικὰ σεβάσματα. ἦν δὲ κατ' αὐτὸν
τὸν καιρὸν βασιλεὺς Περσῶν Κωά-
δης, καὶ παρὰ Πέρσαις ἐκράτει
ὥστε βασιλέως Λαζῶν τελευτῶν-
τος ἄλλον βασιλέα στέφεισθαι
τούτοις ὑπὸ τοῦ κατὰ καιρὸν βα-
σιλέως Περσῶν, τοῦ ἔθνους μέν-
τοι τῶν Λαζῶν ὑπάρχοντα. καὶ
δεχθεὶς ὁ Τζάθιος παρὰ τοῦ αὐ-
τοῦ βασιλέως Ἰουστίνου ἐφωτίσθη.
καὶ χριστιανὸς γενόμενος ἐγήμη
γυναῖκα Ῥωμαίαν, ἔκγονον Ὀνί-
νου¹ τοῦ πατρικίου τοῦ ἀπὸ κου-
ροπαλατῶν, Οὐαλεριανῆν. ἦν τινα
εἰς τὴν ἰδίαν αὐτοῦ χώραν λαβῶν
ἀπήγαγεν, προχειρισθεὶς καὶ στε-
φθεὶς βασιλεὺς Λαζῶν ὑπὸ τοῦ
αὐτοῦ Ἰουστίνου βασιλέως, φορέσας
στέφανον Ῥωμαίων καὶ χλαμύδιν²
ἄσπρον³ ἁλοσηρικόν, ἔχον⁴ ἀντι-
πορφυροῦ χρυσοῦν βασιλικὸν
τάβλιον, ἐν ᾧ ὑπῆρχεν ἐν μέσῳ
στηθῶν ἀληθινὸν μικρὸν τοῦ βα-
σιλικοῦ χαρακτήρος Ἰουστίνου
καὶ στιχῶν ἄσπρον παραγαῦδιν,
καὶ αὐτὸ ἔχον χρυσᾶ πλουμμία
βασιλικὰ ὡσαύτως φέροντα τὸν
χαρακτήρα τοῦ αὐτοῦ βασι-
λέως Ἰουστίνου. τὰ γὰρ τζαγγία
αὐτοῦ ἦν ἀπὸ τῆς χώρας αὐτοῦ
Ῥουσαῖα, Περσικῶν σχήματι, ἔχον-
τα μαργαρίτας ὁμοίως δὲ καὶ ἡ
ζώνη αὐτοῦ ὑπῆρχεν διὰ μαργα-

მის მიერ ხელდასხმული მეფე,
მსხვერპლებიც შეეწირა და ყოველ-
გვარი სპარსული წესებიც შეესრუ-
ლებინა. ამ დროს სპარსელთა მე-
ფედ კოადი იყო, და სპარსელებში
მიღებული იყო, რომ როდესაც
ლაზთა მეფე გარდაიცვლებოდა,
სპარსელთა მაშინდელი მეფე მათ
სხვა მეფეს დაუყენებდა, რასაკვირ-
ველია ისეთს, რომელიც ლაზთა
ტომიდან იყო. ის ბრწყინვალედ
იქმნა მიღებული თვით მეფე იუს-
ტინეს მიერ: ის გაქრისტიანდა და
ცოლად შეირთო რომაელი ქალი,
პატრიკიოსისა და აპოკუროპალა-
ტის ონინეს ქალიშვილი, სახელად
ვალერიანე. ეს მან წაიყვანა და წა-
ვიდა საკუთარ ქვეყანაში, ლაზთა
მეფედ ხელდასხმული და დაგვირ-
გვინებული თვით იუსტინე მეფის
მიერ; მას ემოსა რომაელთა გვირ-
გვინი და თეთრი წმინდა აბრეშუ-
მის ქლამიდი, რომელსაც მოწეუ-
ლი ზოლის ნაცვლად ჰქონდა ოქროს
სამეფო ზოლი, სადაც შუაში მო-
თავსებული იყო იუსტინე მეფის ძა-
ლიან პატარა სურათი წელს ზე-
ვით, და აგრეთვე თეთრი სტიქა-
რი-პარაგავდი – ამასაც ჰქონდა
სამეფო ოქრომკედლები – აგრეთვე
თვით იუსტინე მეფის გამოხატუ-
ლებით. მისი წალემა – მისივე ქვეყ-
ნიდან ჩამოტანილი – წითელი ფერი-
სა იყო, სპარსულ წესზე მარგალი-
ტებით შემკული: ამგვარადვე მისი
სარტყელიც მარგალიტებით იყო

1) *Nόμου Malalas*, ὁμοῦ თეოფანეს ზოგიერთ ხელთნაწერში.

2) *χλαμύδην (χλανίδην) PV*. — 3) *ἄσπρον R*. — 4) *ἔχων PV*.

ριτών. ἔλαβεν δὲ παρὰ τῶν βασι-
λέως Ἰουστίνου δῶρα πολλά καὶ
αὐτὸς καὶ γυνή αὐτοῦ Οὐαλε-
ριανή, ὡς ἄπαξ ἀναγκασθεῖσα
ἦτοι προτραπείσα γαμηθῆναι αὐ-
τῷ εἰς ἄλλα βασίλεια.

Καὶ γούς τοῦτο Κωάδης βασι-
λεὺς Περσῶν ἐδήλωσεν διὰ πρεσ-
βυτοῦ τῷ βασιλεῖ Ἰουστίνῳ ταῦτα,
ὅτι Φιλίας καὶ εἰρήνης μεταξὺ ἡμῶν
λαλουμένης καὶ γινόμενης τὰ ἐχθ-
ρῶν πράττει, ἰδοὺ γὰρ τὸν ὑποκεί-
μενόν μοι βασιλέα Λαζῶν αὐτὸς
προεχειρίσω, μὴ ὄντα ὑπὸ τῆν
Ῥωμίων δουλείῃσιν, ἀλλ' ὑπὸ τῶν
Περσῶν τάξιν ἐξ αἰῶνος, καὶ πρὸς
ταῦτα ἀντεδήλωσεν αὐτῷ ὅ αὐ-
τὸς βασιλεὺς Ἰουστίνος ταῦτα.
Ἡμεῖς τινα τῶν ὑποκειμένων τῆ
σῆ βασιλείᾳ οὔτε προσελαβόμεθα
οὔτε προετρέψαμεν, ἀλλ' ἐλθόν-
τις ὀνόματι Τζάθιος εἰς τὰ ἡμέ-
τερα βασίλεια ἐδεήθη προσπί-
των ἡμῖν ῥασθῆναι μουσάρου τι-
νος καὶ ἐλληγνικοῦ δόγματος καὶ
ἀσπερών θυσίων καὶ πλάνης δαι-
μόνων ἀδίκων, καὶ χριστιανὸς
γενέσθαι ἀξιούμενος τῆς δυνά-
μειος τοῦ αἰωνίου καὶ ἐπουρα-
νίου θεοῦ καὶ δημιουργοῦ τῶν
ἀπάντων, καὶ κωλύσαι τὸν βου-
λόμενον εἰς τὸ βέλτιον ἐλθεῖν καὶ
γινῶναι θεὸν ἀληθινὸν οὐκ ἐνεδέ-
χεται. ὅθεν χριστιανὸν αὐτὸν γενό-

შემკული¹. იუსტინე მეფისაგან
დიდძალი საჩუქარი მიიღო იმანაც
და ვალერიანემაც, მისმა ცოლმა,
როდესაც ის იძულებული თუ წა-
ქეზებული იყო გაჰყოლოდა მას
ცოლად უცხო სახელმწიფოში.

სპარსელთა მეფემ კოადმა ეს რომ
გაიგო, მან აცნობა იუსტინე მე-
ფეს ელჩის პირით შემდეგი: „იმ
დროს როდესაც ჩვენს შორის მე-
გობრობისა და ზავის შესახებ არის
შეთანხმება მიღწეული, შენ მტრულ
ნაბიჯებს სდგამ. აი, შენ თვითონ
აკურთხე ჩემი ქვეშევრდომი, მეფე
ლაზებისა, რომელიც რომაელთა
მმართველობის ქვეშ კი არ ყოფი-
ლა, არამედ ყოველთვის სპარსე-
ლებს ემორჩილებოდა“. ამაზე იუს-
ტინე მეფემ ასე უპასუხა: „ჩვენ შე-
ნი სამეფოს ქვეშევრდომთაგან არც
არავინ მიგვიკედლებია, არც წა-
გვიქეზებია, არამედ ერთი ვინმე,
სახელად წათი, ჩვენს სამეფოში
მოვიდა და ჩვენ წინ განრთხმულმა
გვთხოვა გვეხსნა ის რაღაც საძა-
გელი წარმართული სარწმუნოები-
საგან, უწმინდური მსხვერპლებისა-
გან და ბოროტი დემონების თარე-
შისაგან და გაგვექრისტიანებინა:
მას შეგნებული ჰქონდა უკვდავი და
ზეციური ღმერთისა და ყველაფრის
შემქნელის ძალა; და არ შეიძლე-
ბოდა ხელი შეგვეშალა იმისათვის,
ვინც მოისურვა უკეთეს წესზე მო-

¹) ლაზთა მეფის სამკაულის აღწერილობა იხ. იოანე მალალა (გეორ-
გიკა III, 265 და იქვე შენიშვნა), აგათიან III, 15 (გეორგიკა III, 84 და იქვე
შენიშვნა); შდ. აბრეთვე თეოფანე, ქრონოგრაფია (de Boor 168 – 169; იხ. ქვე-
მოთ ამავე წიგნში გვ. 74 – 75).

·μενον και ἀξιωθίνετα τῶν ἐπουρα-
·νίων μυστηρίων εἰς τὴν ἰδίαν ἀπε-
·λίσσαμεν χώραν (CB 612—615).

ქვეულიყო და ჭეშმარიტი ღმერთი
ეცნო. ასე რომ ის გაქრისტიანე-
ბული და ზეციურ მისტერიებს ზია-
რებული გავისტუმრეთ მის საკუთარ ქვეყანაში ¹.

ორანელების ლაშქრობა ლაზების წინააღმდეგ

ταζ' Ὀλυμπιάς.
Ἰνδ. ζ'. α'. ἡπ. Ἰουστινιανὸν
Αὐγούστου τὸ γ' μόνου.
Ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς κατὰ
τὸ πρῶτον ἔτος τῆς αὐτοῦ βασι-
λείας μὴν ἀύβουλιον κατὰ Ῥω-
μαίους ἰανουαρίῳ πρώτῃ, τῆς
ἕκτης ἐπιμεμήσεως, τοσαῦτα ἔβριψε
χρήματα καὶ παρέσχε πᾶσιν ὡς
οὐδεις βασιλεὺς ἕτερος ἡπατεύσας.
Τῶν αὐτῶν ἔτει Πέρσαι ἐπολέ-
μησαν Τζαμίρ τῶν Λαζῶν βασιλεῖ,
ὡς προσηρῆντι Ῥωμαίους, καὶ λοι-
πὸν ὁ αὐτὸς Τζαμίρος ἐπεμψε, καὶ
ἔδραμήθη τοῦ βασιλέως Ἰουστινα-
νοῦ καὶ τῆς Ῥωμαίων βοηθείας.
καὶ ἐπεμψεν αὐτῶν πλεῖστον στρα-
τιωτῶν ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς
καὶ στρατηλάτας τρεῖς, Βηλίσά-
ριον καὶ Κήρυκον καὶ Εἰρηγαί-
ον τὸν Πενταδίας, καὶ συνέκρου-
σαν πρόλεμον, καὶ πολλὰ ἔπεισαν
τοῦ Ῥωμαίων στρατοῦ, καὶ ἡγα-

327 ოლიმპიადი ².

ინდიქტიონი 6. 1. იუსტინიანე ავგუს-
ტის III კონსულობისას მარტო.

იუსტინიანე მეფემ თავისი მე-
ფობის პირველ წელს, ავდინეს თვე-
ში, რომაული იანვრის პირველს,
მეექვსე ინდიქტიონს, იმდენი ფუ-
ლი დახარჯა და გასცა ყველას,
რამდენიც არც ერთ სხვა მეფეს
არ გაუცია თავისი მმართველობის
დროს.

იმავე წელს სპარსელებმა ომი
გამოუცხადეს ლაზთა მეფეს წათის
რომაელების მხარეზე გადასვლისა-
თვის. და, აი, წათიმ კაცები გაუგ-
ზავნა იუსტინიანე მეფეს და სთხოვ-
და მას რომაელები მოეშველებინა.
იუსტინიანე მეფემაც გაუგზავნა მას
დიდძალი ჯარი და სამი სტრატე-
ლატი, ველისარი, კერკე და ირე-
ნე ³, პენტადიას მე. ომი გაჩაღდა,
რომაელთა ჯარიდან მრავალი დაი-
ღუპა ამ ომში. და იუსტინიანე მე-
ფე გაჯავრდა ამ სტრატელატებზე,

¹) მთელი ეს ნაწყვეტი ჩვენს „ქრონიკას“ თითქმის სიტყვა-სიტყვით აქვს
გადმოწერილი იო ა ნ ე მ ა ლ ა ლ ა ს ქრონოგრაფიდან (იხ. გეორგიკა III,
268 – 265).

²) 327 ოლიმპიადი უდრის 529 – 532 წლებს, თუმცა მეექვსე ინდიქტიონი
„ხვდება 527 წელს.

³) ეს იგივე ირენე არის, რომელიც იუსტინეს დროს ლაზეთში გაგზავნი-
ლად იხსენიება Procopius BP I, 12 (გეორგიკა II, 21).

νάκτησε κατὰ τῶν στρατηλατῶν
ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανός, ὅτι φθι-
νοσύντες ἀλλήλοις προσεδίδουν ἀλλή-
λους καὶ ἐγνώριζον κατ' ἀλλήλων
τῶν βασιλεῖ, καὶ διεδέξατο αὐτούς,
Πέτρον τοῦ στρατηλάτου τῶν ἀπὸ

რომ ისინი ერთმანეთის შურით
ერთი-მეორეს ჰღალატობდნენ ხოლ-
მე და მეფეს ერთმანეთის წინააღმ-
დეგ აცნობებდნენ, და შესცვალა
ისინი. როდესაც პეტრე¹, სტრა-
ტელატი და მეფის აპონოტარი²,

¹) ამ პეტრეს შესახებ დაწვრილებით მოგვითხრობს პროკოპი კესარელი. პეტრე შთამომავლობით არზანენიდან იყო. იუსტინეს მიერ ის ტყვედ იქნა წაყვანილი 506 წლის წინა ხანებში, ისწავლა გრამატიკულ სკოლაში და გახდა იუსტინეს მწერალი, *γραμματεὺς* (Procopius BP II, 15; გეორგიკა II, 47). ამ ტერმინით აღინიშნებოდა სხვადასხვა მოხელის თანაშემწე, მისი მდივანი ან კანცელარიის გამგე. რადგან ეს ეკუთვნის იმ ხანს, როდესაც იუსტინე „სხოლარიონთა კომისი“ (comes scholae candidatorum) პატივის მქონებული იყო და 503 წელს ამიდასთან იბრძოდა „სამსახურთა მაგისტროსის“ (magister officiorum) კელერი სხელქვევით, ხოლო შემდეგ იყო comes excubitorum, ასეთი პირის *γραμματεὺς* საკმაოდ დიდი თანამდებობისა უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც დიდი იყო თანამდებობა *βασιλικὸς γραμματεὺς*, რომელიც სტრატეგოსის უახლოეს თანაშემწეს წარმოადგენდა ჰელინიკური სამყაროს პროვინციებში, კერძოდ ეგვიპტეში, როგორც პტოლემეაიოსების ისე რომაელთა პერიოდისა, და ზოგჯერ მის მაგიერობასაც სწევდა (U. Wilcken, Gründzügenfund Chrestomathic der Papyruskunde I, 1, გვ. 11, 38; W. Schubardt, Einführung in die Papyrusforschung, Brl. 1918, გვ. 249). ამიტომ უწერია, უნდა ვიფიქროთ, პროკოპი ს, პეტრე იუსტინეს მწერალი იყო. შემდეგ, როდესაც იუსტინემ უფრო მაღალ თანამდებობებსა და პატივს მიაღწია (ის გახდა სენატორი, პატრიკიოსი და, ბოლოს, 518 წლიდან მეფე), ჩანს პეტრე დარჩენილა მის მდივანად (ძველი ტერმინოლოგიით *γραμματεὺς*, ხოლო ახლით – *νοτάριος*; DUCange, Glossarium mediae et infimae Graecitatis, გვ. 1004: *γραμματεὺς, ὁ καὶ νοτάριος, τῶν ἀποκριτῶν γραμμάτων*). ასეთი გამოთქმა ბევრგან გვხვდება): ამიტომ ამბობს ჩვენი „ქრონიკის“ ავტორი *τοῦ ἀπὸ νοταρίων τοῦ βασιλέως*. იუსტინეს დროსვე მას, როგორც პროკოპი (BP I, 12; II, 15) ამბობს, სტრატეგოსობა მიუღია და ლაზეთში უმსახურია, ხოლო იუსტინიანეს 528 წელს ის კვლავ გაუფავენია ლაზეთში, როგორც ეს აღნიშნულია ჩვენს „ქრონიკაში“ (და სხვა „ქრონოგრაფებშიც“). – „ქრონოგრაფები“ (Malalas, Chr. Pasch., Theoph.) პეტრეს უწოდებენ *στρατηλάτης*, ხოლო პროკოპი – *στρατηγός*. საზოგადო ხმარებაში ეს სიტყვები ერთი-მეორის მაგიერ გვხვდება; „ქრონოგრაფები“, ჩვეულებრივ, სტრატელატის ხმარებას ამჯობინებენ. *στρατηλάτης* სარდალს ნიშნავს (ისევე როგორც *στρατηγός*), მაგრამ VI საუკუნისათვის ამ ტერმინით აღინიშნება აგრეთვე უმაღლესი სამოქალაქო მოხელე, მმართველი გარკვეული ტერიტორიული ერთეულისა. ასე, პაპირუსების მიხედვით ჩვენ ვიცით, რომ ეგვიპტის პროვინციებში, VI – VII საუკუნეში, სარდლისა და სამოქალაქო მმართველის თანამდებობა გაერთიანებული იყო ერთი სახელწოდების ქვეშ *στρατηλάτης καὶ παγάρχης* RE (IV A, 255).

²) აპონოტარი (*ὁ ἀπὸ νοταρίων*) ეწოდება *νοτάριος* -ად ყოფილ პირს (იხ. წინა შენიშვნა).

νοταρίων τοῦ βασιλέως κατελιθόν-
τος καὶ ἀποκινήσαντος αὐτοὺς καὶ
λαβόντος τὰ ἐξέδωτα παρ' αὐτῶν,
καὶ συμβαλόντος τοῖς Πέρσαις
μετὰ τῶν Λαζῶν πολλοὺς κατέ-
κοιψαν Πέρσας¹ (CB 617—618).

იქ ჩავიდა, გადააყენა ისინი და
ჩაიბარა მათგან ჯარი, ლაზებთან
ერთად გაილაშქრა სპარსელთა წი-
ნააღმდეგ და მრავალი სპარსელი
გაჟლიტა.

¹) ეს ნაწევრები თითქმის სიტყვა-სიტყვითი განმეორებაა იო ა ნ ე მ ა-
ლ ა ლ ა ს თხრობისა (იხ. გეორგიკა III, 266 – 268); შდ. აგრეთვე თ ე ო რ ო ფ ა ნ ე ს
ქრონოგრ. 174 (de Boor; იხ. ქვემოთ ამავე წიგნში გვ. 76) და კ ე დ რ ე ნ ე
(CB, p. 643).

თეოფილაქტე სიმოკატა

თეოფილაქტე, მეტსახელად სიმოკატა (Θεοφιλάκτιος Σιμοκάττης), VII საუკუნის ისტორიკოსია. წარმოშობით იგი ეგვიპტელია¹, ცხოვრობს და მოღვაწეობს კონსტანტინეპოლში ირაკლი კეისრის დროს (610 – 641); ფოტიუსი (Bibl., cod. 65) გადმოგვცემს, რომ მას სჭერია ეპარქოზისა და მდივნის თანამდებობა (... Θεοφιλάρχου ἀπὸ ἑπαρχῶν καὶ ἀντιγραφέως).

თეოფილაქტეს კალამს ეკუთვნის საბუნებისმეტყველო ნაშრომი, ცნობილი Quaestiones physice-ს სათაურით, ეტიკურ-რიტორიკული წერილები და საისტორიო ნაშრომი (Ἱστορίαι). უკანასკნელი მოგვითხრობს მავრიკი კეისრის დროინდელ (582 – 602) ამბებს და, ამრიგად, წარმოადგენს მენანდრეს «ისტორიის» გაგრძელებას.

თეოფილაქტეს «ისტორია» შედგება რვა წიგნისაგან, რომელთაც წინ უძღვის რიტორიკული ზვიადობით შედგენილი „საუბარი“ (ἑπίλογος) ფილოსოფიასა და ისტორიას შორის და „შესავალი“ (προοίμιον).

წყაროებად თეოფილაქტეს გამოყენებული აქვს მენანდრეს და იოანე ეპიფანიელის «ისტორიები». თვით თეოფილაქტე კი უხვად ჰყავთ გამოყენებული თეოფანე ჟამთააღმწერელს (IX საუკ), კონსტანტინე პორფიროგენეტს (X საუკ.) და სხვებს.

ყურადღებას იქცევს თეოფილაქტეს ენა: იგი სავსეა რიტორიკული სახეებით, ზვიადი გამოთქმებით და მაღალფარდოვანი შედარებებით²; ყველაფერი ეს, რასაკვირველია, საგრძნობლად აბუნდოვანებს აზრებს და ამნელებს ავტორის მიერ გადმოცემული ცნობების და-

1) Φωτ. 65 ბიბლიოტეკა (Φωτ. 65 Bibl., cod. 65).

2) აი, მაგალითად, როგორ იწყებს ავტორი თავის მოთხრობას 589 – 590 წლებში სვანეთში მომხდარი ამბების შესახებ: «ვინაიდან ჩვენი მოთხრობა აფრაატამდე მივიტანეთ, ისტორიის მიწოდებებს, მოდით, ჩავუქსოვოთ ისიც, რაც რომაელებმა სვანეთის გარშემო მოიმოქმედეს. მხატვრებიც ხომ მნიშვნელოვანსა და დიდ ნაკვეთებს რომ მოჰხაზავენ, მანამდე არ უშვებენ ხელს ხელოვანის ყალამს, სანამ მთელის უმცირეს ნაკვეთებსაც არ გადაიღებენ სურათებზე» (III, 6; იხ. ქვემოთ გვ. 21).

2. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1940, I.

ზუსტებას. მიუხედავად ამისა თეოფილაქტეს «ისტორია» მ ა ვ რ ი კ ი კვისრის ეპოქის საუკეთესო წყაროა.

ტექსტის დამუშავების დროს ხელთ გვექონდა შემდეგი გამოცემები:

B e k k e r u s Immanuei, Theophylacti Simocattae Historiarum libri octo. Bonnæ 1834 (CB).

D e B o o r C a r o l u s, Theophylacti Simocattae Historiae. Lipsiae 1887 (ჩვენი ტექსტი ამ გამოცემის მიხედვით არის გადმობეჭდილი).

D e B o u r C a r o l u s, Excerpta de Iegationibus (iussu Imp. Constantini Porphyrogeniti confecta). Berolini 1903. 122 – 227, II 477 – 489 (ნაწვეტი).

C o u s i n, Histoire de Constantinople depuis le règne de l' Ancien Justin jusqu' à la fin de l' Empire, Tome III, 103 – 334, Paris 1685.

სტრატეგოსი ფილიპიკე და იპოსტრატეგოსი აფსიხი

Ο δὲ Φιλιππικὸς μεγαλειφρό-
νως εἰς τὸν ἐπιόντα ἐνιαυτὸν τῆ
Ἀρζαναγνή χώρα τὸ ἔθροισ ἐμπέ-
πηχε καὶ λαμπρὰν καὶ ἀξιολο-
γωτάτην λείαν ἐξώγρησεν. φήμη
δὲ τις διέρρει ὡς ὁ στρατηγὸς
φιλομαθῆστατος ὢν καὶ πόλεμι-
κὰς ἐπιστήμας ἐκ τῶν πάλαι σο-
φῶν ἀρυσάμενος ἐκ τῆς Σκιπίων-
ος τοῦ ἡγεμονικωτάτου ἀγχι-
νοσίας τὴν ἐντρέχειαν τάντην τῆς
σοφῆς στρατηγίας περιεβόλετο.
ὡς γὰρ οἱ τὰς ἱστορίας καθάπερ
ἀγάλματα θεῖά τινα τῶν τεμένει

I 14. მომდევნო წელს ფილი-
პიკემ¹ ამაყად ჩაარჭო შუბი არზა-
ნენის ქვეყანაში² და ბრწყინვალე
და მოხსენების ღირსი ნადავლი
იგდო ხელთ. ამზობდნენ, სტრა-
ტეგოსი ფრიად განსწავლული იყო
და მან სამხედრო საქმის ცოდნა
ძველ ბრძენთა ნაწერებიდან შეიძი-
ნაო და უბრწყინვალესი სარდლის
სკიპიონის წაზამვით შეიმოსა თა-
ვისი ბრძნული სარდლობის გამო-
ცდილებათ. იმათ, რომლებიც ის-
ტორიებს, ვითარცა რაღაც ღვთაე-
ბრივ ძეგლებს, წერილობით აღ-

¹) ფ ი ლ ი პ ი კ ე, მავრიკი კვისრის სიძე, დანიშნულ იქმნა აღმოსავლეთის სტრატეგოსად 584 წელს, იოანე მისტაკონის ამ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ.

²) ე. ი. ილაშქრა არზანენის ქვეყანაში. ეს ლაშქრობა მოხდა 585 წელს.

της μνήμης γραφή καθιδρύσαντες
 διελέχθησαν, τοῦ Ἀννίβαλ τοῦ
 Καρχηδονίων στρατηγού τὴν ἀνά
 τὴν Εὐρώπην Ῥωμαίων διατέ-
 μνοντος γῆν, Σικυρίων ὁ πρεσβύ-
 τερος τὸν οἶκον πόλεμον τῆ ἀνα-
 βολῆ ἀναθίεις τῆ Καρχηδονίων
 χώρα πρόσπλέκεται καὶ ἐς μέγα
 κακοῦ ἐλήλακε τὸ πολέμιον, τὸν
 δ' Ἀννίβαλ τὰς Καρχηδονίων
 τύχας ἀκηροῦτα ἐς τὴν ἑαυτοῦ
 ἐπαναξέψαι τὰς μεταβολὰς τῶν
 πραγμάτων ἐκ τῶν εἰς αὐτὸν
 συμβεβηκότων θειῶν παιδεύ-
 μενον. καὶ οὕτως ἐδύκει ὁ πρὸς
 Φιλιππικὸν εἶναι λόγος παράλλη-
 λος. οὐκ ἄπο δὲ σκοποῦ γέγονεν
 αὐτῷ ἡ βουλή. ἔτυχε δὲ τὸν
 στρατηγὸν κάμνειν τὸ σῶμα με-
 γίστου νοσήματος αὐτῷ ἐνσκήψαν-
 τος. διὸ ἐπὶ τὴν Μαρτυρόπολιν
 ἀφικνεῖται ἐπιτρέψας τὸ στρατεύ-
 μα Στεφάνῳ τῷ ταγματάρχῃ
 (ὑπασπιστῆς δ' οὗτος ἐγγόνει
 Τιβερίου τοῦ αὐτοκράτορος), τὸν
 τε Ἀφίχ τὸν Οὐγγον τῶν ἔλων ὑποστράτηγον ἐχειροτόνησε τά-
 ξων (de Boor 66,10—67,3).

მართავენ ხოლმე მეხსიერების ტა-
 მარში, უთქვამთ: როდესაც კარქე-
 დონიელთა სარდალი ანნიბალი
 ევროპაში რომაელთა მიწაწყალს
 აოხრებდა, უფროსმა სკიპიონმა
 შესწყვიტა ომი შინ, გაილაშქრა
 კარქედონიელთა ქვეყანაში და
 დიდს უბედურებაში ჩააგდო მტე-
 რიო; ხოლო ანნიბალმა რომ გაი-
 გო, თუ რა ბედი ეწია კარქედო-
 ნიელებს, სამშობლოში გაბრუნდა
 თავისი ლაშქრით და იქ საკუთარ
 თავგადასავალზე ისწავლა ბედის
 უკუღმართობაო. აი, ეს არის, მგო-
 ნი, შედარება სკიპიონისა და ფი-
 ლიპიკესი. მაგრამ ეს შედარება
 მიზანს ვერ აღწევს: სტრატეგოსის
 სხეული შეიპყრო რაღაც საშინელ-
 მა სენმა. ამიტომ იგი მარტირო-
 პოლისში გაემგზავრა, ხოლო ჯარი
 ჩააბარა რაზმის უფროსს სტეფა-
 ნეს (ის თვითმპყრობელ ტიბერის
 მეფარე იყო), და ჰუნნი აფსიხი
 დანიშნა მთელი რაზმების იპო-
 სტრატეგოსად ¹.

დაწყნარებული კოლხეთი

Ἐπιγινόμενος δ' ἦρδεν καὶ

III. 4.; გაზაფხული ² რომ დადგა

¹) ეს „ჰუნნი აფსიხი“ იხსენიება თეოფილაქტეს „ისტორიაში“ მომდევნო
 წლის (586) ლაშქრობის დროსაც: «ფილიპიკემ დარაზმა რომაული ჯარი სამ ნა-
 წილად: მარცხენა ფრთა ჩააბარა ილიფრედას (ის ემესის არქონტი იყო) და ჰუნნი
 ა ფ ს ი ხ ი ც იმავე ნაწილში ჩააყენა...» (Theophyl. II , 3; ed. de Boor 73, 13 – 17;
 თ ე ო ფ ა ნ ე ამ სარდალს უწოდებს Ἄφειχ|Ἄφειχ| Theoph. Chr. ed.de Boor 224).
 თეოფილაქტე იხსენიებს აგრეთვე ამ სახელის მატარებელ მეორე პიროვნებასაც,
 ავართა ჯარის იპოსტრატეგოსს (VIII, 5: ... πρὸς τὸν Ἀφίχ, τὸν ὑπασπιστῆγον τῆς
 Ἀβάρων δουλείας. De Boor 292,16 – 17), – ²) გულისხმება 588 წლის გაზაფხული.

προσηγή και επίχαριν ὄψιν παρεχόμενος τῇ γῆ, ἢ κατὰ τὸ εἰωθὸς τοῦ χρυσοῦ διανομή τῆ μαχίμῃ ὑπὸ τοῦ αὐτοκράτορος ἐξεπέμετετο, ὁ δὲ Ῥωμαίων τε και Περσῶν πόλεμος ἐσφρίγα τε και ἐσφάδαζεν. τὸ δε Γετικόν, ταῦτόν δ' εἰπεῖν αἱ τῶν Σκλαυθῶν ἀγέλαι, τὰ περὶ τὴν Θράκην ἐς τὸ καρτερόν ἐλυμαίνοντο, αἱ δὲ Μηδοὶ τοῖς Ῥωμαίων στρατηγοῖς συγκυρήσαντες παρανάλωμα φόβου ἐγίνοντο, Ῥώμη δ' ἡ πρεσβυτικὴ ταῖς τῶν Λογοβάρδων ἀντειχεν ἐφόδοις, τῇ δε Διβύῃ αἱ τῶν Μαυρουσίων δυνάμεις διετέλουν ἐξίτηλοι και τῆ πλήθει τῶν Ῥωμαϊκῶν ἀνδραγαθιμάτων πρὸς τὸ ταπεινὸν και κατητονημένον ἀπέκλινον. οὕτω μὲν οὖν ἐκείναι μετὰ τῶν ἀσπίδων και τὰς ἡγίας κατέθειντο τὸν αὐχένα Ῥωμαίοις ὑποχαλάσασαι, και τὴν [τε] ἡρεμίαν ἐνηγκαλίζοντο, ὁ δὲ Φᾶσις οὐκ ἐθολοῦτο τοῖς αἵμασιν. εἰρηναῖον γὰρ βρεῖθρον τέως περιεβάλλετο τῆ διαυγεί τῆς ἡσυχίας καταρθεύων τοὺς Κόλχους, μηδαμῶς κεκτημένος Μηδῶν οἰκίτορα, και ἂνδὲ πῶς τὰ Ῥωμαίων

διετίθετό τ: και συνετάττετο (de Boor 116,22 —117,12).

და დედამიწას საამო და სამხიარულო ელფერი დაედვა, თვითმპყრობელმა (მავრიკიმ), ჩვეულები-სამებრ, ოქრო გაგზავნა ჯარისათვის დასარიგებლად; ომიც რომაელებსა და სპარსელებს შორის გაცხოველდა. გეტების ტომი ანუ – რაც იგივეა – სკლავნების ბრბოები სასტიკად არბევდნენ თრაკიის მიდამოებს; მიდიელები შემთხვევით შეეხეჩნენ რომაელთა სტრატეგოსებს, და ტყუილ-უბრალოდ სისხლი დაიღვარა; მოხუცი რომი იგერიებდა, ლოგობარდების იერიშებს, ხოლო ლიბიაში მავრუსიების ჯარები უფრო-და-უფრო სუსტდებოდნენ; რომაელთა უამრავი მამაცური ბრძოლის გამო ისინი საცოდავად და საწყალობლად მოიდრიკნენ და იარაღთან და სადავეებთან ერთად საკუთარი კისერიც გაუწოდეს რომაელებს და ამჯობინეს მშვიდობიანი ცხოვრება. ფაზისის წყალსაც აღარ ამღვრევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარეა სიწყნარის ბრწყინვალეობით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აჭაჭანებდა. აი, ასეთ წესრიგში იყო მოყვანილი რომაელთა საქმეები¹.

¹) თეოფილაქტების ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ VI საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს კოლხეთში (ლაზეთში) შედარებით მშვიდობიანობა სუფევდა («ფაზისის წყალს აღარ ამღვრევდა სისხლი», «მისი მშვიდობიანი მდინარეა სიწყნარის ბრწყინვალეობით რწყავდა კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აჭაჭანებდა»), ჩანს, 562 წლის ზავის შემდეგ ლაზეთის გამო დავა შეწყვეტილა. მაგრამ ის საკითხი, რომელიც 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ღია დარჩა – საკითხი ს ვ ა ნ ე თ ი ს ა – მაინც არ ყოფილა მოგვარებული; 589 – 590 წლებში ისევ სვანეთის წინააღმდეგ ლაშქრობს ირანი (იხ. ქვემოთ გვ. 21 შმდდ.).

ლაშქრობა სვანეთის წინააღმდეგ

Ἐπεὶ δὲ τὸν πρὸς Ἀφραάτην ἀπεπερατώσαμεν λόγον τοῖς διγύμμασιν, φέρε δὴ, φέρε καὶ τὰ περὶ Σουανίαν τοῖς Ῥωμαίοις πραχθέντα τοῖς τῆς ἱστορίας λειμῶσιν ἐπιφυτεύσωμεν· καὶ ζωγράφοι γὰρ τὰ μεγάλα καὶ περιφανῆ τῶν μελῶν ἐγχαράξαντες οὐ πρότερον τοῦ φιλοτεχνήματος ἀποπαύονται, πρὶν ἂν καὶ τὰ συμκρότατα μέλη τοῦ συμπαντὸς τοῖς πίναξιν ἐγχαράξωσιν. ἔτος ἄγδοον τῆς βασιλείας Μαυρικίου τοῦ αυτοκράτορος, καὶ Βαράμ, ὁ τῶν Περσῶν στρατηγός, ἅμα ταῖς δυνάμεισι τοῦ βαρβαρικοῦ ὑπὲρ Ὀρμίσδα, τοῦ τῶν Περσῶν βασιλέως, κατὰ Σουανίας ἐκπέμπεται. καὶ ἀδοκίμου τῆς ἐπιστασίας τῶν Περσῶν γεγούσιας, τὸ σπυδαζόμενον τῆ βαθυμίᾳ ἐγίνετο. ληϊζεται γὰρ ἢ Σουανία κάρτα κομιδῆ, καὶ ἄσχετον ἦν τὸ κακόν· ἐκλήρουε γὰρ τοῦ στρατηγήσοντος, τῆς Κολχικῆς ἀνηγεμονεύτου ἡπόουσης κηδεμόνος τε ὀρφανῆς καθεστῶσης, ἣς οἶα περὶ τὴν ἕω τοῦ πολέμου σφριγώντος. τῶν Ὀνγῶν τοῖγαρῶν τῶν πρὸς τῆ βερρῶ τῆς ἕω,

III 6. ვინაიდან ჩვენი მოთხრობა აფრაატამდე¹ მივიტანეთ, ისტორიის მინდვრებს, მოდით, ჩავუქსოვთ ისიც, რაც რომაელებმა სვანეთის გარშემო მოიმოქმედეს. მხატვრებიც ხომ მნიშვნელოვანსა და დიდ ნაკვეთებს რომ მოჰხაზავენ, მანამდე არ უშვებენ ხელს ხელოვანის ყალამს, სანამ მთელის უმცირეს ნაკვეთებსაც არ გადაიღებენ სურათებზე.

მერვე წელს მავრიკის ავტოკრატორობისა² სპარსელთა მეფის ჰორმიზდას მიერ სვანეთის წინააღმდეგ იგზავნება სპარსელთა სტრატეგოსი ბარამი ბარბაროზთა ლაშქრითურთ. და რადგან სპარსელები მოულოდნელად თავს წამოადგნენ, ხალხი გამოფხიზლდა დაუდევარი ძოლისგან. სვანეთი ხომ საშინლად იძარცვებოდა, უბედურება აუტანელი იყო: ყურისმგდებელ სტრატეგოსს მოკლებული იყო, ვინაიდან კოლხიკე უსარდლო იყო და მომვლელისაგან ობლად შთენილი, რადგან ამ დროს აღმოსავლეთში იყო ომი გაჩაღებული. ამრიგად, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთით დაბინავებული ჰუნნები, რომელთაც სპარ-

¹) აფრაატი – ირანელთა სარდალი პერსარმენიაში; 589 წლის დასაწყისში ის პერსარმენიიდან გაემართა ირანელთა დასახმარებლად ქალაქ მარტიროპოლისისაკენ, რომელიც ამ დროს ირანელებს ეჭირათ და რომლის დასაბრუნებლად ბიზანტიელები იბრძოდნენ ფილიპიკეს მეთაურობით. ფილიპიკემ ომი წააგო, ხოლო მის ნაცვლად დანიშნულმა კომენტოლოემ სასტიკი ბრძოლა გაუმართა ირანელებს სისარვანონის ციხესთან; ამ ბრძოლაში დაიღუბა აფრაატი (Theophyl. III, 5 – 6).

²) ესე იგი 589 – 590 წელს.

οὐς Τούρκους ἔθως Πέρσαις ἀποκαλεῖν, καταπολεμηθέντων λίαν ὡς ἔπος εἰπεῖν ἐγκρατῶς ὑπὸ Ὀρμισθα, τοῦ βασιλέως τῶν Πάρθων, ἐπὶ τὴν Κολχίδα ὁ Βαρᾶμ τὸν πόλεμον μετεβίβαζεν. ἐς τοσοῦτον γὰρ οἱ τῆς Περσικῆς ἤρθησαν βασιλείας ἀρχένης, ὡς φορολογεῖσθαι ὑπὸ τῶν Βαβυλωνίων τοὺς Οὐννους, τὸ πρὶν τεσσαράκοντα χιλιάδας χρυσῶν ἡρεμίας προσφάσει τοὺς Μήδους εἰσπραττόντων τῶν Οὐννων. πολυχρύσου τείνου τῆς τῶν Τούρκων ἀρχῆς ὑπὸ τῶν Περσῶν γεγενῆσθαι, ἐς μεγάλην τοῦτο δὴ τὸ ἔθνος ἐτέτραπτο πολυτέλειαν· κλίνας τε γὰρ ἐσφυρηλατοῦντο χρυσᾶς καὶ τραπέζας καὶ κύνικας καὶ θρόνους καὶ βήματα ἵππικούς τε κόσμους καὶ πανοπλίαις, καὶ ἕσα τῇ μέθῃ τοῦ πλούτου ἐπιενόηται. χρόνῳ δ' ὕστερον παρασπονδησάντων τῶν Τούρκων καὶ ἀξιοῦντων περαιτέρω τῶν εἰσφορῶν δίδοσθαι χρημάτων αὐτοῖς καὶ βαρυτάτην ἐπιθήκην γενέσθαι, τῶν τε Περσῶν τὸ τῆς ἐπιβολῆς τῶν φόρων οὐ φερόντων φορτίον, χειρότερον αὖτὸς ὁ πόλεμος. καὶ λαμπρᾶς τοῖς Πέρσαις γενομένης τῆς νίκης, ἀντικαταρρεῖ μετὰ τῆς τύχης τὰ πράγματα, καὶ ὑπὸ τῶν Περσῶν φορολογοῦνται εἰς Τούρκους προσφαιρεθῆντες· καὶ ἂν πρότερον αὐτοῖς συνήθριστο χρήματα. καὶ πάλιν κερᾶ τὰ Περσῶν, καὶ περίβλεπτα τῷ Ὀρμισθᾷ κα-

სელები ჩვეულებრივ თურქებს ეძახიან, პართელთა მეფემ ჰორმიზდამ, ასე ვთქვათ, სასტიკად დაამარცხა, ბარამმა ომი კოლხიდის წინააღმდეგ გადაიტანა. სპარსელთა სამეფომ იმდენად გაიმაგრა წელი, რომ ჰუნნები ბაბილონელების მიერ დაბეგრულ იქმნენ, იმ დროს როდესაც წინათ ორმოც ათას ოქროს ახდევინებდნენ ჰუნნები მიდიელებს ზავის გულისთვის: თურქთა ქვეყანა ხომ ოქრომრავალი შეიქმნა სპარსელების წყალობით და ეს ხალხი დიდს სიმდიდრეში ჩავარდა: საწოლებიც ოქროთი მოჭედეს, მაგიდებიც, სასმისებიც, საყდრებიც და საქადაგონიც, ცხენმოსართავებიცა და საჭურველიც და ყველაფერი, რასაც კი მოიგონებს მოქარბებული სიმდიდრე. ხოლო შემდეგ, როდესაც თურქებმა ხელშეკრულება დაარღვიეს და მოითხოვდნენ, რომ მათთვის მიეცათ უფრო მეტი ფული, რომ დამატებითი თანხა დიდი ყოფილიყო, სპარსელებმა ვერ აიტანეს სიმძიმე დამატებითი ხარკისა, და ომსაც საბაზი მიეცა. სპარსელების გამარჯვების საქმე ბრწყინვალედ წავიდა, ბედთან ერთად შეტრიალდა საქმეებიც და თურქებიც სპარსელების მიერ დაიბეგრნენ; გარდა ამისა მათ წართვეს ის ფულიც, რაც წინათ ჰქონდათ დაგროვებული; სპარსელთა საქმეებიც კვლავ აყვავდა და ჰორმიზდასაც ბრწყინვალე ალაფი ხვდა; ნადავლად ჩამოტანილ იქმნა ოქროს საწოლები, მაგიდები და

φιεστήκει τὰ τρόπαια· λαφυραγω-
γούσονται γὰρ κλίνειαι καὶ τράπεζαι
καὶ θρόνοι χρυσοὶ κίσμος τε
ἱππικὸς ἀμφορέεις τε καὶ πάντα
τὰ ἐς τυράνων συντεταγμένα
τιμῆν. ἐπεὶ δὲ κατὰ νόον αὐτῶν
τὰ περὶ τοὺς Τούρκους ἐλήλακεν,
ἀνατείνει κατὰ Σουανίας τὴν μά-
χαιραν, τῆς Σκυθικῆς Πέρσαις
ἀπομαρνανθείσης ἐκτάξεως. περί-
δοξος τοίνυν ὁ Βαρᾶμ κατὰ τὸν
Τουρκικὸν γενόμενος πόλεμον τῇ
Σουανία προσόμιλει, καὶ λείας
κρατήσας περιφανοῦς καὶ ἐπὶ τὴν
Βαβυλωνίαν ἐκπέμψας ἐς τὸν
Ἀράξην στρατοπεδεύεται ποτα-
μόν, ὃν Ἑρας ἀποκαλοῦσιν οἱ
βάρβαροι. ὁ δ' αὐτοκράτωρ τῶν
συμβεβηκότων ἀκηκῶς Ῥωμα-
νὸν τοῦ πολέμου κη'εμένα καθί-
στησιν. γενόμενος οὖν ἐν τῇ Κολ-
χίδι ὁ στρατηγός, ἦν Λαζικήν ἢ
συνήθης μετωνόμασε γλώττα,
καὶ τῶν ἐκεῖσε ἱεραρχοῦντι κοι-
νολογησάμενος, ἀπάρας ἐντεῦθεν
στρατοπεδεύεται ἐπὶ τὴν Ἀλβα-
νίαν αὐτήν.

Ὁ δὲ Βαρᾶμ πυθόμενος τὴν
Ῥωμαϊκὴν παρουσίαν ἐγεγῆθει·
ἦρα γὰρ Ῥωμαϊκῆς παρατάξεως
αἰεὶ πως αὐτῶν γελᾶν τὴν τύχην
εἰδόμενος. διὰ τοι τοῦτο διαπε-
ραιωσάμενος τὸν γείτονα ποταμὸν
ἐπὶ τὸ Κάνζακον¹ τὴν ὑπεχώρησιν
ἐπεποίητο ἐφελκόμενος ὥσπερ ἐπὶ

ტახტებიც, ცხენსართავებიც და
ამფორებიც და ყველაფერი, რაც
ტირანთა პატივისათვისაა განკუთვ-
ნილი. ხოლო როდესაც თურქთა
შესახები საქმეები მას უკვე აღარ
აწუხებდა, სვანეთის წინააღმდეგ
აღმართა მახვილი – სკვითური მეო-
მარი სული ხომ სპარსელებისათვის
გამოფიტული იყო. ამრიგად, თურქ-
თა წინააღმდეგ ბრძოლაში სახელ-
განთქმული ბარამი სვანეთს მიმარ-
თავს, და, ხელთ იგდებს რა დიდ-
ძალ ნადავლს, გზავნის მას ბაბი-
ლონიაში და დაიბანაკებს მდინარე
არაქსზე, რომელსაც ბარბაროსები
ერასს უწოდებენ. ხოლო ავტოკრა-
ტორმა (ე. ი. მავრიკიმ) რომ გაიგო
ეს ამბები რომანოზი დანიშნა
ომის ხელმძღვანელად. ეს სტრატე-
გოსი კოლხიდაში რომ მივიდა,
რომელსაც მდაბიურმა ენამ ლაზი-
კე გადაარქვა, და შეუთანხმდა იქა-
ურ მმართველებს, დაიძრა იქიდან
და დაბანაკდა თვით ალბანიის წი-
ნააღმდეგ.

III. 7. ბარამმა, რომ შეიტყო
რომაელების მოსვლა, გაიხარა; მას
უყვარდა რომაელებთან შებრძო-
ლება, ვინაიდან ფიქრობდა, რომ
ზედი მას რაღაცნაირად მუდამ
უდიმოდა. ამიტომაც მან გადალა-
ხა მეზობელი მდინარე და კანძა-
კისკენ დაიხია: თითქოს შიდა სპარ-

¹) *Κανζάκον* V; თეოფილაქტეს სხვა წიგნებში მოცემულია ფორმა *Κάνζα-*
კონ. – აქ იგულისხმება ირანის ქალაქი განძაკი, ურმიის ტბის სამხრეთ-აღმო-
სავლეთით.

τὰ ἐνδότερα τῆς Περσίδος Ῥω-
μαίους. τούτων γοῦν ὁ Ῥωμανὸς
ὑπαισθανόμενος φιλυπόστροφος γί-
νεται τὸ συνοῖσον τῆ προθυμίας
πραγματευόμενος. ὑποτονθοοῦζον-
τος¹ δὲ τοῦ πλήθους καὶ διαγα-
νακτοῦντος καὶ τῆς πρὸς τὸ πρό-
σω ἐφιεμένου φορᾶς, λόγοις ἐχέ-
φροσι κατηύναζεν ὁ στρατηγὸς
τὰ τοῦ στρατιωτικῶν μίθρασος ὀ-
δῆματα. ἐπετόμρει δὲ καὶ ὀπλί-
τας πεντήκοντα ἀνερευθῆσθαι τὰ
τῶν πολεμίων κινήματα. οὗτοι
ἐντυγχάνουσι δύο κατασκόποις τοῦ
Περσικοῦ Ῥωμαϊκῆν περιβαλο-
μένοις ἐσθῆτα. οἱ δὲ τοὺς ἐλόν-
τας ἀποβουκόλιζουσι ἀποσκευά-
ζονται τε τὸν κίνδυνον εἶναι Ῥω-
μαῖοι βέβαιωσάμενοι. καὶ πίστιν
τοῦ λόγου προυτίθεσαν διὰ ξένης
τινὸς ἀτραποῦ νυκτὸς παραδεικ-
νύειν ἀφύλακτον στιβαθευόμενον
τὸ πολέμιον. οἱ μὲν οὖν τὸν ὄλε-
θρον ἀσμενίσαντες καὶ παρα-
κρουσθέντες ὑπὸ τῆς ὑπασχέσεως
ἤλωσαν ὑπὸ τοῦ Περσικοῦ, ζωγ-
ρηθέντες τε καὶ μετὰ στρεβλώ-
σεων τὰς ἀποκρίσεις πρὸς τὰς
πέψεις ποιούμενοι κατὰδῆλα πάν-
τα τῆ Βαρᾶμ ἐποιήσαντο, ὅπως
ὁ Ῥωμανὸς τῆς Περσικῆς ἐπι-
βλίνειν εὐ τεθάρρηκε γῆς, τὸ τε
ὄλιγοστὸν τῆς περὶ αὐτὸν μαχί-
μου δυνάμεως. τούτων γοῦν ἑαλω-
κότων, τρεῖς τὸν ἀριθμὸν περισω-
θέντες ἀναγγέλλουσι τῆ Ῥωμανῶ
τὸ δυστύχημα, ὁ μὲν οὖν Βαρᾶμ

სეთში ითრევდა რომაელებს. ეს
რომ შენიშნა რომანოზმა, უკან
დაბრუნება მოიწადინა: კარგად გა-
მოზომა, თუ რა იქნებოდა მისთვის
ხელსაყრელი. როდესაც ბრბომ
ბუზლუნი და ჯავრობა დაიწყო და
წინ წასვლას ჩემულობდა, სტრა-
ტეგოსი გონიერი სიტყვებით ამ-
შვიდებდა სამხედრო სილალის სიმ-
სივნეს. მან ორმოცდაათი ჰოპლი-
ტი გაგზავნა მტრის მოძრაობის
გამოსაკვლევად. ესენი სპარსელთა
ჯარის ორ მზვერავს წააწყდნენ,
რომლებიც რომაულად იყვნენ გა-
დაცმულნი. ხოლო ამ მზვერავებმა
მოინდომეს გზა-კვალი დაეხიათ
დამტყვევებელთათვის: არწმუნებენ
მათ რომაელები ვართო და ამით
თავიდან იცილებენ საფრთხეს.
იმათ დაარწმუნეს რომაელები, რომ
ღამით ერთი უცნობი ბილიკით
წაიყვანდნენ მათ და აჩვენებდნენ,
თუ როგორ იწვა მტერი ბალახზე
სრულიად დაუცველი. რომაელებ-
იც, გახარებულნი იმით, რომ
მყინს მოსრავდნენ, და მოტყუე-
ბულნი ამ დაპირებით, შეპყრობილ
იქმნენ სპარსელთა ჯარის მიერ,
წაყვანილ იქმნენ ტყვეებად, და მათ
წამების ქვეშ უპასუხეს შეკითხვებზე
და ყველაფერში გამოუტყდნენ ბა-
რამს, სახელდობრ, თუ რატომ
ვერ გაბედა რომანოზმა სპარსე-
თის მიწაწყალში შეჭრა, რომ მას
თავის გარშემო მეტად მცირე მე-
ბრძოლი ძალები ჰყავს. ამ დატ-
ყვევებულთაგან სამნი გადარჩნენ

¹) ὑποτονθοοῦζοντος V და Suidas s. v. τονθοοῦζει, ὑποτοουսθούντος *vulg.*

τὸν ποταμὸν διενήξατο καὶ ἀντί-
 τῆν Ῥωμαίων κεραιζεται γῆν, ὁ
 δὲ τοῦ Ῥωμαϊκοῦ προεστῶς εἰς
 τοῦπίσω παλιννοστεῖ. τοῦτο διε-
 γνωκότες οἱ βάρβαροι ἐπετίθεντο
 τοῖς Ῥωμαίων συντάγμασιν. ὁ δὲ
 στρατηγὸς τῆς Κολχίδος στρα-
 τιὰν ἀθροίσας ἐσύκαζεν¹ ὅπως
 ἔχει γνώμης τὰ τῶν Ῥωμαίων
 συντάγματα, καὶ εἰ ἀρρενικῶς
 ἔχουσι τὰς ψυχὰς πρὸς παρά-
 ταξιν. τῆς Ῥωμαϊκῆς τοίνυν πληθύ-
 ος παροτρυνομένης πρὸς πόλεμον,
 ὁ Ῥωμαίων στρατηγὸς τοὺς ἀλκι-
 μωτάτους ἀπὸ τῶν ἀβραναστέρων
 διεκρίνειν καὶ τὸ μὲν μάχιμον
 ὡς ἑαυτὸν ἀνελάμβανεν, τὸ δὲ
 ἀπόλεκτον περιφρουρεῖν τὸν χά-
 ρακα διεκόσμησεν. εἰς δέκα τοί-
 νυν χιλιάδας τῆς μαχίμου ὀρώσης
 [δυναμείας]², ὅσο προθέειν τοῦ
 ὀπλιτικοῦ ὁ στρατηγὸς διετάξατο.
 αἱ τῆ προτρέχουσα τῆς Περσι-
 κῆς στρατιᾶς συναντήσασαι φά-
 λαγγι γενναίως πάσαν διώλεσαν,
 κρημνοῦ συγκυρήσαντος καὶ τετευ-
 χότος τοῖς βαρβάροις τὰ τῆς δια-
 φυγῆς ἀνεπίτευκτα. τῆς δὲ κα-
 ταδινῆως ἐμφανοῦς γεν.μένης
 καὶ μέχρι τοῦ βαρβαρικοῦ χάρα-
 κος λαβούσης τὴν πρόοδον, ὡς καὶ
 τὸν Βαρᾶμ καταπλαγήναι ἐπὶ τῆ
 συνάξει τοῦ δράματ.ς, ἐπανῆκεν
 ἢ προτρέχουσα δύναμις τῆς Ῥω-

და იმათ შეატყობინეს რომანოზს
 მომხდარი უბედურება. ბარამი კი
 გადავიდა მდინარეზე და კვლავ
 რომაელთა მიწაწყალი მისცა აოხ-
 რებას; რომაელთა ჯარის მეთაურ-
 მა უკან დაიხი.ა ბარბაროსებმა
 რომ გაიგეს ეს, შეუტიეს რომაელ-
 თა რაზმებს. კოლხიდის სტრატე-
 გოსმა შეკრიბა ჯარი და მოსინჯა,
 თუ როგორი სულისკვეთება სუ-
 ფევდა რომაელთა რაზმებში და
 მამაცურად იყვნენ თუ არა განწყ-
 იობილნი საბრძოლველად. რადგან
 რომაელთა ჯარს ბრძოლის სუ-
 რვილი აღმოაჩნდად,, რომაელთა
 სტრატეგოსმა გამოარჩია ყველაზე
 უფრო მამაცი ჯარისკაცები და
 უფრო სუსტებისაგან გამოაცალ-
 კევა, მეზრძოლი ნაწილი თავისთან
 წაიყვანა, ხოლო დანარჩენნი ბანაკის
 სადარაჯოდ განაწესა. ამრიგად,
 მეზრძოლი ჯარის რაოდენობა ათ
 ათას კაცამდე რომ აღმოჩნდა,
 სტრატეგოსმა ორ ათას მძიმედ
 შეიარაღებულს უბრძანა დაწინაუ-
 რებულიყო. ესენი წააწყდნენ ერთ
 სპარსულ ფალანგს, რომელიც და-
 წინაურებულიყო და თავისი ჯარის
 წინ მიდიოდა, და გვაჟკაცურად
 გაანადგურეს ის მთლიანად. ცი-
 ცაბო ადგილი შეხვდათ და ბარბა-
 როსებისათვის შეუძლებელი შეიქ-
 მნა გაქცევა. რომაელები გაშლი-
 ლად დაედევნენ და სდიეს თვით

1) ἔσκαζεν Suidas., უფრო სწორი უნდა იყოს **ἐδρακίζεν** (გადატანითი მნიშვნელობით „მიედ-მოედებოდა“).

2) **δυναμείας** უმატებს de Boor-ი, რადგან თეოფილაქტე უამსიტყვოდ არ ხმარობს, საზოგადოდ, **ἢ μάχιμος-ს**.

μαίων πληθὺς. καὶ τούτων καταφανῶν τῷ Ῥωμαίων στρατηγῷ γενομένων, καὶ τῆς Ῥωμαϊκῆς ἐκτάξεως ὀργῶντος συμπλακῆναι τοῖς Μήδοις, ὁ Ῥωμανὸς τὴν ἀπόμαχον ἡρεμίαν ἠσπάζετο δέει τῆς ἀπειροπλάσιου τῶν βαρβάρων ἀθροίσεως. ἐπεὶ δ' οὐχ οἶός τε τὴν χαλιναγωγεῖν τὸ σπήκοον τοῖς ἐναγχοῦς ἀνδραγαθίησιν ἑωπυρούμενον, πρὸς παράταξιν τὰς δυνάμεις καθύπλιξεν. συνήντα δὲ καὶ τὸ βάρβαρον. στρατοπεδεύονται γοῦν ἑκάτεραι δυνάμεις ἐν πεδίῳ τῆς Ἀλβανίας, ἃς διεῖργε τῆς παρατάξεως ἀπόρρωξ τις ἀγχιβαθίης ἐκ τοῦ Ἀράξου ποταμοῦ πρόσρχομενος. τὰ μὲν οὖν πλήθη ἐπὶ ταῖς ὄχθαις ἐναυλιζόμενα τοῦ μεσιτεύοντος ὕδατος ἐδίδοσαν τε καὶ ἀντελάμβανον λόγους. τρίτη δ' ἡμέρα, καὶ ἄγγελος ἀπὸ τοῦ Περσικοῦ πρὸς τὸν Ῥωμανὸν παραγίνεται τὸν πόλεμον ἐξαιτούμενος, χώραν τε τῇ διαβάσει ἢ Ῥωμαίους Πέρσαις παρέχεσθαι ἢ τὸ βάρβαρον τοῖς τῶν Ῥωμαίων στρατεύμασιν (de Boor 120,25—124,27).

ბარბაროსთა ბანაკამდე ისე, რომ ბარამიც კი გაოცებული იყო საქმის ასეთი დატრიალებით; შემდეგ, რომაელთა წინდაწინ დაწინაურებული რაზმი უკან გამობრუნდა. ეს შეიტყო რომაელთა სტრატეგოსმა და, თუმცა რომაელთა მხედრობა მიდიელებთან შებმას ისწრაფოდა, მაგრამ რომანოზმა მანც არჩია შეეწყვიტა ბრძოლა და შეესვენა, რადგან ემინოდა ურიცხვი ჯარის მქონე ბარბაროსებისა. მაგრამ რადგან მან ვერ შესძლო ლაგამი ამოედო ეხლახან მოპოებული წარმატებით გათამამებული ქვეშევრდომებისათვის, შეუდგა ჯარების დარაზმვას საბრძოლველად. ბარბაროსებიც, თავისი მხრით, დაირაზმნენ შესახვედრად; ორივე ჯარი ბანაკდება ალბანიის დაბლობში. საბრძოლველად დაწყობილ ჯარებს ჰყოფდა ერთმანეთისაგან ერთი ღრმა შენაკადი, მდინარე არაქსის შტო; წყლის ნაპირებზე დაბინავებული ჯარები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ კიდეც. მესამე დღეს სპარსელებისაგან მოციქულიც მოდის რომანოზთან და მოითხოვს ომის დაწყებას, რათა

გადაწყდეს საკითხი, რომ ან რომაელებმა დაუთმონ სპარსელებს წყალზე გადასვლა, ან ბარბაროსებმა რომაელთა ჯარებს ¹.

[სპარსელები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ, რისთვისაც ბარამმა სპარსელთა მეფის ჰორმიზდას რისხვა დაიმსახურა ²].

¹) III, 6 – 7 თავებში აღწერილი, სვანეთის წინააღმდეგ და სვანეთის გამო წარმოებული, ლაშქრობის შესახებ თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე დამატებით ცნობებს იძლევა III, 18-ში; ქვემოთ გვ. 32 – 33 და იქვე ჩვენი შენიშვნა.

²) ამის შემდეგ თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე მოგვითხრობს ბარამის განდგომის შესახებ და შინაური არეულობის შესახებ, რომელიც შედეგად მოჰყვა ბარამის გან-

ბიზანტიისა და ირანის ურთიერთობა 565 – 572 წლებში

Ἄλλὰ πρὶν τὰ τε τῷ Βαρᾶμ διαπραχθέντα τὰ τε συμβεβηκότα κατὰ τὴν Χοσρόου τοῦ νεωτέρου προσχώρησιν διεξοδικώτερον ἐπεξέλθωμεν, ἐπαναζεύξωμεν τὴν ἀφήγησιν ἐπὶ τὴν Ἰουστίνου τοῦ νεωτέρου βασιλείαν, τὸν λόγον που πρὸς τοὺς μὲν μικροὺς ἀνακλιναντες τὰς αἰτίας γὰρ ἐντεῦθεν λέξομεν τῆς Περσικῆς ταύτης καὶ πρεσβύτιδος μάχης. οὕτω γὰρ τῷ ἀπαρλείπτῳ τῶν ἀφηγημάτων οἱ τῆς ἱστορίας ὠραῖσθησονται πίνακες.

Ἰουστινιανὸς τοῦ αὐτοκράτορος πρὸς τὴν ἀκήρατον ληξὺν μεταχωρήσαντος, ἐγγέα καὶ τριάκοντα ἔτεσι τὰ Ῥωμαίων διψύναντος σκήπτρα, γίνεται τῆς τῶν πραγμάτων ἡγεμονίας διάδοχος Ἰουστίνος ὁ νέος· ἀδελφιδὸς δ' ἕντος ἐτύχχανεν ὢν Ἰουστινιανὸς τοῦ αὐτοκράτορος. ἐβδόμῳ τοιγαροῦν ἐνιαυτῷ τῆς βασιλείας Ἰουστίνου τ. ὧ νέου παρασπινθησάν-

III 9. სანამ ¹ დაწვრილებით შევხებოდეთ ბარამის საქმიანობას და იმას, რაც ხოსრო უმცროსის რომაელთა მხარეზე გადასვლის გამო მოხდა, ცოტათი უკან დავხიოთ სიტყვა და ჩავაქსოვოთ მოთხრობა იუსტინე უმცროსის მეფობის შესახებ: იქ ვიტყვით ჩვენ ამ დაუბოლოვებელი სპარსული ომის მიზეზების შესახებ; მხოლოდ ამ გზით – ამბების უკლებლად მოთხრობით – შეიძლება იქნას შემკული ისტორიის სიები.

როდესაც თვითმპყრობელი იუსტინიანე, ოცდაცხრამეტი წლის განმავლობაში რომაელთა საჭის მართვის შემდეგ, უმწიკვლო ბედს ეზიარა, მმართველობის სადავეების მემკვიდრე გახდა იუსტინე უმცროსი: ის თვითმპყრობელ იუსტინიანეს დისწული იყო. იუსტინე უმცროსის მეფობის მეშვიდე წელს რომაელებმა – მათი მეფის უგუნურების წყალობით – დაარღვიეს ხელშეკრულებ-

დგომას, და ამთავრებს 8. თავს იმის მითითებით, რომ ჰორმიზდას გადაყენების შემდეგ მეფედ არჩეული მისი შვილი ხოსრო („ხოსრო-პარვეზი“) ბიზანტიელებს მიმართავს დახმარებისათვის ბარამის წინააღმდეგ.

¹) აქედან, 9. თავიდან თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე უზრუნდება ძველ ამბებს, იუსტინე II-ის მეფობის ხანას. თუ არ მივიღებთ მხედველობაში თეოფილაქტეს მაღალფარდოვან გამოთქმებს, აქ მოცემულ თხრობაში თითქმის სიტყვა-სიტყვით მეორდება ის, რაც ი ო ა ნ ე ე პ ი ფ ა ნ ი ე ლ ს ჰქონია მოთხრობილი (იხ. გეორგიკა III, 198 შმდდ). ჩვენ მიერ თავის ადგილას (გეორგიკა III, 196) დასმული საკითხისათვის საგულისხმოა ის გარემოება, რომ თეოფილაქტე იმეორებს ცნობას თურქთა ელჩების მოგზაურობის შესახებ ალანთა ქვეყანაზე გავლით, ხოლო იოანე ეპიფანიელისაგან განსხვავებით ის თურქთა ელჩების გავლას ალანთა ქვეყანაზე და ირანელების ცდას, მოესყიდათ ალანელები ამ ელჩების დასაღუპავად, უკავშირებს თურქთა ქვეყნიდან ბიზანტიაში მიმავალ ელჩებს და არა, პირიქით, ბიზანტიიდან თურქთა ქვეყანაში მიმავლებს.

των Ῥωμαίων τῆ τοῦ βασιλέως
 κούφοτητι, τὰ τῆς εἰρηναίας εὐ-
 δαιμονίας διασπᾶται τε καὶ πε-
 ριρρήγνυται, ἐπεισάγεται δὲ Ῥω-
 μαίους καὶ Μήδους ὁ πόλεμος, ἡ
 δεξαμενὴ τῶν κακῶν, τὸ πάντων
 τῶν δυστυχημάτων ὡς ἔστιν εἰ-
 πεῖν καταγῶγιον, τὸ ἀρχέτυπον
 τοῦ βίου λυτήριον, ὃ σηπεδῶνα
 τῶν ἀνθρωπίνων πραγμάτων ἀπο-
 καλῶν τις οὐκ ἂν ἀμάρτει τοῦ
 πρέποντος. αἱ δὲ συνιῆται πεν-
 τηκοντούτιδες Ῥωμαίους καὶ Πέρ-
 σαις διωμοδλόγηγντο, αὐταὶ τῆ με-
 γάλῃ τοῦ βασιλέως ἀνοίᾳ διαφ-
 θεῖρονται τε καὶ παρατέμνονται.
 κἀντεσθῆεν ἡ ἀρχέκαστος πρόεδρος
 τῶν Ῥωμαίων ἐγένετο. κατα-
 τιθῶνται δὲ Ῥωμαῖοι τοῖς Πάρ-
 θους καὶ τοῦ πολέμου δημιουργοῦς
 ἀνεκέρυτι,ν, φάσκοντες
 τοῖς Ὀμηρίτας (Ἰνδικὸν δὲ τὸ
 γένος καὶ Ῥωμαίους ὑπήκουον)
 πρὸς ἀπόστασιν ὑπ' αὐτῶν ὑπο-
 πείθεσθαι, εἶτα μὴ νενικημένους
 ἐκείνοὺς ταῖς εἰσγηγήσει πάσχειν
 ὑπὸ Περσῶν δ: ἐφόδων ἀνήκεσ-
 τα, τῆς εἰρήνης διακεχυμένης
 Πέρσαις τε καὶ τῷ Ῥωμαϊκῷ
 πολιτεύματι. προσέτι γε χαλεπαί-
 νοντες ἔφασκον ὅτι γε πρὸς Ῥω-
 μαίους Τούρκων πρεσβευσαμένων
 τότε γῶν πρῶτον ὑποφθεῖρειν τοῖς
 Ἄλανοὺς χρήμασιν ἐπειράθησαν
 Πέρσαι, ἐφ' ᾧ δι' αὐτῶν ἰόντας
 ἀναιρεθῆναι τοῖς πρέσβεις καὶ
 κωλύμην ἀποκληρώσασθαι τὴν
 διαβάσιν, φιλαίτιως Ῥωμαῖοι τὸ

ბა და მშვიდობიანი კეთილდღეობა
 მოსპეს და გაანადგურეს: რომაელებ-
 სა და მიდიელებს შორის კვლავ ჩა-
 მოვარდა ომიანობა, ბოროტებათა
 აუზი, ყოველგვარ უბედურება-
 თა თუ შეიძლება ასე ითქვას – სას-
 ტუმრო, სიცოცხლეს გამომსალმებე-
 ლი საწყისი, რომელსაც არ ვუღალა-
 ტებდით სიმართლეს თუ ვუწოდებ-
 დით ადამიანის საქმეთა მღრღნელ
 ჩრჩილს. რომაელებსა და სპარსე-
 ლებს შორის დადებული იყო საზა-
 ვო ხელშეკრულება ორმოცდაათი
 წლის ვადით, და იგი დაირღვა და
 შეწყდა მეფის დიდი უგუნურების
 წყალობით. აქედან დაიწყო რო-
 მაელთა უბედურებების უსაშინე-
 ლესი ზრდა. რომაელები პართე-
 ლებს სდებდნენ ბრალს და მათ
 აცხადებდნენ ომის დამწყებებად,
 ეუბნებოდნენ – თქვენ წააქეზეთ ჰო-
 მერიტები (ინდური ტომი, რო-
 მაელთა ქვეშევრდომი) გადაგვდგო-
 მოდნენ ჩვენ და, თქვენს რჩევა-და-
 რიგებას რომ არ დაემორჩილნენ,
 საშინელი წვალებანი დაატეხეთ მათ
 თავს თქვენი იერიშებით, როდესაც
 ზავი სპარსელებსა და რომაელ სა-
 ხელმწიფოს შორის დარღვეულ
 იქმნაო. გარდა ამისა რომაელები
 უჯავრდებოდნენ სპარსელებს იმის-
 თვისაც, რომ, როდესაც თურქთა
 ელჩები რომაელებთან მიდიოდნენ,
 სპარსელებს მაშინვე ფულით დაუ-
 ხარბებიათ ალანები, რათა მათ
 ქვეყანაზე მომავალი ელჩები გაეყ-
 ლიტათ, ხელი შეეშალათ მათი გა-
 დასვლისათვის. ასეთი ბრალდებე-

πολεμειν ἀσμενίζοντες και μικραῖς και ἐξιτέλοις τισιν ἀφορμαῖς μεγάλας προδόνους κακῶν σφισιν αὐτοῖς σοφιστεύοντες· οὐ γὰρ ὄνησιν αὐτοῖς τὸ φιλοπόλεμον προσεπόρισεν. Μῆδ' ἰ δὲ πατέρας τοῦ πολέμου Ῥωμαίους κηρύττοντες αἰτίας ταύτας προσίθεσαν, τὸ ὑποδέχεσθαι τοὺς Ἀρμενίους Ῥωμαίους, ἐν ὑπηκόων μοίρᾳ Πέρσαις τυγχάνοντας και ἐς τυραννίδα ἐληλακότας ἀνελόντας τε Σουρήνην κλιματέρχην ὑπὸ τοῦ Περσῶν βασιλείως τῆς Ἀρμενίων πολιτείας γενόμενον· πρὸς ἐπὶ τούτοις τὸ μὴ ἐθέλειν Ῥωμαίους ἀν' ἕτος ἕκαστον πεντακοσίας λίτρας χρυσίου κατὰ τὸ εἰσθὲς κατατίθεσθαι, ἃς Ἰουστινιανὸς ὁ βασιλεὺς ταῖς συνθήκαις διωμολόγησεν, οἷα περ ἀπαξιούτας φορολογεῖσθαι ὑπὸ τοῦ Περσῶν βασιλείως. ὁ δ' ἦν οὐ τοῦτο, ἀλλ' ἐπὶ φρουρᾷ τῶν ἔχυρωμάτων ἐδίδοντο τῶν εἰς κοινήν σύστασιν φρουρουμένων, ὅπως μὴ σχόλη τῆν εἰσροήν τῶν ἀπείρων ἐθνῶν και ἰμόρων ἢ ἀκατάσχετος δόναμις, και βασιλείας ἑκατέρας ἐπιγένηται λήσις (de Boor 127,26—129,20).

მოზღვავებულ ძალას არ შესძლებოდა შემოსევა და ორივე სახელმწიფოს აოხრება,

ბის წამოყენებით რომაელები სიხარულით ფიქრობდნენ ომზე, რაღაც მცირე და უმნიშვნელო საბაზებით იგონებდნენ დიდ ბოროტებათა გაზრდის ხერხებს; აბა, რა სარგებლობა მოჰქონდა მათთვის ომისადმი მისწრაფებას, მიდიელებმა, თავისი მხრით, რომაელები გამოაცხადეს ომის გამომწვევებად და შემდეგი ბრალდებები წაუყენეს: რომ რომაელებმა მიიღეს და თავის მბრძანებლობის ქვეშ მოათავსეს არმენიელები, რომლებიც სპარსელების ქვეშევრდომნი იყვნენ, და რომლებმაც მოჰკლეს სურენა, სპარსელთა მეფის მიერ დაყენებული არმენიელთა სახელმწიფოს კლიმატარქად; გარდა ამისა აბრალებდნენ იმასაც, რომ რომაელებმა აღარ ისურვეს ყოველწლიურად ეხადათ, ჩვეულებისამებრ, ხუთასი ლიტრა ოქრო, რომლის გადახდა იუსტინიანე მეფემ ხელშეკრულების ძალით იკისრა, აღარ ისურვეს თითქოს იმიტომ, რომ იუკადრისეს სპარსელთა მეფის მოხარკეობა. მაგრამ ეს არ არის მართალი: ამ ფულს იხდიდნენ რომაელები იმ სიმაგრეთა დარაჯების შესანახად, რომელთაც იცავდნენ საერთო თანხებით, რათა ურიცხვი მეზობელი ტომების

მავრიკის ლაშქრობა სომხეთში 578 წელს

Τιβέριος δ' ὁ Καῖσαρ τῶν οὐτῶ συντετυχηκότων αὐτῷ Μαυρίχιον

III 15. საქმეები რომ ასე დატოვალდა ტიბერი კეისარმა სტრა-

στρατηγὸν πρὸς τῆς ἀμείνου, τότε
 δὴ τότε τῶν συμματοφυλάκων τοῦ
 βασιλέως ἡγούμενον, ἐν τοῖς κλι-
 τεσι² τῆς Ἀρμενίας ἐξέπεμπεν. ὁ
 δὲ τοῦ βαρβαρικοῦ Σαρναχοργά-
 νης στρατάρχου, ἔτι τοῦ χρόνου
 τῶν σπονδῶν ἐνδραφισομένων
 τῶν τῆν ἕω προελθουσῶν Ῥω-
 μαίνας τε καὶ Μήδους, παρασπον-
 δήσας κατὰ Κωνσταντίνης καὶ
 τῆς Θεοδοσιουπόλεως τὸ τάχος
 ἀπέστειλεν. ὁ μὲν οὖν στρατηγὸς
 τῶν Χαλδαίων τῆν δὲναμιν ἀνα-
 λαβόμενος τὰ περὶ τῆν Κωνσταν-
 τίναν καὶ τῆν Θεοδοσιούπολιν
 ἐλυμαίνετο, Ταμχοσρῶ δ³, δὲ τῶν

ტეგოსად დააყენა მავრიკი, რომე-
 ლიცი მაშინ მეფის მცველი რაზ-
 მების უფროსი იყო¹, და გაგზავნა
 არმენიის მალლობებში². ბარბა-
 როსთა ჯარის უფროსმა სარნახორ-
 განმა კი, თუმცა რომაელებსა და
 მიდიელებს შორის აღმოსავლეთით
 დადებული ხელშეკრულების³ ვადა
 ჯერ კიდევ გასული არ იყო, მაგ-
 რამ დაარღვია ხელშეკრულება და
 სასწრაფოდ გაგზავნა ჯარი ქალაქ
 კონსტანტინეს და თეოდოსიუპო-
 ლის წინააღმდეგ. ქალდეელთა
 სტრატეგოსმა⁴ წაასხა ჯარი და
 კონსტანტინეს და თეოდოსიუპო-
 ლის გარშემო ადგილები გაანად-

¹) ტიბერი კეისრის დროს მავრიკი იყო მეფის მცველი რაზმების უფროსი (comes excubitorum).

²) κλίτεσι V, κλίμασι vulg.

³) იგულისხმება სამწლიანი დროებითი სახავო ხელშეკრულება, რომელიც დაიდვა 576 წელს სოფ. ათრაელში, დარას მახლობლად (იხ. გეორგიკა III, 243 – 9).

⁴) Χαλδαῖοι („ქალდეელები“ „ქალდეველები“) თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ს „ისტორიაში“ ზოგჯერ ეწოდება ირანელებს (ე. ი. „სპარსელებს“), რომელთა აღსანიშნავად ჩვენე ავტორი გარდა ამისა ხმარობს აგრეთვე Βαβυλωνῖοι, Μῆδοι, Πέρσῖοι, Πέρσαι. თეოფილაქტეს სტილის ბუნდოვანობის მიზეზით შეიძლება ადამიანს ეფიქრა, რომ ზემოთ მოყვანილ ადგილას მოხსენებული Χαλδαῖοι ჰგულისხმობს ბიზანტიის იმპერიის იმ პროვინციას, სადაც VIII საუკუნიდან გამოყოფილი იყო ცალკე თემი Χαλδία და რომელიც ძველი ადმინისტრაციული დანაწილებით Pontos Polemoniakos-ში შედიოდა (ს ტ ე ფ ა ნ ე ბ ი ზ ა ნ ტ ი ე ლ ი ს ცნობა «ქალდეა, არმენიის ქვეყანა» (გეორგიკა III 988] და მოსე ხორენეელის სიტყვები – პონტოს პროვინცია ჭანიუკი, ესე იგი ხალტიქიო [გეორგიკა III, 262) ხომ ამაზე მიგვითითებენ), მაგრამ კონტექსტი ნათლად გვიჩვენებს, რომ იქ ირანელთა რომელიც სარდალი («სტრატეგოსი») იგულისხმება: ირანელთა ჯარების უფროსმა სარნახორგანმა სასწრაფოდ გაგზავნა ბიზანტიელების ხელში მყოფი ქალაქების – კონსტანტინეს და თეოდოსიუპოლის – წინააღმდეგ ჯარები, ერთი მხრით «ქალდეელთა სტრატეგოსი» (მისი სახელი მოხსენებული არაა), ხოლო მეორე მხრით პერსარმენიაში მყოფი ირანელი ჯარის წინამძღოლი ტამხოსრო, რომელთაგან პირველმა გაანადგურა ადგილები კონსტანტინეს და თეოდოსიუპოლის გარშემო, ხოლო მეორეს შეეშინდა ბიზანტიელთა მრავალრიცხოვანი ჯარისა, დასტოვა პერსარმენია და გაემგზავრა ირანში. ჩანს, «ქალდეელთა სტრატეგოსი» ირანელი სარდალია და არა ბიზანტიელი.

ἐν Ἀρμενίᾳ Περσικῶν στρατευμάτων τὴν ἡγεμονίαν ἡμφίεστο ¹, ὅτε πρὸς νῦν τὰς συνελθούσας δυνάμεις Ῥωμαίων πλεῖστον πλείους τῶν οἰκείων εὔσας διέγνωκεν, τὴν Ἀρμενίαν ἀπολιπὼν τὸ τε Κιθαρίζων τὸ Ῥωμαίων φρούριον παραμείψας ἐπιπίπτει χωρίοις τε καὶ κώμας πλησίον Ἀμιδῆς γενόμενος. εἶτα διὰ τῆς Ἀρζανηγῆς εἰσβαλὼν ἐχώρει εἰς τὰ οἴκοι (de Boor 142,6—22).

გურა, ხოლო ტამხოსრომ, რომელიც წინამძღოლობდა სპარსულ ჯარებს არმენიაში ¹ და რომელმაც შეატყო, რომ მაშინ შეკრებილი რომაელთა ჯარები ბევრად უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე მისი საკუთარი ჯარები, დასტოვა არმენია, გვერდი აუარა რომაელთა ციხეს კითარიზონს და ამიდის მახლობლად დაუწყო განადგურება სოფლებსა და დაბებს. შემდეგ შეიჭრა არზანენეში და გაბრუნდა შინისაკენ ².

ჰორმიზდას გამეფება ირანში

Περιβαλλόμενος γοῦν ὁ Ὀρμισδάς τὸ τῶν τυράννων διὰδημα περιουσιζέται τε καὶ ἀσφαδίζεται καὶ περικίρει τὸ εἰωθός, τὰ τῆς ἀναρρήσεως σήμαντρα ἀποστέλλειν ὥσπερ εὐκ ἀξίων Τιβερίῳ τῷ αὐτοκράτορι. ὁ μὲν εὖν αὐτοκράτωρ ἀποκηρυκεῖται πρὸς Ὀρμισδαν τὸν πόλεμον τὴν εἰρήνην ἐν ἰση μίρᾳ ἑκατέρως γενέσθαι ἐξαιτούμενος. ὁ δ' ἐπὶ τῇ πρεσβείᾳ καταγαυρούμενος ἡξίους φορολογεῖσθαι εἰς τὸ φανερόν τὸς Ῥωμαίους, Ἀρμένιους τε καὶ Ἰβηρας ἐν ὑπηκόοις τελεῖν, Ῥωμαίων τοῦτο παρεχομένων αὐτῷ,

III 17. სამეფო გვირგვინი რომ დაიდგა ჰორმიზდამ ³, მან ძალიან გაიდვა თავს, არაფრად მიიჩნია მიღებული წესი და არ გაუგზავნა კეისარს ტახტზედ ასვლის მაუწყებელი სიგელი: ეს მოასწავებდა თვითმპყრობელ ტიბერისადმი უპატიო მოპყრობას. თვითმპყრობელმა ომი გამოუცხადა ჰორმიზდას და მოსთხოვა მას, რომ ზავი ორივე მხარისათვის თანაბარ პირობებში ყოფილიყო დაცული; იმან კი ელჩები თავხედად მიიღო და აშკარად მოითხოვა – რომაელებს ხარკი ეხადათ, არმენიელები და იბერიელები ქვეშევრდომებად ჰყო-

¹) *ἡμφίεστο V, ἡφιέτο vulg.* უკანასკნელი ვარიანტით სრულიად იცვლება მთელი წინადადების მნიშვნელობა: «გ ა და დ გ ა სპარსული ჯარის წინამძღოლის თანამდებობიდან»).

²) ეს მოთხოვნა, ისევე როგორც წინა და მომდევნო თავში მოთხოვნილი ამბები, თეოფილაქტეს ამოღებული აქვს მ ე ნ ა ნ დ რ ე ს „ისტორიიდან“ (შდ. გეორგიკა III, 249).

³) ჰორმიზდა VI მეფობდა 579 – 590 წლებში.

τό τε Δάρως μὴν ἐπιζητεῖσθαι λοι-
πὸν ὑπὸ τοῦ Καίσαρος, καίτοι
Χοσρόου τοῦ πατρὸς ἐπὶ τῆς
βουληθέντος τὰς διακλαγὰς ἀντι-
δοῦναι τῷ Καίσαρι, τό τε Δάρως
ὁμὴ ἀπαξιώσαντος ἀποκαταστή-
σαι τῇ τῶν Ῥωμαίων ἀρχῇ (de
Boor 145,8–21).

ლოდა – რომაელებს უნდა დაეთ-
მთ ეს მისთვის – , დარაც ამიე-
რიდან კეისარს აღარ უნდა ეძია,
თუმცა მისმა მამამ ხოსრომ სურ-
ვილი გამოსთქვა თანასწორ პირო-
ბებში დაზავებოდა კეისარს და
არც რომაელთა სახელმწიფოსა-
თვის დარას გადაცემაზე ამბობდა.
უარს ¹.

ბარამის დამარცხება სვანეთში

Ἄμα Χοσρόη, τῷ Περσῶν βασιλεῖ
τῷ πρεσβύτῃ καὶ εἰς τὰς Ἄρμε-
νίας αὐτάς, καὶ κατὰ τοὺς πολέ-
μους ἐπιφανέστατος γεγονώς,
στρατηγὸς [οὗ] μετ’ οὐ πολὺ καὶ
τῶν Περσικοῦ χειροτονεῖται ἀθ-
ροίσματος. οὕτω δὲ κατ’ ὀλίγον
ἐξαιρουμένης τῆς τύχης αὐτόν, ὡς
καὶ θαυμάσιον τῆς βασιλικῆς
ἀναδείξει ἐστίας (ὅν δὲ κουροπα-
λάτην Ῥωμαῖοι κατονομάζουσιν),
ἐς μέγα ἀπονοίας ἐλήλακεν, καὶ
ἐπὶ τῆς κατὰ Τούρκων νίκης με-
γάλα καὶ ἀκάθικτα πνέων τὰ τῆς
τυραννίδος ὠδίνει κινήματα. ὁ μὲν
οὖν ὡσπερ σπινθηρὰ ἐν σπιδιᾷ τῆν
τοῦ βασιλέως Ὀρμίζδου ἀποκρύ-
πτει τῆς λήπης ὑπόθεσιν, τὸ δὲ
πληθὺς ἐξέμηγε φενάκη συσκευ-

III 18. ბარამი ² სპარსელთა მე-
ფესთან, ხოსრო უფროსთან ერ-
თად შეიჭრა თვით არმენიებშიაც
და საომარ საქმეებშიც გამო-
ჩენილი კაცი შეიქმნა; ცოტა
ხნის შემდეგ კიდევ დაინიშ-
ნა სპარსული ჯარის სარდლად.
ბედმა იმდენად წამოსწია ის თან-
დათან წინ, რომ ის სამეფო სახ-
ლის დარიგბედუმი შეიქმნა (ეს ის
თანამდებობაა, რომაელები რომ
კუროპალატობას უწოდებენ) და
ასეთი აღზევებით გათამამებული
დიდს უგუნურებაში ჩავარდა: თურ-
ქებზე მოპოებული გამარჯვებით
უზომოდ გათამამებულს ბატონო-
ბის სურვილები აღედრა. როგორც
ნაკვერჩხალს ნაცარში, ისე იმა-
ლავს გულში ჰორმიზდას გაწბი-
ლების განზრახვას: მან ააფორიაქა

¹) ეს მოთხრობა შეადარე მე ნ ა ნ დ რ ე ს „ისტორიაში“ მოცემულ ცნო-
ბებს (გეორგიკა III. 250 – 251).

²) ამის წინ მოყვანილია მოკლე ბიოგრაფია ბარამისა, სახელდობრ რომ
ის მირრანის (მიჰრანის) სახლისა იყო, არსაკიდების გვარიდან და რომ ის ხოსრო
მეფის დაახლოებული პირი იყო. – ამ მე-18 თავით ამთავრებს თეოფილაქტე
თავის «უკან დახეულ სიტყვას» და IV წიგნიდან განაგრძობს მოთხრობას ბარა-
მის გადადგომის შედეგების შესახებ.

σάμενος ὡς οἶα δὴ κατὰ τοὺς ἑπι-
 τικοὺς τοῦ Περσῶν χαλεπαίνοντος
 βασιλέως καὶ προσαπειλοῦντος καὶ
 φόνον τοῖς Βαβυλωνίαις στρατεύ-
 μασι διὰ τὰ περὶ τὴν Σουανίαν
 τῆς συμπλοκῆς ἀτυχήματα. προσ-

ჯარი ტყუილების მოგონებით,
 თითქოს მეფე ჯავრობდა სპარსელ-
 თა ჯარზე და სიკვდილით ემუქ-
 რებოდა ბაბილონურ ჯარებს იმ
 დამარცხებათა გამო, რომლებიც
 შეემთხვათ მათ სვანეთში). დასა-

1) აქ და III 6 – 7 თავებში თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ეხება სვანეთის გარშემო
 ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის არსებული დავის საკითხისათვის მნიშვნე-
 ლოვან ეპიზოდს: მავრიკი კეისრის მეფობის მერვე წელს (589/590 წ.), როდესაც
 ირანელმა სარდალმა ბარამმა თურქებზე ბრწყინვალედ გაიმარჯვა და დიდძალი
 სიმდიდრე იგდო ხელთ, მან «სვანეთის წინააღმდეგ აღმართა მახვილი. სვანეთისა-
 თვის – და აგრეთვე ბიზანტიისათვის – ეს მოულოდნელი ყოფილა; ამ დროს
 სვანეთში

– და საერთოდ ლაზეთში – ბიზანტიას აღარ ჰყოლია საგანგებო სტრატეგოსი და
 არც საკმაო რაოდენობა ჯარისა მდგარა იქ. ამის მიზეზი ის ყოფილა, რომ ამ
 დროს ბიზანტიასა და ირანს შორის წარმოებული საომარი ოპერაციების ცენტრი
 ლაზეთში კი არ იყო, არამედ აღმოსავლეთში, არზანენის მიდამოებში; თ ე ო ფ ი-
 ლ ა ქ ტ ე ხომ ჯერ კიდევ III 4 თავში სწერდა: «ფაზისის წყალსაც აღარ ამღვ-
 რევდა სისხლი; მისი მშვიდობიანი მდინარეა სიწყნარის ბრწყინვალეობით რწყავ-
 და კოლხეთს და მიდიელ მოსახლეს არსად არ აჭაჭანებდაო», და რადგან ბიზან-
 ტიის მთავრობის ყურადღება VI საუკუნის 80-იან წლებში აღმოსავლეთის (არ-
 ზანენის) ფრონტებს ჰქონდა მიქცეული, ამიტომ მთავრობა აღარ აზანდებდა ჯა-
 რებს ლაზეთში: «სვანეთი... ყურისმგდებელ სტრატეგოსს მოკლებული იყო, ვი-
 ნაიდან კოლხიკე უსარდლო იყო და მომვლელისაგან ობლად შთენილი, რადგან ამ
 დროს აღმოსავლეთში იყო ომი გაჩაღებული» (III, 6; ზემოთ გვ. 21). ჩანს, სვა-
 ნეთის საკითხი, რომელიც 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს გადაუწყვე-
 ტელი დარჩა და შემდეგაც, იუსტინე II-ის დროს, არა ერთხელ დასმულა მოდავეთა
 შორის (იხ. გეორგიკა III, 213 – 233), უკვე ფაქტიურად გადაწყვეტილი ყოფილა.
 თუმცა ამის შესახებ ბიზანტიური წყაროები არაფერს გვეუბნებიან, მაგრამ თ ე ო-
 ფ ი ლ ა ქ ტ ე ს მითითება III 6 თავში, რომ სვანეთი «ყურისმგდებელ სტრატე-
 გოსს მოკლებული იყო» დაკავშირებით იმ ცნობასთან, რომ ამ დროს საზოგა-
 დოდ ლაზეთიც უსარდლო ყოფილა, ნათელჰყოფს, რომ სვანეთი ამ დროს ირანე-
 ლების ხელში არ ყოფილა. ამასვე ადასტურებს, რასაკვირველია, ის გარემოებაც,
 რომ 590 წელს ირანელები ბარამის მეთაურობით ილაშქრებენ სვანეთის წი-
 ნააღმდეგ. რომ ამ დროს სვანეთი ხელმეორედ ყოფილა დაპყრობილი ბიზანტიე-
 ლების მიერ, ამას საბოლოოდ ამტკიცებს ი ო ა ნ ე ბ ი კ ლ ა რ ე ლ ი ს „ქრონი-
 კა“ (იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი და ი. ბ ე რ ა მ ე, სვანეთის ხელმეორე აღება
 ბიზანტიელების მიერ: „ტფილისის უნივერსიტეტის შრომები“ ტ. VII, ტფ. 1938).

საყურადღებოა ის გარემოება, რომ თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ს ცნობაში სვანეთის
 წინააღმდეგ ირანელების ლაშქრობა მოხსენებულია თურქების წინააღმდეგ ლაშ-
 ქრობასთან დაკავშირებით: «როდესაც თურქთა შესახები საქმეები მას უკვე აღარ
 აწუხებდა, სვანეთის წინააღმდეგ აღმართა მახვილი»; «თურქთა წინააღმდეგ
 ბრძოლაში სახელგანთქმული ბარამი სვანეთს მიმართავს» (იხ. ზემოთ გვ. 22).

თ ე ო ფ ა ნ ე ჟ ა მ თ ა ა დ მ წ ე რ ე ლ ი ც, რომელიც ამავე ამბებს აღწერს 588

3. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1940, I.

εφέρετο δὲ καὶ ἐπίπλαστα τοῖς Ὀρμισδοῦ προστάγματα ἀποκο-
λοβδοντα τὰ κατὰ τὸ εἰωθὸς τοῖς
συντάγμασι [τῶν] ὑπὸ τῶν βασι-
λικῶν πρυτανείων διαγεμόμενα.
κάντεσθιν παραδριμύττεται ἢ
πᾶσα πληθὺς καὶ ἐξ ἀνάστατον
ἀπροσεξίαν ἐχώρησεν (de Boor
148,20—149,12).

მოწმებლად მას მოჰყავდა ვითომც
ჰორმიზდას განკარგულებები, ნამ-
დვილად მის მიერ შეთხზული,
რომლებითაც სამეფო.პრიტანეო-
ნებიდან ჯარებისათვის გასაცემად
დაწესებული სურსათის რაოდეო-
ბა მცირდებოდა. ამიტომ მთელ
ჯარში საშინელი დეღვა და აჯან-
ყების სული ტრიალებდა.

წლის ქვეშ (მავრიკის მეფობის მეექვსე წელს), აკავშირებს ამ ორ ლაშქრობას: მისი
თხრობით ისე გამოდის, რომ ძირითადი ამ ორი ლაშქრობიდან სვანეთის წინააღმ-
დეგ ლაშქრობა იყო: «სპარსელთა მეფემ ჰორმიზდამ სარდლად ბარამი დანიშნა
და დიდძალი ჯარით სვანეთის წინააღმდეგ გაგზავნა. ბარამი მოულოდნელად დაეცა
სვანეთს, მის შემდეგ რაც თურქები სპარსელების მიერ იქმნენ დამარცხებული»
(Theoph. Chr. Ed. De Boor, 262; იხ. ქვემოთ გვ. 80 შმდ.). შემთხვევითია თუ არა ამ
ორი ლაშქრობის დაკავშირება ერთმანეთთან? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა: ისინი
დაკავშირებული არიან ერთმანეთთან იმდენად, რამდენადაც სვანეთის საკითხი, რო-
გორც ეს ჩვენ მიერ უკვე მითითებული იყო (გეორგიკა III, 203 – 208), დაკავში-
რებულია ჩრდილოეთიდან (და, მაშასადამე, თურქთა ქვეყნიდანაც) ლაზეთში გად-
მოსავალი გზის საკითხთან.

სვანეთის წინააღმდეგ ირანელთა ლაშქრობის ამბავი, როგორც ეს აქამდე
იყო ჩვენ მიერ მოთხრობილი თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ს და თ ე ო ფ ა ნ ე ს ცნობათა
საფუძველზე, თითქოს არავითარ გაუგებრობას არ შეიცავს. სამაგიეროდ, გაუგე-
ბრობას იწვევს იმავე ისტორიკოსთა მომდევნო თხრობა. თ ე ო ფ ი ლ ა ქ ტ ე ს
მოთხრობით ბარამი ხელთ იგდებს სვანეთში დიდძალ ნადავლს და ბანაკდება
მდინარე არ ა ქ ს ზ ე; ბიზანტიელების მიერ ლაზეთის სტრატეგოსად დანიშნული
რომანოზი მიდის ლაზეთში, უთანხმდება ადგილობრივ მმართველებს და ბანაკდე-
ბა ა ლ ბ ა ნ ი ის წინააღმდეგ; ბარამმა უკან დაიხია, ბეზანტიისა და ირანის ჯა-
რები, ე. ი. რომანოზი და ბარამი, ერთმანეთს ხედებიან ალბანიის დაბლობში,
მდინარე არაქსის ერთ-ერთი შტოს ნაპირებთან; აქ გამართულ ბრძოლაში ირა-
ნელები სასტიკად დამარცხდნენ. ეს დამარცხება იწყინა ირანის მეფემ ჰორმიზდამ
და პატივი აჰყარა ბარამს, რომელმაც ამის შემდეგ აჯანყება მოაწყო ჰორმიზდას
წინააღმდეგ. რა კავშირი აქვს ერთმანეთთან სვანეთის წინააღმდეგ მოწყობილ
ლაშქრობას და მდინარე არაქსის სანაპიროებზე, ალბანიის დაბლობში, დაბანაკე-
ბას? კიდევ უფრო ნათლად ჩანს ამ კითხვის დასმის საჭიროება თ ე ო ფ ა ნ ე ს მო-
თხრობიდან: «რომანოზი მივიდა ლაზეთში და, მ დ ი ნ ა რ ე ფ ა ზ ი ს ზ ე რ ო მ
ი ყ ო, ა ლ ბ ა ნ ი ის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ და ბ ა ნ ა კ და (ed. De Boor 262, 23 – 24:

„καὶ εἰς τὸν Φάσιδα γειτόμενος ποταμὸν ἐπὶ τῇ Ἀλβανίαν στρατοπεδεύεται):

ცხადია, ფაზისის ნაპირებზე ყოფნით ალბანიის წინააღმდეგ ლაშქრობა შეუსაბა-
მობას წარმოადგენს. ეს შეუსაბამობა მოთხრობის პირველ ნაწილსა და მეორე ნა-
წილს შორის უგრძობია თ ე ო ფ ა ნ ე ს „ქრონოგრაფის“ ზოგიერთ გადამწერს და
ამით აიხსნება ის, რომ ზოგიერთი გადამწერი პირველ ნაწილში ნაცვლად Σισα-
νία-სი იძლევა Σουμανία ან Σიβანία, ხოლო სხვები მოთხრობის მეორე ნაწილში

კავკასიის მთები

Καὶ οὕτω τῆς βασιλείας ἐκπε-
πτακῶς τὴν Κτησιφῶντᾶ τε κα-
ταλιπῶν καὶ τὸν Τίγριν διανηξά-
μενος ποταμὸν διηπέρειτο ὃ τι
καὶ δράσειεν, τῶν μὲν πρὸς τὸ
Σχυθικὸν τὸ ἔθνος, οἷς Τούρκους
λέγειν εἰώθαμεν, γεγένεσθαι εἰση-

IV 10. ასე წაერთვა ხოსროს სამეფო ძალაუფლება; მან დასტოვა ქტეზიფონტი და გადავიდა მდინარე ტიგროსზე; დიდ გაჭირებაში ჩავარდნილმა არ იცოდა რა ექნა: ერთნი ურჩევდნენ აღმოსავლეთ სკვითეთს შეაფარე თავიო,

Ἀσθῆν-ის ნაცვლად კვითხულობენ Ἀσπιδῆν ან Ἀλβανία -ს ნაცვლად Ἀλζανία (ეს ვარიანტები იხ. ამავე წიგნში, ქვემოთ გვ. 80 შმდდ.). რასაკვირველია, მეტი წილი ამ ვარიანტებისა პალეოგრაფიულ ნიადაგზე აიხსნება ან ფონეტიკური სხვაობის ნიმუშს იძლევა, მაგრამ თავისთავად საგულისხმოა, რომ გადამწერნი განსხვავებული სახელწოდების მქონე გეოგრაფიულ ადგილებს ასახელებენ.

ჩვენის აზრით ამ შეუსაბამობის საკითხი ასე უნდა გადაწყდეს: 590 წლის (თეოფანეთი 588 წლის) თარიღით მოთხრობილი ამბავი ეხება სვანეთის გარშემო არსებულ ბრძოლას ირანელთა სარდალ ბარამსა და ბიზანტიელ სტრატეგოს რომანოზს შორის; ორივე მხრით დიდძალი ჯარი იქმნა შეგროვებული; კერძოდ, ბიზანტიის ჯარი იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ როდესაც რომანოზმა ბრძოლის წინ ჯარი დაათვალიერა და კარგი მეზრძოლნი გამოაცალკევა სუსტებისაგან, პირველთა რაოდენობა 10.000 კაცს აღწევდა (იხ. ზემოთ. გვ. 28). ბრძოლა გაშმაგებული იყო. ხოლო თუ რა სტრატეგიულ პუნქტებში წარმოებდა ეს ბრძოლა, ჩვენ არ ვიცით: თვით იმ წყაროში, რომელიც ხელთ ჰქონია თეოფილაქტეს (მასთან ერთად თეოფინესაც, რომელიც თეოფილაქტეს მისდევს), ამ პუნქტების სახელები არეული ყოფილა; აღრევა შეიძლებოდა წარმოშობილიყო სხვა ბრძოლის (სახელდობრ, ალბანიაში ირანელთა მიერ წარმოებული ერთ-ერთი ბრძოლის) აღწერის გამოყენების საფუძველზე (ძალაუნებურად გვაგონდება ირაკლი კეისრის დროს ალბანიაში წარმოებული ლაშქრობა, რომლის აღწერილობა, მოცემული თ ე ო ფ ა ნ ე ს მიერ 622/3 წლის ქვეშ [ed. de Boor. 306 – 310, იხ. ამავე წიგნში ქვემოთ გვ. 82 შმდდ.], ძალიან ჰგავს თეოფილაქტეს მიერ 590 წლის ლაშქრობისათვის მოცემულ აღწერილობას); ხოლო თეოფილაქტეს მიერ, (III 7 თავის ბოლოში (და მისგან მომდინარე თეოფანესთანაც, ed. de Boor 263 14 – 16) მოხსენებული დამარცხება ირანელებისა ეხება არა, სადღაც ალბანიაში, წარმოებულ ბრძოლას, არამედ სვანეთის გარშემო ბრძოლას. სხვა ადგილას, III 28 თავში, თეოფილაქტე ხომ აღნიშნავს, რომ ჰორმიზდა უწყრებოდა ბარამს სვანეთში (და არა ალბანიის დაბლობში) შემთხვეული დამარცხების გამო: «მეფე ჯავრობდა სპარსელთა ჯარზე და სიკვდილით ემუქრებოდა ბაბილონურ ჯარებს იმ დამარცხებათა გამო, რომლებიც შეემთხვათ მათ ს ვ ა ნ ე თ შ ი» (იხ. ზემოთ, გვ. 33); ხოლო თუ ჩვენ III 6 – 7 თავებში აღწერილ ბრძოლას და მის მომდევნო დამარცხებას ვიგულისხმებთ არა სვანეთში არამედ ალბანიაში, მაშინ გაუგებარი დარჩება იმავე ავტორის ეგზომ მნიშვნელოვანი დასკვნა III 18

γῆσαμένων αὐτῶν, τῶν δ' ἐν τοῖς Καυκασίοις ἢ Ἀτραπαϊκοῖς¹ διασώζεσθαι ὄρεσιν (de Boor 167, 8—13).

სხვები კიდევ კავკასიის ანუ ატრაპაიკულ¹ მთებში ურჩევდნენ გამგზავრებას.

ფოკას ტირანობა

Ὁ δὲ τύραννος (πρὸς γὰρ τὸν λόγον ἐπάνειμι) καταμεθυσθεὶς τοῖς ἀσεβήμασι πρὸς ἑτέρους ἐκβακχεύεται φόνους, καὶ τὸν ἀδελφὸν τοῦ Μαυρικίου τὸν ἑαυτοῦ στρατηγὸν ἀποτέμνει τῷ ξίφει. ἀναιρεῖται τε καὶ Κομεντίολος ἐκείνος, ὃν πολλάκις ὁ λόγος στρατηγὸν τῆς Ἑυρώπης ἀνέδειξεν, καὶ δὴ καὶ ὁ Γεώργιος, ὁ τοῦ Φιλιππικοῦ ὑποστράτηγος, ἀλλὰ μὴν καὶ ὁ Πραιοσεντίνος ὁ τὰς τοῦ Πέτρου πεπιστευμένος φροντίδας, ὃν δομέστικον εἰώθασιν οἱ Ῥωμαῖοι ἀποκαλεῖν. ὁ μὲν οὖν Θεοδόσιος ἀναξεύξας, ὁ Μαυρικίου παῖς τοῦ αὐτοκράτορος, εἰς τὸν ναὸν καταφεύγει Ἀυτονόμου τοῦ μάρτυρος. ἀκηκῶς τίνυν τοῦτο ὁ τύραννος τὸν Ἀλέξανδρον πέπομφεν ἀποσφάξαι τὸν παῖδα. τοιγαροῦν ὁ Ἀλέξανδρος ἀναιρεῖ Θεοδόσιον, τὸν τε λεγόμενον παρὰ τῷ πλήθει Λάρδον

VIII 13. დავუბრუნდეთ ისევ ჩვენ თხრობას: როდესაც ტირანი დათვრა თავისი უწმინდური საქმეებით, სხვებისკენ მიმართა მკვლელობის ქინი: მახვილით მოჰკვეთა თავი მავრიკის ძმას, თავის სტრატეგოსს; მოკლულ იქმნა აგრეთვე ის კომენტიოლე, რომელიც ამ მოთხრობაში ხშირად არის მოხსენებული როგორც ევროპის სტრატეგოსი; აგრეთვე გიორგიც, ფილიპიკეს ჰიპოსტრატეგოსი; გარდა ამისა პრეზენტინე, პეტრეს აზრების მესაიდუმლე, – ამ თანამდებობის პირს რომაელები ჩვეულებრივ დომესტიკს ეძახიან. თვითმპყრობელ მავრიკის ვაჟი თეოდოსი, რომელიც ლაშქრობიდან დაბრუნებულიყო, მოწამე ავტონომეს ტაძარში შევარდა დასამალავად. ეს რომ შეიტყო ტირანმა, ალექსანდრე გაგზავნა ყმაწვილის მოსაკლავად. ალექსანდრემაც მოკლა თეოდოსი, და აგრეთვე კონს-

თავში. – 590 წელს სვანეთის დასაცავად ლაზეთში რომანოზის ხელმძღვანელობით შეგროვებული ჯარი, რასაკვირველია იდგომებოდა ლაზეთის სტრატეგიულ პუნქტებში, მათ შორის განსაკუთრებით არქეოპოლისის ციხეში. ამის საბუთს წარმოადგენს ის 28 ოქროს სოლიდი, რომლებიც იქმნა ნაპოვნია 1931 წელს არქეოპოლისის (ნოქალაქევის) ერთ-ერთ კოშკში იქ წარმოებული არქეოლოგიური გათხრების დროს (ეს განძი ინახება საქართველოს მუზეუმის ნუმისმატიკურ განყოფილებაში):

1) Ἀτραπαϊκοῖς V, Ἀτραποικοῖς vulg., იქნებ უნდოდეს Ἰνδο-სკითῆ.

εις τοὺς λεγομένους Διαδρόμους μεταγαγὼν διαφθεῖρει τῷ Ξίφει, λόγος δὲ ὑπὸ τινων τὸν Ἀλέξανδρον ὑπὸ Περμανοῦ χρηματίσασθαι φειδοῖ τῶν κινδύνων. διὰ τοῦτο ἀποσχέσθαι φασὶ τὸν Ἀλέξανδρον τῆς Θεοδοσίου φθορᾶς, ἕτερον δὲ προσεικότα αὐτῷ ἀγγελεῖν, καὶ τοῦτον αὐτὸν τὸν Θεοδοσίον τὸν παράδοξον τοῦτον κίνδυνον πεφευγῶτα τῆς ἐρίας τόπους ἀμείψαι πολλούς, εἶτα ἐς ὕστερον πρὸς τῇ Κολχίδι γενέσθαι, μετὰ τοῦτο πρὸς τὰς ἐρήμους τῶν βαρβάρων μεταχωρήσαντος, μαλακισθέντα τὸ σῶμα καταστρέψαι τὸν βίον (de B o o r 308,28 — 309,20).

ტანტინე, ხალხში ლარდისად წოდებული, მიატრია ეგრეთწოდებულ „დიადრომოსში“ და მახვილით მოკლა. ზოგიერთები ამბობენ, რომ ალექსანდრეს გერმანემ მოაგონა საფრთხისაგან გადარჩენა. ამიტომ, ამბობენ, ალექსანდრემ თეოდოსი კი არ მოკლა, არამედ ვინღაც მსგავსი ხოლო თვით თეოდოსი მოულოდნელად ხიფათს გადარჩენილი აღმოსავლეთში წავიდა და მრავალი ადგილი გამოიცვალა, ბოლოს კოლხიდაში მივიდა; ამის შემდეგ კი ბარბაროსთა უდაბნოებში გადავიდა, და მის დაუძლურებულ სხეულს ასე მოელო ბოლო.

თეოდოსი განგრელი

თეოდოსი, იერუსალიმელი მონაზონი, VII საუკუნის მოღვაწეა. ის დაბადებულია განგრაში (Γάνγρα – ქალაქი პაფლაგონიაში, ახლანდელი Kangry); აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა ბიზანტიის მთავრობის მიერ დევნილ, მონოთელიტების წინააღმდეგ მებრძოლთა დაცვაში. მის სახელთან დაკავშირებულია მაქსიმე „აღმსარებლის“ ცხოვრების უკანასკნელი წლების შესახებ ცნობების შემცველი თხზულების (ანასტასი აპოკრისიარის წერილის) გამოქვეყნება. და აგრეთვე საკუთარი, 668/669 წლით დათარიღებული, მოგონების დაწერა იმავე მაქსიმეს შესახებ.

მაქსიმე „აღმსარებელი“ ცნობილია ისტორიაში, როგორც მთავარი მოწინააღმდეგე მონოთელიტებისა (და აგრეთვე მონოფიზიტებისა). მისი ცხოვრების აღწერთა გადმოცემით 662 წელს ის გაუძევებიათ ბიზანტიიდან და ანასტასი აპოკრისარისთან და ანასტასი მონაზონთან ერთად გადაუსახლებიათ ლაზეთში, სადაც ის გარდაცვლილა იმავე წლის 13 აგვისტოს. ანასტასი აპოკრისიარის, თავისი გარდაცვალების ცოტა ხნის წინ, წერილი მიუწერია თეოდოსი განგრელისათვის; ამ წერილში მას დაწვრილებით აღუწერია მაქსიმეს და მის თანამგზავრთა თავგადასავალი. ანასტასის წერილი თეოდოსის გამოუქვეყნებია სხვა მასალასთან ერთად და საკუთარი მოგონებებიც დაურთავს ზედ (А. Бриллиантов, О месте кончины и погребения Максима Исповедника: *XVI* [1917], 7; O. Bardenheuer, *Geschichte der altkirchlichen Literatur*, Bd. V [Freiburg i/Br. 1932], გვ. 28 – 29 და 35). ანასტასის ეს წერილი დაცულია ლათინურ თარგმანში, რომელიც შესრულებულია IX საუკუნეში ანასტასი ბიბლიოთეკარის მიერ (Migne, *PG* 90, 173 შმდდ.); ბერძნულად კი მოღწეულია მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც როგორც ეს ჩანს ა. ბრილიანტოვის მითითებიდან (I. c. 8), დაუბეჭდავს С. Епифанович-ს 1915 წელს¹. ხოლო რუსულად უთარგმნია – ზოგგან პარალელური ბერძნული ტექსტის დართვით – მ. მურეტოვს (М. Д. Муретов-

¹) ს. ეპიფანოვიჩის (E) შრომა დაბეჭდილ წიგნთა კატალოგებში არსად ჩანს; ის იბეჭდებოდა ომის წლებში და იქნებ არც კი გამოსულა.

т о в, Максима Исповедника житие: Перевод, издание и примечания: *БВ* 1913 და 1914 წლებისა).

ანასტასის წერილის ნაწყვეტები დაცულია აგრეთვე მაქსიმეს „ცხოვრების“ ქართულ თარგმანში (გამოცემულია პროფ. კ. კეკელიძის მიერ [Keimena I, 60–103], რომელმაც აგრეთვე ცალკე გამოკვლევა უძღვნა ამ საკითხს – Сведения грузинских источников о Максиме Исповеднике: „Труды Киевской Д. Академии“, 1912).

რაც შეეხება თვით თეოდოსი განგრელის მოგონებებს, ის ბერძნულად დაცულია X საუკ. ხელთნაწერში Vaticanus gr. 1671, გამოქვეყნებული კი იყო ბოლო დრომდე მხოლოდ მისი ლათინური თარგმანი, მოთავსებული Migne, PGr 90,93 – 202 (Scholium sive Hypomnesticum...), და მ. მურეტოვის მიერ შესრულებული რუსული თარგმანი (*БВ*, 1914, февраль). გარდა ამისა ცნობილი იყო, რომ ს. ეპიფანოვის თავის გამოუქვეყნებელ წიგნში გამოცემული ჰქონდა აგრეთვე თეოდოსის „მოგონებებიც“ (А. Бриллиантов, 8).

1935 წელს Robert Devresse-მა გამოაქვეყნა ამ ძეგლის ბერძნული ტექსტი სათაურით *Ἱστορία σύντομος [περιέχουσα] τὰ κατὰ τὸν μακάριον Μαρτῖνον γεγονότα πᾶπαν Ῥώμης καὶ τὸν ἅγιον Μάξιμον καὶ τὸν σὺν αὐτῷ* (Analecta Bollandiana 53 [1935], p. 66 – 80); ტექსტს მან წარუმძღვარა გამოკვლევა (იქვე, p. 49 – 66), რომელშიაც ის ამტკიცებს, რომ ამ ძეგლის ავტორია არა თეოდოსი განგრელი, არამედ მისი ძმა **თეოდორე სპუდეოსი** (Σπουδαῖος), რომელსაც მიწერ-მოწერა ჰქონდა მონოთელიტთა მიერ დევნილ პაპა მარტინესთან და აგრეთვე ანასტასი აპოკრისიარისთან¹. Devresse-ის ეს დასკვნა გაიზიარა A. Ehrhard-მა (*BZ* 35, 474).

ვბეჭდავთ ტექსტებსა და თარგმანს Devresse-ის, Migne-ისა და მ. მურეტოვის გამოცემათა მიხედვით².

¹) ჯერ კიდევ P. Peeters-ი მიუთითებდა 1933 წელს: „Le narrateur, qui parle en son propre nom et au nom de son frère Théodose, est un certain Théodore que l'on a identifié à Théodore de Gangres, le correspondant de S. Martin et d'Anastase l'apocrisiaire“ (An. Bol]. 51, 241 – 242).

²) მ. მურეტოვის გამოცემული აქვს ტექსტი შემდეგი ხელთნაწერებისა და გამოცემების მიხედვით: *A* – მოსკოვის სინოდ. ბიბლ. ხელთნაწერი 1022 წლისა, № 308; *B* – იმავე ბიბლიოთეკის ხელთნაწერი XII – XIII და XV საუკ, № 391 *C* – Combefis-ის მიერ გამოცემული ტექსტები: *P* – ბერძნული „ცხოვრების“ ლათინური თარგმანი Pontanus-ისა; *S* – cod. ducis Sabaudiae, რომლის ციტატები მოყვანილია AASS-ში; *M* – მორინის მიერ ვატიკანის სამი ხელთნაწერის მიხედვით შესრულებული ლათინური თარგმანი; *D* – სლავურად გადამუშავებული „ცხოვრება“.

ანასტასი აპოკრიფის წერილიდან

მაქსიმეს გადასახლება ლაზეთში

მაშინ მსაჯულებმა ¹ შემდეგი განაჩენი გამოიტანეს მათ წინა-აღმდეგ; ვინაიდან ამ სინოდმა ჩვენი ჭეშმარიტი ღმერთის, ყოვლის შემძლე ქრისტეს დახმარებით კანონიკურად განსაზღვრა თქვენ წინააღმდეგ – მაქსიმე, ანასტასი და ანასტასი – ის, რაც საჭიროა..., უმაღლესი სასჯელისათვის გადაგცემთ მსაჯულს (ე. ი. ღმერთს) და ამით შევასრულებთ (უ. I. შევასუსტებთ) კანონთა ზუსტ დაცვას, რადგან სიცოცხლეს გიტოვებთ თქვენ, – და ვუბრძანებთ ბრწყინვალე ეპარქოზს ², რომელიც აქ არის ჩვენთან ერთად, ახლავე წაგიყვანოთ თქვენ ქალაქის პრეტორიუმში, გვემოთ ზურგზე შოლტების დარტყმით, ხოლო ღმერთის შემცოდე ენები შიგნიდანვე დაგაჭრათ, შემდეგ მახვილით მოგკვეთოთ მრუდე მარჯვენენი, თქვენს ღმერთისმგმობელ გონებას რომ ემსახურებიან, ამ ბილწ ასოთა მოკვეთის შემდეგ მოგატარონ ამ სამეფო ქალაქის თორმეტივე უბანი და გაგზავნოთ თქვენ სამუდამო სატუსაღოდ, ისიც მუდმივი ყარაულობის ქვეშ, ლ ა ზ ი კ ი ს ქ ე ე ყ ა ნ ა შ ი (*ἐν τῆς Δαξικῆς τήπυ Α*), რომ მთელი თქვენი სიცოცხლე ივაგლახოთ თქვენი ღმერთისმგმობელი შეცდომების გამო და რომ თქვენ მიერ ჩვენთვის მოაზრებული კრულვა თქვენ თავსვე დაატყდეს (*EB, 1913 октябрь, . გვ. 146 – 147*).

¹) ამის წინ „მაქსიმეს ცხოვრებაში“ მოთხრობილია მაქსიმეს და მის თანამოაზრეთა დევნის ისტორია: მაქსიმეს მოღვაწეობა კართაგენში 645 წლის მახლობელ ხანებში (აქ წარმოებული ბრძოლა მაქსიმესა და მონოთელიტებს შორის); მისი გადასვლა რომში (აქ მისი გავლენით პაპა მარტინეს მიერ 649 წელს მოწვეული ლატერანის სინოდი და მონოთელიტთა შეჩვენება); მისი დატყვევება რომში 653 წელს და კონსტანტინეპოლში გადაყვანა (აქ მისი გასამართლება 655 წელს და თრაკიის ბიზიაში გადასახლება); ახალი პროცესი ბიზიაში 656 წელს და მაქსიმეს გადასახლება პერბერისში; უკანასკნელ, მაქსიმეს და მის მოწაფეთა კვლავ კონსტანტინეპოლში დაბრუნება 662 წელს და სინოდის წინაშე მათი გასამართლება.

²) აქაც და ქვეითაც *Ἐπαρχος Α.*

³) ქართულს ვერსიაში სწერია: „უბრძანებთ დიდებულსა ე კ ა რ ხ ო ს ს ა, რამათა წარმოგადგინნეს ქალაქპეტობისა მისისა სამშჯავროსა და შოლტითა ზურგი თქუენი უწყალოდ გუემოს, და მერმე ენანი სამთანვივე ძირით აღმოგუეთნეს და მარჯუენანი ჳელნი, მწერალნი გმობათანი, მახვლითა დაგუეთნეს და შემდგომად დაჭრისა ბოროტთა მათ ასოთა თქუენთა განგაქიქნეს ათორმეტთა მათ უბანთა სამეფუოდსა ამის ქალაქისათა და შემდგომად განქიქებისა მის წარგავლინნეს სამარიდისოსა ექსორიობასა და პერობილობასა კ ე რ ძ ო თ ა ს ა მ ე გ რ ე ლ ო დ ს ა თ ა“ (*Keimena 93, 90 – 26*).

Ἐπὶ τούτοις παραλαβῶν αὐ-
 τὸς ὁ ὑπαρχος¹ καὶ κολάσας
 ἀπέτεμε² τὰς τε γλώσσας καὶ
 τὰς τιμίας χεῖρας αὐτῶν³, περι-
 αγαγὼν τε πᾶσαν⁴ τὴν πόλιν,
 κατὰ τὸ πρόσταγμα τοῦ τυράν-
 νου⁵, ἐξώρισεν ἐν τῇ Λαζικῇ τού-
 τούς⁶ τοὺς ἀληθῶς ὁμολογητὰς
 καὶ μάρτυρας τοῦ Χριστοῦ (BB,
 1913 Октябрь, 151—152).

Τότε δὲ ὁ μέγας μάρτυς Μάξιμος
 ἐν τῇ ἐξορίᾳ ἀπενεχθεὶς, καθὼς
 Αναστάσιος ὁ πρεσβύτερος καὶ ἀπο-
 κρισιάριος τῆς πρεσβυτέρας Ῥώ-
 μης γράφει πρὸς Θεοδοσίον πρε-
 σβύτερον, ἐν τῇ ἀγίᾳ πρόλει διά-
 γοντα (BB, 1913 Ноябрь, 161),

„Ἦνίκα κατέλαβον τὴν τῶν
 φιλοχρίστων Λαζῶν χώραν,
 εὐθὺς διεῖλον αὐτοὺς ἀπ’
 ἀλλήλων (αὐτὴν τε τὸν μέγαν
 Μάξιμον καὶ τοῦτον τὸν ταῦτα
 γράφοντα καὶ τὸν ὁμώνυμόν αὐ-
 τοῦ. Τοῦτο δὲ ἐποίησαν)⁷ κατ’
 ἐπιτροπὴν τοῦ τηλικαῦτα τὸ ἀρ-
 χεῖν λαχόντος αὐτόθι, διαρπά-
 σαντες καὶ πάντα τὰ ὑπάρχοντα
 αὐτοῖς, ὡς μηδὲ τὸ τυχεῖν κατα-
 λιπεῖν, ἅσα δηλαδὴ πρὸς τὰς

XCIII. მაშინ იპარქოზმა ჩაიბა-
 რა ისინი, დასაჯა, მოსჭრა მათ
 ენები და პატოსანი ხელები, და,
 როდესაც შემოატარა მთელი ქა-
 ლაქი, თანახმად ტირანის განკარ-
 გულებისა, ლაზიკეში გააძევა
 ეს ჭეშმარიტი აღმსარებელნი და
 ქრისტესთვის წამებულნი⁷.

XCVI. მაშინვე დიდი მოწამე
 მაქსიმე გადასახლებულ იქმნა,
 როგორც სწერს ანასტასი, ხუცესი
 და აპოკრისიარი უხუცესი რომი-
 სსა, თეოდოსი უხუცესს, რომელიც
 წმინდა ქალაქში ცხოვრობდა:

XCVII. „როდესაც ისინი⁸ ჩავი-
 დნენ ქრისტესმოყვარე ლაზთა ქვე-
 ყანაში, მაშინვე დაამორეს ისინი
 ერთმანეთს (თვით ის დიდი მაქ-
 სიმე, ამ წერილის დამწერი და მისი
 სეხნია. ეს ქნეს მათ)⁹ იმ ქვეყნის
 მაშინდელი მმართველი განკარ-
 გულებით; წაართვეს მათ ყველა-
 ფერი, რაც კი ჰქონდათ, ისე რომ
 აღარაფერი დარჩათ იმ ნივთები-
 დან, რომლებიც საჭიროებისათვის
 შეიძინეს მათ ქრისტესმოყვარე პი-

1) ἑπαρχος C.— 2) ἔτεμε C.— 3) τὰ μέλη αὐτῶν C.— 4) ὅλην C.— 5) κα-
 τὰ... τυράννου გამოტოვებულია C-ში. — 6) αὐτούς C.

7) ქართულ ვერსიაში: «მაშინ გუემნეს უწყალოდ მონანი იგი ღმრთისანი,
 და დაჰკუეთნეს ენანი და ჰელნი მათნი, და მოავლნეს ყოველსავე ქალაქსა, ბრძა-
 ნებისაებრ მძლავრისა მის, და წარავლინნა ექსორობად ს ა მ ე გ რ ე ლ ო ს»
 (Keimena 93, 31 – 34).

8) ანასტასი ბიბლიოთეკარის ტექსტში ყველგან პირველი პი-
 რით არის მოთხრობა.

9) ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები აკლია ანასტასი ბიბლიოთე-
 კარის ტექსტს.

ἀναγκαίᾳς χρείας παρὰ τῶν φιλοχρίστων ἐκέχτηντο. Καὶ τὸν μὲν θείον ἐκείνον ἄνδρα, φημὶ τὸν ἅγιον Μάξιμον μῆτε εἰς ὑπόζυγιον μῆτε εἰς φορεῖον¹ καθιεσθῆναι δυνάμενον διὰ τὸ ἐν ἀσθενείᾳ κατακείσθαι, πλέξαντες ἀπὸ βεργίων ὡσπερ χαλάνδριον² καὶ ἐν τούτῳ θίντες αὐτόν, βαστάσαντες ἀπήγαγον καὶ ἐνέβλησαν εἰς κάστρον λεγόμενον Σχιμάριον³, πλησίον διακείμενον τοῦ ἔθνους τῶν λεγομένων Ἀλανῶν. Τὸν δὲ κύριον ἀββᾶν Ἀναστάσιον καὶ τοῦτον αὐτόν τὸν ταῦτα γράφοντα ἐφ' ἵππον καθίσαντες ἀπήγαγον καὶ ἐνέκλεισαν (ἐκείνον μὲν) εἰς κάστρον λεγόμενον Σκοτόριον⁴, πλησίον τῆς Ἀβασγίας, τῆντον δὲ εἰς ἕτερον κάστρον, Βουκόλους ὄνομα, ἐν τοῖς ὁρίοις τῶν εἰρημένων Ἀλανῶν⁵.

Εἶτα μετ' ὀλίγας ἡμέρας λαβόντες αὐτόν καὶ τὸν μακάριον Ἀναστάσιον ἐκ τῶν εἰρημένων κάστρων, ἐκείνον μὲν παρέπεμ-

რებისაგან. ის ღვთაებრივი კაცი, – მე წმიდა მაქსიმეს ვგულისხმობ, – რომელსაც არც სახედარზე შეჯდომა შეეძლო, ადარც საკაცეზე დაწოლა, რადგან ლოგინად იყო ჩავარდნილი, დადვეს წნელებისაგან მოწნულ ლასტზე და ისე წაიღეს და მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიომა-რი და რომელიც მდებარეობს მახლობლად ალანებად წოდებული ხალხისა. უფალი ამბა ანასტასი და ამ წერილის დამწერი შესხეს ცხენებზე და ასე გაამგზავრეს და ჩამწყვდიეს: პირველი – აბაზგიის მახლობლად ერთ ციხეში, რომელსაც სკოტორი ეწოდება, ხოლო მეორე – სხვა ციხეში, ზემოხსენებულ ალანთა საზღვრებში რომ მდებარეობს და ბუკოლუსი რომ ეწოდება.

რამდენიმე დღის შემდეგ ის და ნეტარი ანასტასი წაიყვანეს ზემოხსენებული ციხეებიდან: პირველი გადაგზავნეს ეგრეთწოდებულ სკა-

¹) λεκτικιον B, Lectica MP.

²) grabatum CMP (grabatus ანუ κράβατος „საწოლი“).

³) ანასტასი ბიბლ.: in castro Schemari vocitato; Σχιμάριον B, Σχιμάριον C, Σχημάριον E (ასწორებს), Schemarium, SP, Schimaris M. (თელი, ამის შემდგომი, ნაწილი BMCPS-ში მოკლედ არის გადმოცემული: მისი მოწაფეები ჯერ იმავე გზით ატარეს, ხოლო შემდეგ ისინი დააშორეს ერთმანეთს და თითოეული მათგანი ატარეს მრავალ ადგილას, სადღაც შორს აბაზგების ქვეყნის იქითო (კაი πρόσθεα που της των Αβασγῶν χώρας ἀπαγομένους).

⁴) ანასტასი ბიბლ.: in castro Scotori dicto Apsoloae, quae est prope Abasgiam (Migne 90,173).

⁵) ანასტასი ბიბლ.: me autem in altero castro, cuius nomen Buculus erat, regionis, quae Mesimiana vocabatur, in iam dictorum confinibus. Alanorum: quod videlicet castrum iidem Alani captum nunc retinere noscuntur; (Migne 90,173).

ψαν εἰς κάστρον τῆς λεγομένης Σουανίδος, ἥδη λοιπὸν ἡμιθανῆ ὄντα ἐκ τοῦ πλήθους τῶν βασάνων καὶ τῶν αἰκισμῶν, ὧν ἐν τῷ Βυζαντίῳ ὑπέμεινεν, οὐ μὴν ἀλλὰ καὶ τῶν ἀναγκῶν, καὶ περιστάσεων τῶν αὐτόφθι ἐπενηγεγμένων αὐτοῖς, "Ὅθεν ἐν μέσῳ τῆς ὁδοῦ, ὡς τινες φασίν, παρέδωκε τῷ θεῷ τὴν μακαρίαν αὐτοῦ ψυχὴν¹. Τεκμαίρομαι τοίνυν, ὅτι εἴτε περὶ τὴν δευτέραν εἰκάδα εἴτε περὶ τὴν τετάρτην τοῦ ἰουλίου μηνός, ἐν κυρίῳ κεκοιμηταὶ ὁ μακάριος Ἀναστάσιος. Ἦνέχθημεν γὰρ τῇ ὀκτωκαιδεκάτῃ τοῦ αὐτοῦ ἰουλίου μηνός ἀμφοτέροι εἰς τὸν λεγόμενον Μουκურισιν², καὶ ἐκεῖνος ὁ μακάριος ἥδη, ὡς ἔφηγ, ἡμιθανῆς ὑπῆρχεν· ἐκ τότε δὲ οὐδέποτε αὐτὸν ἐμθεασάμεν, διὰ τὸ εὐθὺς ἐκεῖνον μὲν παραπεμφθῆναι εἰς κάστρον τῆς Σουανίας, ἐμὲ δὲ εἰς κάστρον τῆς λεγομένης Θακυρίας, πλησίον Ἀβασγίας³.

ნ ი დ ი ს (სვანეთის) ციხეში, თითქმის ცოცხალმკვდარი იმ წვალე-ბათა და ტანჯვათა გამო, რომლებიც მან ბიზანტიონში განიცადა, და აგრეთვე იმ გაჭირებათა და შეწუხებათა გამო, რომლებიც მათ იქ (ლაზეთში) შეხვდათ. როგორც ზოგიერთები ამბობენ, მან შუაგზაში ჩააბარა თავისი ნეტარი სული ღმერთს. ამრიგად, მე ვამოწმებ, რომ ან ოცდაორ ან ოთხ ივლისს განუტევა სული ნეტარმა ანასტასიმ, ვინაიდან იმავე, ივლისის თვრამეტს ჩვენ ორივე მიგვიყვანეს ეგრეთწოდებულ მ უ კ ო რისისში და ის ნეტარი, როგორც ვთქვი, ცოცხალმკვდარი იყო; მას აქეთ ის აღარ მინახავს, რადგან მაშინვე გადაგვაგზავნეს: ის სვანეთის ციხეში, ხოლო მე ეგრეთწოდებული თავკრიის ციხეში აბაზგიის მახლობლად⁴.

1) ანასტასი ბიბლ.: unde et in medio viae, ut quidam hung, – ut autem alii asserunt, mox ac retrusus est in castro Suaniae, ad quod destinatus fuerat, obiit (M i g n e 90, 173).

2) ანასტასი ბიბლ.: Mucurisin.

3) ანასტასი ბიბლ.: Thacyria iuxta Hiberiam.

4) ქართულს ვერსიაში: «ხოლო მიიწინეს რაჲ ქუეყანასა მას მეგრელთასა, მეყსეულად განყვნეს იგინი ურთიერთას, რამეთუ ესრეთ მიეღო ბრძანებაჲ, და რადცა აქუნდა საკმარად ჯორცთა, ყოველივე იავარ-ყვეს: არაჲ დაუტევეს მათ-თანა ყოვლადვე, რაოდენიცა რაჲ ღმრთის-მოყუარეთა კაცთა მიეცა. და ნეტარი იგი და წმიდაჲ მაქსიმე უძლურებასა შინა დიდსა იყო: ვერ ეძლო ვერცა კარაულსა ზედა ჯდომად, ვერცა სავარძელსა, არამედ ქმნეს ლასტი, და დადვეს მას ზედა, და ატვრთვიეს პაჰრაკთა, და წარიყვანეს და შეაწყუდიეს ციხესა, რომელსა ეწოდებოდა ჰ ი მ ა რ, მახლობლად ქუეყანასა ო ვ ს ე თ ი ს ა ს ა. და ძმად ანასტასიოს საჯდრითა წარიყვანეს და შეაყენეს ციხესა აფხაზეთისასა, რომელსა ეწოდების კ ო ტ ო რ ი, და მეორე ანასტასიოს, რომელმან ესე ყოველი აღწერა და მომიძღუანა თ ე ო დ ო ს ი ხ უ ც ე ს ა, რომელმან აღწერე ყოველივე ესე.

ანასტასის თავგადასავალი ლაზეთში

Interea et quae mihi peccatori et exiguo post haec contigerunt, et in quibus sim, pari modo perpaucis manifestabo. Cum enim fecissem duos menses in castro praedicto Thacyriae in infirmitate jacens, et paucillum quid requiem fuisset adeptus, rursus misit me tunc princeps ad partes Apsiliae et Misimianae, custodiae mancipandum in castro Phustas. Et ut absolute dicam, septem mensibus duxit et circumduxit me per omnes praedictas regiones nudum et discalceatum et peditem, et frigore et fame et siti depressum, volens profecto et me quoque ab hac detergere vita..

Post aliquot itaque dies petitur illinc praedictus princeps. Deinde succedens alius visus est compati. Inter quae duxit me juxta domum suam receptum a jam memorato castro Phustensium. Et post annum ex diabolica operatione

სხვათა შორის მოკლეთვე გაუწყებთ იმასაც, რაც მე – ცოდვილსა და საწყალობელს – შემემთხვა და რა პირობებში ვიყავი მე. მის შემდეგ რაც მე დაუძღურებული ვიწექი ორი თვის განმავლობაში თავკურთხის ზემოხსენებულ ციხეში და ცოტაოდენი სიმშვიდე ვპოვე, მთავარმა კვლავ გადამგზავნა აფსილიისა და მისიმიანის მხარეებში, რათა ფუსტას ციხეში დავემწყვდიეთ. საბოლოოდ რომ ვთქვა, ის შვიდი თვის განმავლობაში აქეთ-იქით მატარებდა ფეხით ყველა ზემოხსენებულ მხარეებში, ტიტველს და ფეხშიშველს, მშიერსა და მწყურვალს – და უნდოდა მეც გამოვესალმებინე სიცოცხლეს.

რამდენიმე დღის შემდეგ იქიდან გააძევეს ზემოხსენებული მთავარი. შემდეგ, მის ადგილას მოსული სხვა მთავარი თანაგრძნობით შემხვდა მე. სხვათა შორის, ზემოხსენებულ ფუსტელთა ციხიდან წამიყვანა და თავისი სახლის მახლობლად მომათავსა. ხოლო

მოღუაწებაი წმიდისა მაქსიმესი, – ესე ანასტასიოს შეაყენეს ციხესა, სახელით ბოკელეს (I. v. ბუკელეს), საზღვართავე ოვსეთისათა. მერმე, შემდგომად მცირედისა ჟამისა, გამოიყვანნეს სენანი იგი ძმანი ციხეთა მათგან და წარიყვანეს ანასტასიოს ხუცესი ციხესა სუანთასოფლისასა; და იყო იგი მიახლებულ სიკუდილსა მრავალთა მათ ტანჯვათაგან და ჭირთა, რომელნი შემემთხვნეს ბიზანტიას და გზასა, და ვიდრე არღა მიწევნულ იყო ციხესა მას, აღესრულა და მივიდა სიხარულით სასუფეველსა ცათასა თუესა ივლისსა ოცდამთხსა. ხოლო ანასტასიოს დიაკონი წარიყვანეს ციხესა თავკურთხისასა აფხაზეთს» (Keimena 93,34 – 94,15).

motus, destinat me ad praedictum castrum. Sed... eadem die qua me pepulit, pulsus est hinc, et efficitur profugus in Christi amatorum regione Abasgorum. Et consilio accepto a Christi amicis, qui illis erant, principibus, magis compatiendi, quam me minimum persequendi, et orationem a me potius quam gemitum percipiendi (ipsi quippe amici Christi principes Abasgiae compatiuntur humili mihi, quamquam nescierint me), repromisit quidem illis, quod si exiret inde, et restitueretur in principatu, omnia quae forent ad solatium et refrigerium meum perficeret. Dein post paucos dies, nescio unde adjutus, egreditur quidem iterum et recipit principatum: nil tamen eorum quae pollicitus est deo, et crebro dictis dei amicis principibus, in opus perduxit. E contrario autem, manibus nequam deductus virorum, repromissionum quidem oblitus est: tolli autem me a castro Phustensium, et maturius in Schemareos castrum mitti praecepit.

Factum interea est, cum ducerent me in jam nominatum castrum, ut ille iterum pellere-tur, et esset profugus ubi et primum fuerat... Et deum imitan-

ერთი წლის შემდეგ – ეშმაკის ჩაგონებით – ზემოხსენებულ ციხეში გამგზავნა... მაგრამ იმავე დღეს, როდესაც მე გამაძევა, ის თვითონაც იქმნა გაძევებული იქიდან, და დახეტიალობდა ქრისტესმოყვარე აბაზგების ქვეყანაში.

იქაურმა ქრისტესმოყვარე მმართველებმა ურჩიეს, რომ ჩემთან თანაგრძნობით ყოფილიყო და სრულიადაც არ ეწარმოებინა დევნა, ჩემგან სიტყვები ესმინა და არა გმინვა, და ისიც შეჰპირდა მათ, რომ, თუ ის იქიდან დააღწევდა თავს და აღიდგენდა მმართველობას, ყველაფერს შეასრულებდა ჩემს სანუგეშებლად და დასამშვიდებლად (უნდა ითქვას, რომ თვითონ ისინი, აბაზგიის ქრისტესმოყვარე მთავრები, თანამიგრძნობდნენ მე, საწყალობელს, თუმცა არ მიცნობდნენ). რამდენიმე დღის შემდეგ არ ვიცი.

საიდან - დახმარება მიიღო, კვლავ გავმართა და მმართველობა დაიბრუნა. მაგრამ არაფერი შეასრულა იმ დაპირებათაგან, რომლებიც აღუთქვა ღმერთს და ზემოხსენებულ ღვთისმოყვარე მთავრებს. პირიქით, ამ კაცების ხელებით გაჭირებიდან გამოყვანილმა არამზადამ დაივიწყა დაპირება: უბრძანა გამოვეყვანეთ მე ფუსტელთა ციხიდან და სასწრაფოდ გავგზავნეთ სხემარის ციხეში.

ამასობაში მოხდა ისე, რომ,

როდესაც მე ზემოხსენებულ ციხეში მივყავდით, ის (მმართველი) კვლავ გააძევეს, და ის გაიქცა იქ, სადაც წინათაც იყო... და, ღმერთის

te condensatione seu compassionemotus, reduxit me a via crebro dicti Schemareos castris, et constituit me quasi quinque signis¹ longius a divinitus custodienda domo sua in loco monachos veraciter condecete, praebens necessarias largissime corporis utilitates...

Denique Stephanum, filium videlicet beati Joannis praesbyteri, venientem in hanc regionem, ut asseruit, ad requisitionem humilitatis meae, ipsi cum omni studio et gaudio susceperunt et honoraverunt, et omnem subventionem ad requisitionem mei tribuerunt... Unde et subsidium eorum habens, invenit me, sanctus ille Stephanus... Sicut enim equus spiritualis... totam Lazicam et Apsilliam et Abasgiam discurrens, sine timore tam quae veritatis, quam quae subintroductae novitatis erant, annuntiavit; ac multorum utilitatis atque salutis, et meae ipsius quietis et consolationis causa viri est facta praesentia. Et nequam nomen, quod veri apostatae veritatis nobis imposuerunt, et tunc dissipatum est, et evidens multis veritas facta est. His itaque bonis hic proprio adventu correctis, nobilis

წამბაძავი თავმდაბლობით თუ შეცოდებით მოუვიდა ეს, არ ვიცი, – მე კი დამაბრუნა ზემოხსენებულ სხემარის ციხის გზიდან და მომათავსა ხუთი სიგნის 1 მანძილზე თავისი ღვთივ დაცული სახლიდან, მონაზონებისათვის სრულიად შესაფერის ადგილას, და უხვად მაწვდიდა მე სხეულისათვის საჭირო საგნებს.

დასასრულ, როდესაც სტეფანე, ნეტარი იოანე ხუცესის შვილი, მოვიდა ამ ქვეყანაში, როგორც ის ირწმუნებოდა, ჩემ სამებრად, იმათ (ქვეყნის მცხოვრებლებმა) დიდი ხალისით და სიამოვნებით მიიღეს ის, პატივი სცეს და ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინეს ჩემ საპოვნელად. იქიდან, მათი დახმარებით, მიპოვა მე იმ წმიდა სტეფანემ... როგორც სულიერმა ცხენმა, მოირბინა მან მთელი ლაზიკე, აფსილია და აბაზგია და უშიშრად ქადაგებდა როგორც ჭეშმარიტების, ისე შემოტანილი ახალი მიმართულების შესახებ; ამ კაცის იქ ყოფნა მიზეზი აღმოჩნდა მრავალთა სარგებლობისა და ხსნისა და აგრეთვე ჩემი პირადი სიმშვიდისა და ნუგეშისა. ის უღირსი სახელი, რომელიც ჭეშმარიტებისაგან ნამდვილმა განდგომილებმა ჩვენ მოგვაკუთვნეს, მაშინ გაქრა და ბევრისთვის ცხადი გახდა ჭეშმარიტება. ასეთი კეთილი საქმეები რომ განაწესა მან თავისი საკუთარი

¹) signum იგუვია, რაც *σημεῖον* (იხ. ქვემოთ გვ. 50, შენიშვნა 2): «S i g n u m, milliare, *σημεῖον*» (D u C a n g e, Glossarium med. et inf. latinitatis t. VI, 252)

ille vir Kalendis Januarii VIII indictionis, quae modo praeteriit, apud Christi amicum Abasgiae principem dormivit in domino.

Quapropter oportebat quosdam ex vestratibus dei amatoribus, et secundum scientiam zelum dei habentibus, huc venire, et quae veritatis et pro veritate sunt, testificari, ut et orthodoxia magis convalesceret et introducta novitas per amplius argueretur. Sed et ego humilis consolatione ac refectioe potirer... et maxime cum usque ad Hiberiam illinc, ut didici, veniant, cujus rei gratia et huc minime veniunt?

Obsecro igitur sanctissimos vos, si possibile fuerit, transmitti mihi per quempiam fidelem virum, ex his qui ad Hiberiam veniunt, codicem eorum quae canonice gesta sunt a sancta et apostolica synodo, quae per sacram praeceptionem sancti martyris et apostolici ac summi papae Martini, in seniore Roma est celebrata, quatenus multo magis sacra sanctorum Patrum dogmata, et quae olim et quae nunc exortae sunt haereticorum abominations evidentes hic positae efficiantur...

Ergo si, ut flagitavi, a deo compuncti sacrum codicem mi-

მოსვლით, ეს შესანიშნავი კაცი გარდაიცვალა წარსული ინდიქტიონის რვა იანვარს, ქრისტესმოყვარე კაცის, აბაზგიის მმართველის სახლში.

ამიტომ, ურიგო არ იქნებოდა, რომ ზოგიერთი თქვენთანთაგან, რომელთაც აქვთ ღმრთის სიყვარული და მისდამი სწრაფვა ცოდნისამებრ, აქ მოსულიყო და დარწმუნებულიყო, თუ რა არის ჭეშმარიტება და რა არის მისი მაგიერი, რათა ისინი განმტკიცებულიყვნენ მართლმადიდებლობაში და შემოტანილი ახალი მიმართულება სრულიად გამომჟღავნებულიყო და მეც, საწყალობელი, ნუგეშსა და შვებას ვპოვებდი... – თუკი, როგორც გავიგე, ჰიბერიამდე მიდიან იქ, რატომ აქაც არ მოდიან?

გევედრებით თქვენ, უწმინდესნო, თუკი შესაძლებელი იქნება, გადმომიგზავნეთ ერთ-ერთი სარწმუნო, ჰიბერიამი მომავალი, კაცის ხელით იმ დადგენილებათა კოდექსი, რომლებიც დააკანონა წმინდა და სამოციქულო სინოდმა, წმინდა და სამოციქულო მოწამის და უზენაესი პაპის მარტინეს წინადადებით, უხუცეს ქალაქ რომში, რადგან იქ გაცილებით უკეთ არის გაშლილი წმინდა მამების დოგმატები და მწვალებლური საზიზღროებანიც, როგორც წინანდელნი ისე ახლა აღმოცენებულნიც.

ამრიგად, თუ თქვენ, როგორც გთხოვდით, გამომიგზავნით ღმრთის

seritis, siquidem voluerint qui hunc portaturi sunt, huc venire, ad famosissimum et deo custodiendum patricium et cum deo magistrum Gregorium sponte occurrant, suscipientes ad eum palam epistolam a laudabili patricio et praetore Hiberiae[...], qui debeat illum mittere praefato domino nostro et amplissimo patricio et cum deo magistro Gregorio.

ჩაგონებით წმინდა კოდექსს, იმათ, რომლებიც წამოიღებენ მას და მოისურვებენ აქ მოსვლას სახელოვანსა და ღვთივდაცულ პატრიკოსს და ღვთივ მაგისტროს გრიგოლისთან, თან იქონიონ მისდამი მიმართული წერილი ჰიბერიის ღირსსაქებ პატრიკოსისა და პრეტორისაგან, [მაგრამ თუ ისინი არ მოისურვებენ აქ მოსვლას, გადასცენ ის კოდექსი ჰიბერიის ზემოხსენებულ სახელოვან პრეტორს,]

რომელიც ვალდებული იქნება გადმოუგზავნოს ის ზემოხსენებულ ჩვენს უფალს და სახელოვან პატრიკოსსა და ღვთივ მაგისტროსს გრიგოლის (Migne, PGr 90, 174 – 177).

თეოდოსი განგრელის «მოგონებებიდან»¹

ქვეყნის გაჩენიდან 6118 წელს, თუ ცოტა უფრო გვიან, როდესაც ღვთის შეწევნით ირაკლი მეფობდა და როდესაც კონსტანტინეპოლის სასულიერო ტახტი სერგის ეჭირა², ქვეყანას მოედო მონოთელიტთა მწვალებლობა, რომელიც თითქმის სამოც წელს მძვინვარებდა (აქვე მოკლედ მოხსენებულია მონოთელიტ კეისრების მიერ მარტინე პაპის, მაქსიმესი და ანასტასის დევნის შესახებ). კონსტანტი³ არ დასჯერდა ამ ამბებს და ჯერ წმიდა მაქსიმე მისი მოწაფითურთ (ანასტასითურთ) ჩამწყვდია ციხეში, და რომ დაინახა, რომ მიუხედავად მრავალი ბრალდებისა, ისინი მაინც იცავდნენ მართლმადიდებლობას, ბრძანა გაემევებინათ ისინი თრაკიაში, ქალაქ ბიზიაში და ქალაქ პერბერისში.

¹) იბეჭდება R. Devresse-ის გამოცემის მიხედვით xxx *Boll.* 53 [1935], 66 – 80. იხ. ზემოთ გვ. 39); ხელთ გვექონდა აგრეთვე ანასტასი ბიბლიოთეკარის მიერ შესრულებული ლათინური თარგმანი (Migne, PGr 90, 193 – 202) და მ. მურეტოვის მიერ ლათინური ტექსტის მიხედვით შესრულებული რუსული თარგმანი (*Богословский Вестник*, 1914 февраль).

²) ირაკლი მეფობდა 610 – 641 წწ., ხოლო სერგი პატრიარქობდა 610 – 638 წწ.

³) იგულისხმება კონსტანტინე პოგონატი (641 – 668), რომელიც ბერძნულ წყაროებში ორი სახელით იხსენიება (*Κωνσταντίνος III* და *Κωνσταντίνος II*)

Αὐτίς δὲ ὡς δράκων ὁ αὐτὸς
Κώνστας τούτους πρὸς ἑαυτὸν
ἐπισύρει. Οἱ δὲ ἀνακρινόμενοι
πλέην μάλλον ἔλεγξαν αὐτὸν τε
καὶ τοὺς μετ' αὐτοῦ. Μανίχ' οὖν
χρησάμενος τούτων ἐκτέμνει τὰς
χεῖρας καὶ τὰς γλώσσας καὶ πα-
ραπέμπει αὐτοὺς ἐν Λαζική εἰς
ἑξορίαν (Anal. Boll. 53, p. 67,9-13).

იმავე კოსტამ, ვითარცა დრა-
კონმა, კვლავ მოაყვანიხა ისინი
თავისთან. როდესაც იმათ ასამარ-
თლებდნენ, ისინი კიდევ უფრო მე-
ტად ჰკიცხავდნენ მას და მისია-
ნებს. გაცოფებულმა კოსტამ მათ
ხელები და ენები დააჭრევინა და
ლაზიკეში გადაასახლა ისინი.

1. ეს ყველაფერი გადმოწერილია თვით იმ წერილიდან ¹, რო-
მელიც ანასტასი ხუცეს-მონაზონისა და აპოკრისიარის საკუთარი ხე-
ლით იყო დაწერილი. დაწერილი კი იყო ის მის მიერ... მისი წმიდა
მარჯვენა ხელით, რომელიც მას მოჭრილი ჰქონდა და რომლის
მხოლოდ მკლავი იყო დარჩენილი, ესე იგი უმტევნოდ და უთითე-
ბოდ; საკვირველი წესით მოუხერხებია მას დაწერა: მიუბამს ორი
ძალიან პატარა და წვრილი ჯოხი და ასე დაუწერია; უფრო მართა-
ლი იქნება რომ ვთქვათ, რომ მან დასწერა ღვთაებრივი ძალისა და
წყალობის საშუალებით, ისევე როგორც თავისუფლად და დაუბრ-
კოლებლად ლაპარაკობდა ჭეშმარიტად ღვთაებრივი და უხილავი
ენით, თუმცა ის ძირშივე ჰქონდა მოჭრილი,

ὡς Λεβερνίκιος ὁ πατριῖος
Λαζικῆς μετ' ἑρῶων φρικτῶν
ἀφηγήσατο ἡμῖν, οἰκονομῆς Φεοῦ
αὐτόπτης ἐπὶ τὸ αὐτὸ γενόμενος,
δυσπιστῶν ἐπὶ τὸ παράδοξον τοῦ
μεγάλου τούτου θαύματος (Anal.
Boll. 53, p. 68, 23-26).

როგორც გვიამბო ჩვენ, საში-
ნელი ფიცის ქვეშ, ლაზიკის პატ-
რიკოსმა ლებარნიკოსმა,
რომელიც – ღვთის განგებით – ამის
თანამხილველი ყოფილა და თავის
თვალეზს ძლივს უჯერებდა ამ დი-
დი საკვირველების უცნაურობის
გამო ².

2. მართო ეს წერილი კი არ დასწერა მან ამ წესით, არამედ
მრავალი სხვა წიგნიც და საკუთარი ნაშრომების და წმინდა ნა-

¹) იგულისხმება ანასტასი აპოკრისიარის წერილი, მიწერილი – როგორც
აქამდე ცნობილი იყო – თეოდოსი განგრელისადმი, რომელმაც ეს წერილი შემდეგ
გამოაქვეყნა (იხ. ზემოთ მოყვანილი ნაწყვეტები, გვ. 40 – 48).

²) სამართლიანად შენიშნავს ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი (I. c. 47¹), რომ აქ იგივე
სახელი უნდა იგულისხმებოდეს, როგორც თ ე ო ფ ა ნ ე ჟ ა მ თ ა დ მ წ ე რ ე ლ ს
მოსხენებული ჰყავს ლაზეთის მმართველი 697 წლისთვის: «ლ ა ზ ი კ ი ს პ ა ტ რ ი-
კ ი ო ს ი ს ე რ გ ი, ბ ა რ ნ უ კ ი ს ძ ე» de Boor 370: *Σέργιος, ὁ πατριῖος τῆς
Λαζικῆς, ὁ τοῦ Βασιουκίου*); შეიძლება პატრიკოსი სერგი იმ ლებარნიკის შვი-
ლიც იყოს, რომელმაც 668 წელს თეოდოსის უამბო ანასტასის თავგადასავალი.

4. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1940, I.

წარმოების ტომებში (ἀλλὰ καὶ ἐτέρων πλείστω βίβλων καὶ τόμων

ἰδῶν αὐτοῦ πονημάτων καὶ συγγραμμάτων ἱερῶν... γραφέντων)...., როდესაც ის იყო თავის უკანსკველ, ესე იგი მესამე ექსორიაში,

ἐν κάστρῳ ἐπιλεγόμενῳ Θουσοῦ-
μης, κειμένῳ ἐπάνω χωρίου Μό-
χοις (Mochoes), κλίματος Ἰψι-
λίας τέλους, κατ' ἀνατολὰς τῆς
Ποντικῆς θαλάσσης, παρ' αὐτὸν
τὸν πόδα τῶν Καυκασίων¹ ὄρεων,
πλησίον τῆς τῶν φιλοχρίστων
Ἰβασγῶν χώρας καὶ τοῦ ἔθνους
τῶν Ἰλλανῶν, ὡς ἀπο σημείων²
πέντε τοῦ χωρίου Ζιχαχῶρεως³
(a praedio Zichachorio), ἦγουν
τοῦ πρώτου οἴκου Γρηγορίου τοῦ
ὄντως φιλοχρίστου πατρικίου καὶ
μαγίστρου τῆς αὐτῆς τῶν Λαζῶν
χώρας, ὃν καὶ μνήμην ἀγαθὴν
ἀξίως πεποιήται ἐν τῇ τοιαύτῃ
ἐπιστολῇ μεταστάντος αὐτοῦ, βίβλ
καὶ ἐπιτροπῇ τῶν ἐκεῖσε πρὸ αὐ-
τοῦ ἀθλίων ἀρχόντων ἕως αὐτοῦ,
ἐν τῇ αὐτῇ τρίτῃ ἐξορία ἐπτάκις
ἐν δυσχερέσει τόποις καὶ θλίψει
πολλῇ, ἐν τῷ εἰρημένῳ κάστρῳ
Θουσαῦ ἐν κυρίῳ κεκοίμηται αὐτός
(Anal. Boll. 53, p. 69, 21 — 70, 7).

იმ ციხეში, რომელსაც თ უ ს უ მ ე-
ს ი ეწოდება და რომელიც მდე-
ბარეობს სოფელ მოქვის ზემოთ
ავსილიის მხარის საზღვარზე, პონ-
ტოს ზღვის აღმოსავლეთით, კავ-
კასიის მთების ზედ ძირში, ქრის-
ტესმოყვარე აზაზგებისა და ალან-
თა ტომის მახლობლად, ხუთი სი-
მიის მანძილზე სოფელ ჯ ი ხ ა ხ ო-
რ ი დ ა ნ, ესე იგი იმავე ლაზთა
ქვეყნის ჭეშმარიტად ქრისტესმო-
ყვარე პატრიკიოსისა და მაგისტ-
როსის გრიგოლის პირველი სახ-
ლიდან, რომელსაც ის ამ წერილ-
ში ღირსეულად მიუძღვნის კეთილ
ხსოვნას; იმ საცოდავი მმართვე-
ლების იძულებით და განკარგუ-
ლებით, რომლებიც მის წინ იყვ-
ნენ იქ ვიდრე მის დრომდე, ის ამ
მესამე ექსორიაში დროს შვიდ-
ჯერ იქნა გადაწაცვლებული უხე-
ირო ადგილებში და დიდად და-
იტანჯა, და გარდაიცვალა ხსე-
ნებულ თ უ ს ა ვ ი ს ციხეში.

5. შემდეგ, წმიდა და ნეტარხსენებული მაქსიმე..., რომლის
ძველი ყოველ დამე ლამპრებს აჩენს, იხილვება იმ დღიდან, როდესაც
გარდაიცვალა, ვიდრე დღევანდლამდე..., როგორც ამას გვაც-
ნობებს ზემოთ მოყვანილი წერილი. ჩვენ თვითონაც საკუთარი ყუ-
რით გვსმენია იმ ადგილის მრავალი მმართველისა და მცხოვრებლე-
ბისაგან (παρὰ πολλῶν τῶν ἐκεῖσε ἀρχόντων τε καὶ οἰκητόρων), რო-

¹) ხელნაწერში *Καυκασίων*.

²) *Σημεῖον* აღნიშნავს მანძილს, ათას ნაბიჯს: **Σημεῖον, μέλλαν* (Suidas); «*Σημεῖον* Milliare, Lapis milliaria» (D u c a n g e, Glossarium med. et. inf. Graecitatis).

³) *Ξιχαχῶρεως* *E* (Бриллианов, 37).

მლებიც ფიცის ქვეშ გვიამბობდნენ დარწმუნებით ამ საკვირველების შესახებ. ხოლო იმათგან, რომელთაც საკუთარი თვალთ უნახავთ ეს ლამპრები, ერთი დღესაც ცოცხალია,

ὁ τοῦ αὐτοῦ ἀστροῦ Σχημάρου (Chemareus) ἀμῆς Μιστριάνου, ὁ καὶ βίγλεσαν μετὰ τῶν ἑαυτοῦ στρατιωτῶν ταύτις ἐχ' ἄπαξ ἐς θῆς¹, ἀλλὰ καὶ πολλακις θεασάμενος καὶ πᾶσι πρῶτος φανερώς κηρῆξας (Anal. Boll. 53, p.

იმავე ს ხ ი მ ა რ ი ს ციხის უფროსი მისტრიანე, რომელსაც თავის ჯარისკაცებთან ერთად დარაჯობის დროს, არა ერთხელ და არა ორჯერ, არამედ ხშირად უნახავს ეს ლამპრები და პირველს მას უამბნია ეს ყველასათვის².

75,9-12).

ჩვენ კი ვერ შევძელით იქ მიგვეღწია, რადგან მეტად ძნელია ასვლა იმ მთაზე, ესე იგი კავკასიონის მწვერვალზე – მასზე უფრო

1) ხელთნაწერში ὁ δειξ.

2) ზემოთმოყვანილი ტექსტები შეიცავენ მრავალ ძვირფას ცნობას ლაზეთის ზოგიერთი გეოგრაფიული პუნქტისა და ლაზეთის (და ნაწილობრივ იბერიის) პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ VII საუკუნეში. ამ ტექსტებში მოხსენებული გეოგრაფიული პუნქტების დასადგენად დიდი მუშაობა გაწეული პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს (Сведения груз. источников о Максиме Исповеднике, Киев., 1913) და ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი ს (XB, VI) მიერ; R. Devreese-მაც სცადა (An. Boll. 53) შეხებოდა ზოგიერთ ამ გეოგრაფიულ პუნქტს, მაგრამ რამდენადაც მის ნარკვევს მიზნად აქვს დასახული ამ ტექსტების ერთი ნაწილის, ე. წ. Hypomnesticumის ბერძნული ტექსტის გამოცემა და მისი ავტორის ვინაობის (თეოდორე Σπυριδαιος-ის) დადგენა, ამდენად ის გეოგრაფიული პუნქტების შესახებ დაკმაყოფილებულა მხოლოდ ზოგიერთი მითითებით, ზედმიწევნით რკვევას კი არ შესდგომია.

პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა და ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი ს გამოკვლევათა წყალობით მრავალი პუნქტის საკითხს მოეფინა შუქი, მაგრამ დარჩა ზოგიერთი საკითხი, რომელთა საბოლოო გარკვევისათვის არსებული მასალები არ კმარა.

ჩვენს ტექსტებში მოხსენებულია შემდეგი გეოგრაფიული პუნქტები: ს ქ ი მ ა რ ი (სქიომარი, სხიმარი), ს კ ო ტ ო რ ი, მ უ კ ო რ ი ს ი, ბ უ კ ე ლ ო ს ი (ბუკოლუსი), თ ა კ ვ რ ი ა, ფ უ ს ტ ა, თ უ ს უ მ ე. მოხსენებულია ეს პუნქტები შემდეგ კონტექსტში:

ბიზანტიის მონოთელიტურმა ხელისუფლებამ, რომლის სათავეში იდგა მაშინ კონსტანტინე III პოგონატი (641 – 668), მონეთელიტური მიმდინარეობის მოწინააღმდეგენი, მაქსიმე და ორი ანასტასი, გადაასახლა ლაზეთში 662 წელს. სამივე მოღვაწე ერთად გააგზავნეს ლაზეთში, ხოლო ლაზეთში ჩაყვანის შემდეგ ისინი ერთმანეთს დააშორეს და სხვადასხვა ადგილი მიუჩინეს საპყრობილედ: მ ა ქ ს ი მ ე ს – სქიმარი (Σχισμάριον, Σχημάριον, Σχημάριον, Σχημάριον, Schemarium, Schimaris, «ჰიმარი»), ა ნ ა ს ტ ა ს ი ბ ე რ ს – სკოტორი (Σκοτόριον, Scotori, «კოტორი»), ა ნ ა ს ტ ა ს ი ა პ ო კ რ ი ს ი ა რ ი ს – ბუკოლუსი (Βουκολοῦς, Buculus, «ბოკელე», «ბუკელე»). მაქსიმე გარდაიცვალა იმავე სხიმარის ციხეში, ხოლო

მაღალი მთა არ არსებობს დედამიწის ზურგზე (δὶὰ τὴν τῆν τὸν ὄρουσ ἐκείνου ἦτοι τῆς κορυφῆς τῶν Καυκασίων, ὅν ἠψηλότερον ὄρος ἐπὶ γῆς οὐκ ἔστιν, ἔσχερειαν), თანაც ზამთარი იყო და გარდა ამისა იმ მხარეში ხალხი ღელავდა.

მისი მოწაფეები კიდევ ატარეს სხვადასხვა ციხეში. შემდეგი ცხრილი ნათელ-ჰყოფს ამ მარშრუტს.

ანასტასი ბერი

სკოტორი: აბაზგიის მახლობლად (ბერძნ.)
 აბაზგიის მახლობლად მდებარე აფსილიის ციხეში (ლათ.)
 ციხესა აფხაზეთისასა (ქართ.)

↓
 მუკორისი (გზად)

↓
 სვანეთის ციხე.

ანასტასი აპოკრისიარი

ბუკოლუსი: ალანთა საზღვრებში (ბერძნ.)
 ალანთა მეზობლად, მისიმიანის ქვეყანაში (ლათ.)
 საზღვართა ოვსეთისათა (ქართ.)

↓
 მუკორისი (გზად)

↓

თაკვირია: აბაზგიის მახლობლად (ბერძნ.)
 ი ბ ე რ ი ს მახლობლად (ლათ.)
 აფხაზეთს (ქართ.)

↓
 ფუსტა: აფსილიისა და მისიმიანის მხარეებში (ლათ.)

↓
 მთავრის სახლი (ლათ.), [ჯიხახორის] (ბერძნ.) მახლობლად
 ანუ

[თუსუმე] (ბერძნ.)

↓
 ფუსტა (ლათ.)

↓
 სხემარისკენ

↓
 თუსუმე: აფსილიის მხარის საზღვარზე, აბაზგებისა და ალანების მახლო-
 ბლად, მოქვის ზემოთ.

განვიხილოთ ცალკე პუნქტები:

ა) ს კ ო ტ ო რ ი და ბ უ კ ო ლ უ ს ი. პირველ პუნქტებად, სადაც მოთავ-
 სებულ იქნენ ანასტასი ბერი და ანასტასი აპოკრისიარი, დასახელებულია ს კ ო-
 ტ ო რ ი და ბ უ კ ო ლ უ ს ი, რომელთა მდებარეობა, ვფიქრობთ, დაახლოვებით
 გარკვეულია: ა) კ ო ლ ო რ ი – იმავე სახელის მატარებელ მდინარეზე, აბაზგიისა
 და აფსილიის საზღვარზე; ბ) ბ უ კ ო ლ ე უ ს ი – ციხე მისიმიანთა ქვეყანაში (კ. კ ე-

6. აი, ეს უწმიდესი და საკუთარი ხელით დაწერილი ზემო-
ხსენებული წერილი გადმოგვეგზავნა ჩვენ..., მათი იმ მესამე ექსო-
რიობის ადგილიდან, ესე იგი ლ ა ზ ი კ ი დ ა ნ....

Ἐπεδὸθη δὲ ἡμῖν τοῖς ὄντως გადმოგვეცა ეს ჩვენ უმცირესთ,

კ ე ლ ი მ ე, 26 – 28; ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი, 33; ს. ყ ა უ ხ ჩ შ ვ ი ლ ი, გეორგიკა III 86 – 87).

ბ) მ უ კ ო რ ი ს ი. ეს ადგილი გზად გაიარეს ანასტასი ბერმა და ანასტასი აპოკრისიარიმ, როდესაც ისინი სკოტორ-ბუკოლუსიდან მიჰყავდათ „სვანეთის ციხეში“ (ანასტასი ბერი) და „თაკვრიაში“ (აპოკრისიარი). ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს პუნქტი შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს; ეს არის VI საუკუნის წყაროებიდან ცნობილი მ უ ხ უ რ ი ს ი, ლაზეთის ნაწილი რიონსა და ცხენისწყალს შუა (კ. კ ე კ ე ლ ი მ ე, 29 – 30; ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი, 33; ს. ყ ა უ ხ ჩ შ ვ ი ლ ი, გეორგიკა II, 90 და P. Peeters: *An. Boll.* 53 [1935], 403 – 404), და მას არაფერი აქვს საერთო „მურის ციხესთან“, რომელზედაც შესაძლებელი ვარიანტის სახით მიუთითებს R. Devreesse-ი (*An. Boll.* 53, p. 62).

გ) თ ა კ ვ რ ი ა. პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი მ ე (გვ. 30 – 31) ფიქრობს, რომ აქ იგულისხმება ლეჩხუმის ციხე: თაკვერი, რომლის შესახებაც ვახუშტი სწერს: «ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს ჳეობა ლეჩხუმისა, უწოდებენ თ ა კ ვ ე რ ა დ. არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან, კვერსავით მდებარისა, იხილე ესე მთა კვერი, ანუ ც ი ხ ი ს ა გ ა ნ ფრიად მაგრისა მუნვე, თ ა კ ვ ე რ ი ს ა» (გეოგრაფია, ბროსეს გამ. 348). ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი (გვ. 34) ამ აზრს თითქოს იზიარებს. მაგრამ იქვე მოჰყავს, გაუბათილებლად, შ ე ს ტ ა კ ო ვ ი ს მიერ ამ პუნქტისთვის დადებული „ცაგერი“ (С. Шестаков, Папа Мартин I в Херсоне: Труды XIII археол. съезда в Екатеринославе 1905. Москва, 1908, I 142), და, ამის გარდა, საჭიროდ თვლის გარკვეულ იქნას ა გ ა თ ი ა ს მიერ მისიმიელთა ქვეყანაში მოხსენებული Τζάχαιο (ალბათ xxx-სთან დაკავშირებით). – ჩვენის აზრით, ამ საკითხის გასარკვევად მხედველობაში უნდა იქნას მიღებული შემდეგი გარემოება: ა) Τζάχαιο -ის საკითხი აქ სრულიად უნდა მოიხსნას, ვინაიდან ჩვენს ტექსტებში გარკვევით არის ნათქვამი, რომ მაქსიმეს მოწაფეები აფხაზ-აფსილ-მისიმიელთა მხარეებიდან (სკოტორ-ბუკოლუსიდან) ახალ ადგილებში (სვანეთის ციხეში და თაკვრიაში) გადაყვანის დროს გაატარეს მუხურისზე; მაშასადამე, ამ გზით ისევ მისიმიელთა ქვეყანაში ვერ მოხვდებოდა ანასტასი აპოკრისიარი. ბ) „თ ა კ ვ ე რ ი ს“ გაიგივებას მახსია(-სთან ენობრივად ხელს უშლის ის გარემოება რომ ბიზანტიური ეპოქის ბერძნულში *ϑ* უკვე გასპირანტებულია და ის „თ“-ს არ უდრის. რა თქმა უნდა, როდესაც ლაპარაკია ძველიდანვე ცნობილ, გარკვეული დაწერილობის მქონე, სიტყვებზე (მაგ. თომა, თეოდორე და მისთ.), აქ ბიზანტიური ბერძნულიც კვლავინდებურად xxx-ს იხმარს, მაგრამ გათოსთქვამს ახლანდელი ინბლისური th-ს მსგავსად, ხოლო ქართული იხმარს „თ“-ს (ძველი xxx-ს შესატყვისს). ც-ს გადმოცემა „თ“-ით ბიზანტიურ ეპოქაშიც არის შესაძლებელი, მაგრამ მხოლოდ ლიტერატურული გზით (შდ. იოანე პეტრიწის მიერ ნახმარი სიტყვები: «თეორია» «მეთექსის» და მისთ.) ხოლო არა მწიგნობრულის გზით შექმნილი ფორმებისთვის ბიზანტიური ეპოქის xxx-ს უფრო შეეფერება „ც“, და, ამნაირად, *Θαζυρία* -ს შესატყვისად ჩვენ უფრო „ც ა გ ე რ ი“ შეგვიძლია მივიჩნიოთ, ვიდრე „თაკვერი“ („ცაგერში“ „გ“ გადმოიცემა κ-ით და არა γ-ით, რადგან უკა-

ἐλαχίστους Θεοδοσίω καὶ Θεοδώ-
ρω γνησίους καὶ ἀγοισέντοις ἀδελ-
φοῖς, ταπεινοῖς τε καὶ ἀμαρτω-
λοῖς ἀδελφοῖς, διὰ τοῦ ἀββᾶ

ესე იგი თეოდოსის და თეოდო-
რეს, მკვიდრსა და ნამდვილ ძმებს,
საწყალობელსა და ცოდვილ ძმებს
(ბერებს) გ რ ი გ ო ლ ი ს ხელით;

ნასკნელ შემთხვევაში ⁷ გაპალატალების გზით „ა“-ად გადაიქცეოდა; იხ ს. ყ ა-
უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გიორგი ამარტოლის ქრონოგრაფი, II, 75).

4) ფ უ ს ტ ა. მისი მდებარეობა განსაზღვრულია ჩვენი ტექსტების მხოლოდ
ლათინურად (ანასტასი ბიბლიოთეკარის გადმოცემით) დაცულ ნაწილში: ის მდებ-
არეობს «აფილიისა და მისიმიანის მხარეებში» (ზემოთ, გვ. 44), ქალაქი *Φοῦσ-*
τα გვხვდება ეპიფანე კონსტანტინეპოლელის მიერ შედგენილ „ანდრიას ცხოვრე-
ბაშიც“ (იხ. აქვე ქვემოთ გვ. 57 – 58), სადაც ის მოხსენებულია ალანთა ქვეყნის
დასახელებასთან ერთად (*εις Ἰβηρίαν καὶ Φοῦσταν πόλιν*), როგორც იმა-
ვე ცხოვრების სხვა ადგილას ერთად არიან მოხსენებული *Φοῦστοι* და *Ἰβηροί*.
თუ სად მდებარეობდა ზედმიწევნით ფუსტა, ამის თქმა ძნელია, ხოლო ანდრიას
„ცხოვრების“ მიხედვითაც, ისევე როგორც ჩვენს ტექსტში, მისიმიელთა მხარე-
ში თუ მის მეზობლად უნდა მდებარეობდეს. ჩვენი მხრით შეგვიძლია კიდევ და-
ვუმატოთ ის, რომ სოხუმის რაიონის სოფელ ალექსანდროვსკოეში, სადაც ჩვენ აქ
დასახლებულ ბერძნებს შორის სამუშაოდ ვიყავით 1933 წლის ზაფხულში, ადგი-
ლობრივი მცხოვრებლებისაგან გვსმენია – ეს არის ძველი ფუსტას მხარეო.

5) თ უ ს უ მ ე. ამ ადგილის სახელწოდება ორი ვარიანტით არის გადმო-
ცემული ბერძნულ ტექსტში: *Θουσιούμης* და *Θουσιᾶν* (ზემოთ, გვ. 50). პროფ.
კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე ფიქრობს, რომ ის უნდა იყოს დიოსკურია, ახლანდელი სოხუმის
მახლობლად (I, c. 33), მაგრამ ამას ხელს უშლის ბერძნულ ტექსტში მოცემული
განსაზღვრა: სოფელ მ ო ქ ე ი ს ზემოთ. ლათინურ ტექსტში ანასტასი ბიბლიო-
თეკარისა კიდევ უფრო მეტია ნათქვამი (ზემოთ, გვ. 46) «დამაბრუნა სხემარის
ციხის გზიდან და მომათავსა... [სოფელ] მ ო ქ ე შ ი ო» (ლათინური ტექსტი ასე
უნდა გავიგოთ და იქ დამახინჯებით დაწერილი Monachos უნდა შესწორდეს
Mochoes-ად; იხ. ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი გვ. 37). რომ ბერძნული Μόχοις ქარ-
თულ „მოქვი“-ს უდრის, ამაში არავითარი ეჭვი არ უნდა არსებობდეს: იმ დიფ-
თონგის „ჯ“-დ გამოთქმა ჩვეულებრივია ამდროინდელი ბერძნულისათვის. რომ
„თუსუმე“ ან „თუსავი“ სოხუმის მახლობლად ყოფილიყო, საეჭვოა, რომ ჩვენს
ავტორს ის განესაზღვროს „მოქვის ზემოთ“. იქნებ „თუსუმე“ მერმინდელი საკა-
თედრო ცენტრის, მოქვის, ძველი სახელი იყოს?

6) ს ქ ი მ ა რ ი. ყველაზე მეტი ყურადღება იმ პუნქტებს შორის, რომლე-
ბიც ჩვენს ტექსტებშია მოხსენებული, მეცნიერთა მიერ აქვს მიქცეული მაქსიმე-
სათვის მიჩენილ სქიმარის ციხეს. ამ ციხის სახელწოდება ტექსტებში სხვადა-
სხვანაირად არის გადმოცემული: *Σχιμαρίον, Σχιμαρίον, Σχιμαρίον, Σχιμαρίον*,
Schemarium, Schimaris, «ჰიმარი» (ზოგიერთ ქართულ ხელთნაწერში «ჰიმარი»
და «ლიმარი» – აღრევა პალეოგრაფიულ ნიადაგზე). პროფ. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს ა და,
ა. ბრილიანტოვის მიერ ჩატარებულია კვლევა-ძიება როგორც ამ პუნქტის
სახელწოდების, ისე მისი მდებარეობის გამოსარკვევად.


ორივე მეცნიერი თანახმაა იმაში, რომ აქ იგულისხმება მ უ რ ი ს ც ი ხ ე
(ლეჩხუმში, ცაგერის მახლობლად); ამას ადასტურებს ადგილობრივ დარჩენილი
თქმულებები მაქსიმეს შესახებო; სახელდობრ, რომ მაქსიმე მოკლულ იქმნა ერთი

Γρηγορίου τοῦ ἡγουμένου μονῆς
τοῦ ἀγίου Ἰωάννου τοῦ Βαπτισ-
τοῦ τῆς τῶν Ἀλβανῶν χώρας
ἐπιλεγομένης Βεταζαρούσας, ἐν

ის წმიდა იოანე ნათლისმცემლის
მონასტრის წინამძღვარი და ამბაა,
ა ლ ბ ა ნ ე ლ თ ა მხარეში, რომელ-
საც ბ ე ტ ა რ ა რ უ ეწოდება, ამა-

დებვირელი (დებვირი – სოფელი ლეჩხუმში) გლეხის მიერ და დასაფლავებულ იქმნა იქ, სადაც შემდეგ გაშენდა მაქსიმეს სახელობის მონასტერი, მურში (კ. კე - კელიძე, გვ. 36; ა. ბრილიანტოვი, გვ. 24 შმდდ.). გარდა ამ ლეგენდისა, ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს ორივე მეცნიერისათვის შეადგენს საეკლ. მუ-ზეუმის № 922 ხელთნაწერის 440 გვერდზე არსებული მინაწერი, რომლის ტექსტს პროფ. კ. კეკელიძე (და მასთან ერთად ა. ბრილიანტოვიც) კითხულობს ასე: „мощи святого Максима покоятся (в крепости Мури) близ Цагери“ და შენიშვნაში განმარტავს: „Грузинские слова, соответствующие выражению «в крепости Мури» транскрибированы трудноразбираемыми теперь, почти что шедшими, греческими буквами“ (I. с. 35).

ჯერ ორიოდე სიტყვა ლეგენდის რეალური ღირებულების შესახებ. ჩვენის აზრით ზემოხსენებული თქმულება მაქსიმეს მოკვლის შესახებ არ ეთანხმება ჩვენს ტექსტებში მოხსენებულ ფაქტებს. ჩვენი ტექსტების მიხედვით მაქსიმე მოათავსეს ერთ ციხეში, რომელსაც ეწოდება სქიომარი» (იხ. ზემოთ, გვ. 442), და არსად არ არის ნათქვამი, რომ მაქსიმე თავისუფლად იყო გაშვებული საცხოვრებლად; მაქსიმე და მისი მოწაფეები ციხეებში იყვნენ მოთავსებული და, მაშასადამე, მაქსიმეს არ შეეძლო თავისუფლად ევლო სოფელ-სოფელ, როგორც ეს ზემოხსენებულ თქმულებაშია. საფიქრებელია, რომ რომელიღაც ადგილობრივ არსებულ თქმულებას ჩაექსოვა შემდეგ ხანებში მაქსიმეს სახელი, იმ მაქსიმესი, რომელიც მართლა მოკვდა სადღაც ლეჩხუმის მახლობლად არსებულ ციხეში. მაქსიმეს სახელი ისედაც იქნებოდა დაკავშირებული ლეჩხუმთან, რადგან ერთ-ერთი მისი მოწაფე *Θαχυρία*-ში (ცაგერში) იყო მოთავსებული.



რაც შეეხება № 222 ხელთნაწერის სქოლიასტის შენიშვნას, ჩვენ ორი მოსაზრება გვიკარნახებს დავეჭვდეთ მის რეალურ ღირებულებაში. ა) ხელთნაწერის 440 გვერდის არშიაზე მოთავსებული არაქართული ასოები არავითარ ნიშანს არ ატარებენ ბერძნული დამწერლობისას. ეს ასოები გასინჯულია აგრეთვე სირიული და არაბული დამწერლობის მცოდნეთა მიერაც, და მათი აზრით უფრო საფიქრებელია, რომ აქ არაბული ასოები იყოს, ხოლო ამ მინაწერის შინაარსის ამოკითხვა ჯერ ვერ მოხერხდა. მინაწერი იკითხება ასე:

ამ[ის წ]სა მაქსიმე მა[ხლობელად
წს ნ]აწილნი მას ცაგ]ერისა

ამ მინაწერიდან მხოლოდ ის ჩანს აშკარად, რომ სქოლიასტის აზრით მაქსიმე დასაფლავებული ყოფილა „ცაგერის მახლობლად“, და სრულიად არაფერია იქ ნათქვამი მურის ციხეზე. ბ) რომელიღაც გადმოცემის მიხედვით მაქსიმეს და მის მოწაფეთა „ცხოვრება“ დაუკავშირებიათ მურის ციხესთან (ამ გადმოცემის დასაყრდენია, ალბათ, *Θαχυρία* ცაგერი). ამისი ანარეკლია ის შენიშვნა, რომელიც მოეპო-

τῆ ἀγίῃ Χριστοῦ τῶν φεισῶν ἡμῶν
ἀναστασίαι, ἣ τοιαύτη ἐραῖ ἐπι-
στολή μὴν ἀβγύστου εἰκόδι ἰνδι-
κτιωνος ἀ' ἀντιπαρελθισσῆς ἡμᾶς,
ἐπιστρέψασιν ἐκ τῆς πολλᾶς
λεγομένης τῶν Λαζῶν χώρας
(Anal. Boll., 53, p. 76,5-13).

ღლების ეკლესიაში (?); გადმოგვე-
ცა ეს წმიდა წერილი აგვისტოს
ოცს, წინა ინდიქტიონის მეთერთ-
მეტე წელს, როდესაც ჩვენ ჩვენ
მიერ ხშირად მოხსენებულ ლ ა ზ-
თ ა ქვეყნიდან ვბრუნდებოდით.

ვება მეორე სქოლიასტს, საეკლ. მუზეუმის № 97 ხელთნაწერის არშიაზე მოთავ-
სებულ შენიშვნაში: ხელთნაწერის 548 გვერდზე XI საუკუნის ხელით სწერია: «და
წარიყვანეს ხუცესი ანასტასიოს ციხესა სუანთა სოფლისასა», ხოლო ამ სიტყვების
გასწვრივ არშიაზე სწერია (ცოტა უფრო მოგვიანო ხელით): «სუანთა სოფლის
ციხე, რომელ არს მ უ რ ი». როგორც ცნობილია, არც ერთი ტექსტი (არც ბერძ-
ნული, არც ლათინური, არც ქართული) არ იხსენიებს სვანეთის იმ ციხის სახელს,
სადაც მოთავსებულ იქმნა ანასტასი ბერი.

ამ მოსაზრებათა საფუძველზე ჩვენ ვასკვნით, რომ არავითარი რეალური
ღირებულება არა აქვს ჩვენი ტექსტების „სქიმარის“ მდებარეობის გასარკვევად
არც მაქსიმეს შესახებ დარჩენილ თქმულებას და არც ქართული სქოლისტების
მინაწერებს (თუნდაც პირველი მინაწერის ჯერ ამოუშიფრავი ნაწილი მართლაც
შეიცავდეს „მურის ციხეს“).

ჩვენის აზრით უფრო რეალურია ამ საკითხის მეორე მხარის რკვევა, რო-
მელიც ჩატარა ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ მ ა. მან თავისი გამოკვლევის 47 – 62 გვერ-
დებზე დეტალურად გაარჩია „სქიმარის“ ციხის ს ა ხ ე ლ წ ო დ ე ბ ი ს საკითხი და
იმ დასკვნამდე მივიდა, რომ Σχιδάριω-ში (და მის ვარიანტებში) პალეოგრაფიულ
ნიადაგზე აღრევაა მომხდარი და რომ Σχιδάριω იგივეა, რაც პროკოპი კესარიე-
ლის საისტორიო ნაშრომში მოხსენებული «უ ქ ი მ ე რ ი ო ნ ი» (ან პირიქით, რომ
პროკოპის «უქიმერიონ»-შია პალეოგრაფიულ ნიადაგზე აღრევა და ის იგივე პუნქ-
ტია, რაც მაქსიმეს „ცხოვრების“ Σχιδάριω). ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი ს ნარკვევის
ეს პალეოგრაფიული ნაწილი სრულიად დამაჯერებელ შთაბეჭდილებას სტოვებს.
მაგრამ ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ს უეჭველ ფაქტად მიაჩნია № 222 ხელნაწერის მი-
ნაწერის შინაარსი და ადგილობრივ, ლეჩხუმში, შენახული თქმულების შინაარ-
სიც (მურის ციხის შესახებ), და თავისი პალეოგრაფიული, წარმატებით ჩატარე-
ბული, კვლევა-ძიების შემდეგ ასკვნის, რომ პროკოპის «უქიმერიონი»-ც, მაშასა-
დამე, მურის ციხე არისო. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ ა. ბ რ ი ლ ი ა ნ ტ ო ვ ი ს
დასკვნას უქიმერიონ-სქიმარის იგივეობის შესახებ, ხოლო მისი მდებარეობის შე-
სახებ კვლევა-ძიება, ჩვენის აზრით, უნდა წარიმართოს იმ მიმართულებით, რო-
მელიც მითითებულია ჩვენ მიერ უ ქ ი მ ე რ ი ო ნ ი ს ა და ო ნ ო გ უ რ ი ს ი ს გეო-
გრაფიული მდებარეობის რკვევის დროს, სახელობრ: ეს პუნქტი უნდა ვეძიოთ სა-
მეგრელოს და ლეჩხუმის საზღვარზე, გორდის გადასავალთან, უნაგირას მთის
კალთაზე (იხ. ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, გეორგიკა III, 59 – 62).

ეპიფანე კონსტანტინეპოლელი

ეპიფანე, კონსტანტინეპოლის «კალისტრატა» მონასტრის ხუცესი და მონაზონი, მოღვაწეობდა VIII საუკუნის მეორე ნახევარში, 780-ანი წლების მახლობელ ხანებში. მისი ნაშრომებია „მარია-მის ცხოვრება“ და „ანდრიას ცხოვრება“, რომლებშიაც ის აწარმოებს ამ „ცხოვრებათა“ და, საზოგადოდ, მოციქულების „ცხოვრებათა“ წყაროების კრიტიკას. „ანდრიას ცხოვრებაში“ ის წერს, რომ ის არ დაკმაყოფილდა წერილობითი წყაროების (კლემენტი რომაელის, ევაგრე სიცილიელისა და ეპიფანე კვიპრელის) გამოყენებით და მოიარა ზოგიერთი ის ადგილი, სადაც ანდრია მოციქული მოღვაწეობდა (Krumbacher, GBL 192).

ქვემოთ მოყვანილი ტექსტი გადმობეჭდილია გამოცემიდან: Migne, Patrologia graeca, t. 120.

ანდრია მოციქულის მიერ დამოძღვრილი ტომები და ადგილები

Τὸν δὲ ἁγίου Ἐπιφανίου ἐπισκόπου Κύπρου λέγοντος ὡς ἐκ παραδόσεως ἔχειν, τὸν μακάριον ἀπόστολον Ἀνδρέαν διδάξει Σκύθας, καὶ Σογδιανούς,¹ καὶ Γορσινούς, ἐν Σεβάστοπόλει τῆ μεγάλης ὅπου ἐστὶν ἡ παρεμβολὴ Ἀφάρου καὶ Ἰσσοῦ λιμὴν καὶ Φάσις ποταμός· ἐνθα οἰκοῦσιν Ἰβηρες καὶ Σοῦσοι καὶ Φοῦσται καὶ Ἀλανοί (Migne PGr 120, 221).

კვიპროსის ეპისკოპოსი ეპიფანე ამბობს, გარდმოცემის მიხედვით, რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ დამოძღვრა სკვითები და სოგდიანები¹ და გორსინები დიდს სებასტოპოლისში, სადაც არის აფსარის ციხე, ჰისოს ნავსადგური და მდინარე ფაზისი; იქ მოსახლეობენ იბერიელები, სუსები, ფუსტელები² და ალანები.

ლაზეთის ქალაქი ტრაპიზონი

Ὅντως ὁ Ἀνδρέας ποιῶν τε καὶ διδάσκων πολλὰς πόλεις καὶ κώμας πρὸς ἡγᾶγε τῷ Χριστῷ.

ასე დამოძღვრა ანდრიამ მრავალი ქალაქი და სოფელი და მოაქცია ისინი ქრისტესაკენ.

1) ხელთნაწერში: Κοσογδιανοὺς.

2) ფუსტელები – ქალაქ ფუსტის მცხოვრებნი (იხ. ქვემოთ გვ. 58).

Ἀπάρας δὲ ἀπὸ Ἀμισοῦ ἦλθεν εἰς Τραπεζοῦντα, πόλιν τῆς Λαζικῆς. Οἱ δὲ ἀγθρωποὶ οὕτως ἀνόητοι καὶ κτηνωδῶς ἀλόγιστοι. Ἐκεῖθεν ἀπάρας εἰς Ἰβηρίαν διέτριψεν· καὶ πολλοὺς φωτίσας διὰ τῆς παρὰ θάλασσαν ὁδοῦ ἦλθεν εἰς Ἱεροσόλυμα (Migne PGr 120, 228—229).

ამისოდან წამოსვლის შემდეგ ის მივიდა ტრაპეზუნტი, ლაზიკის ქალაქში. იქაური მცხოვრებნი არიან სულელნი და პირუტყვისავით უგუნურნი. იქიდან ის წავიდა იბერიასში; მის შემდეგ, რაც მან ზღვის პირას მცხოვრებნი მრავალნი განანათლა, ის ჩავიდა იერუსალიმში.

სვანეთი, ფუსტა, აბაზგია, ჯიქეთი

Καὶ μετὰ τὴν Πεντηχοστήν Ἀνδρέας καὶ Σίμων ὁ Χανανίτης καὶ Ματθαίας καὶ Θαδδαῖος ἔμειναν ἐκεῖ πρὸς Ἀβγαρον· οἱ δὲ λοιποὶ διερχόμενοι τὰς πόλεις διδάσκοντες καὶ θαυματουργοῦντες κατήλθον εἰς Ἰβηρίαν καὶ εἰς τὸν Φάσιον, καὶ μετ' ἡμέρας εἰς Σου(σ)ανίαν.¹ Οἱ δὲ ἄνδρες τοῦ ἔθνους ἐκείνου ὑπὸ τῶν γυναικῶν ἐκρατεῦντο. Ἐνπειθῆς δὲ ἡ γυναικεία φύσις, καὶ ταχὺ ὑπήκουσαν. Ἐμείνε δὲ ὁ Ματθαίας σὺν μαθηταῖς εἰς τὰς χώρας ἐκείνας διδάσκων καὶ ποιῶν θαύματα πολλά. Ὁ δὲ Σίμων καὶ Ἀνδρέας ἀπήλθον εἰς Ἀλαρίαν καὶ εἰς Φοῦσταν πόλιν. Καὶ πολλὰ θαύματα ἐργασάμενοι καὶ πολλοὺς μαθητεύσαντες ἀπήλθον εἰς Ἀβασγίαν. Καὶ εἰσελθόντες εἰς Σεβαστόπολιν τὴν μεγάλην ἐδίδαξαν τὸν λόγον τοῦ Θεοῦ. Ὁ

პენტეკოსტის (ი. ი. სულიწმიდის მოფენის) შემდეგ ანდრია, სიმონ კანანელი, მათე და თადეოზი დარჩნენ იქ ავგაროსთან; დანარჩენებმა კი მოიარეს ქალაქები, იქადაგეს და სასწაულები მოახდინეს, და ჩავიდნენ იბერიასში და ფაზისში, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ სუ(ს)ანიასში¹. ამ ტომის მამაკაცებს მბრძანებლობდნენ ქალები. ადვილად დამყოლია ქალის ბუნება, და ისინიც მალე დამორჩილდნენ (მოციქულთა მოძღვრებას). მათე მოწაფეებითურთ დარჩა იმ ქვეყნებში, ქადაგებდა და სასწაულებს ახდენდა. ხოლო სიმონი და ანდრია წავიდნენ ალანიაში და ქალაქ ფუსტაში², იმათ მრავალი სასწაული მოახდინეს იქ, მრავალნი დამოძღვრეს და წავიდნენ აბაზგიაში. დიდს სებასტოპოლისში რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა, ანდრია და-

¹) ხელთნაწერში *Σουσαρίαν*, ისევე როგორც ზემოთ (გვ. 87) მოხსენებული არიან *Σοῦσοι*.

²) ქალაქ ფუსტის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 54.

δὲ Ἀνδρέας κατκλείψας τὸν Σι-
μωνα ἐκεῖ, σὺν μαθηταῖς αὐτοῦ
ἐξῆλθεν εἰς Ζηκχίαν. Οἱ δὲ
Ζηκχοὶ σκληροὶ ἄνθρωποι καὶ
βάρβαροι καὶ ἕως τοῦ νῦν ἄπισ-
τοὶ ἡμίσεις. Ἐμελλὸν δὲ τὸν
Ἀνδρέαν φθνεύειν, εἰ μὴ ἑώρων
τὴν ἀκτημοσύνην καὶ τὸ πρᾶσον
καὶ τὴν ἄσκησιν αὐτοῦ. Καὶ λοι-
πὸν ἀφείξας αὐτοῦς κατήλθεν εἰς
Σουδαίους τοὺς ἄνω. Οἱ δὲ ἄν-
θρωποι εὐπειθεῖς καὶ ἡμεροί,
καὶ μετὰ χαρᾶς ἐδέξαντο τὸν λό-
γον (Migne PGr 120, 242—244).

სტოვა იქ სიმონი და მოწაფეები-
თურთ წავიდა ჯოქეთში. ჯიქე-
ბი უხეში და ბარბაროსი ადამია-
ნები არიან და დღესაც ნახევრად
ურწმუნონი. იმათ განიზრახეს ან-
დრიას მოკვლა და კიდევაც მოჰკ-
ლავდნენ], რომ არ დაენახათ მისი
სიგლახაკე, თავმდაბლობა და
სწრაფვა. მათი ქვეყანა რომ დას-
ტოვა, ჩავიდა ზემო სუგდების ქვე-
ყანაში. აქაური მცნოვრეზნი ადვი-
ლად დამყოლნი და თვინიერნი
არიან და სიხარულით მიიღეს.
(ღმრთის) სიტყვა.

გიორგი სინგელოზი

გიორგი სინგელოზი (Γεώργιος ὁ καὶ Σίνγκελλος) VIII – IX საუკუნეების მოღვაწეა; პატრიარქ ტარასის დროს (786 – 806) ის იყო პატრიარქის საიდუმლო მდივანი (σύνγκελλος), ხოლო პატრიარქის გარდაცვალების შემდეგ ის განმარტოვდა მონასტერში და იქ დასწერა თავისი „ქრონიკა“ (Συλλογὴ χρονογραφίας). მისი ბიოგრაფიის თარიღებიდან შედარებით უფრო ზუსტად შეიძლება აღინიშნოს ერთი: 810 წელს ის ჯერ კიდევ ცოცხალია, რაც დასტურდება იმით, რომ გიორგი თავისი „ქრონიკის“ ერთ ადგილას 6302 (810) წელს მიმდინარე წლად იხსენიებს (ἔτος εἰρη ἀναβλεπείτο ἡ εὐχὴ εὐαγγέλιου: CB 389,20).

გიორგი სინგელოზის „ქრონიკა“ შეიცავს მსოფლიო ისტორიას ადამიდან ვიდრე დიოკლეტიანეს დრომდე. როგორც ეს გამორკვეულია ჰ. გელცელის მიერ (Sextus Iulius Africanus, II, 189 შმდდ.), გიორგის წყაროებს, დაბადების გარდა, წარმოადგენდნენ IV საუკ. ბოლოსი და V საუკ დასაწყისის ალექსანდრიელი ჟამთააღმწერლები პანოდორე და ანნიანე. მართალია, გიორგის „ქრონიკაში“ გვხვდება მითითება სხვა წყაროებზეც (სექსტე აფრიკანეზე, დექსიპეზე), მაგრამ ამათ იცნობს ის მხოლოდ პანოდორეს და ანნიანეს შემწეობით. წელთაღრიცხვაში გიორგი მისდევს პანოდორეს (5492 წლიან) სისტემას.

გიორგის „ქრონიკის“ გაგრძელება (დიოკლეტიანეს დროიდან) ეკუთვნის თეოფანე ჟამთააღმწერელს.

ტექსტისა და თარგმანის დამზადების დროს ხელთ გვექონდა:

Georgius Synvcellus et Nicephorus Cp. ex recensione
Guilielmi Dindorfii. Vol I – II. Bonnæ 1829 (CB) ¹.

¹) გამომცემელს (დინდორფს) გამოყენებული აქვს პარიზის ორი ხელთნაწერი: A – მეთერთმეტე საუკუნისა (1021 წლისა) და B. კრიტიკულ აპარატში მოცემული აქვს აგრეთვე გიორგი სინგელოზის ძველი გამომცემლის, იაკობ გოარის (Goar) წანაკითხი ვარიანტები (C).

იაფეტის სამფლობელო

Ἰάφεθ δὲ τῶ τρίτῳ σὺν αὐτοῦ
 ἄγοντι ἔτος σκε' ἀπὸ Μηδείας τὰ
 πρὸς ἄρκτον καὶ δυσμὰς ἕως Γα-
 θεΐρων καὶ Βρεττανικῶν νήσων,
 Ἀρμενίαν καὶ Ἰβηρίαν, Πόντον,
 Κόλχους καὶ τὰς κατὰπιν χώρας
 καὶ νήσους ἕως Ἰταλίας καὶ Γαλ-
 λικῆς Σπανικῆς τε καὶ Κελτιβη-
 ρίας καὶ Λυσιτανῶν (CB I, 83).

ნოემ თავის მესამე ვაჟს ია-
 ფეთს, რომელიც 425 წლისა იყო,
 მისცა ჩრდილოეთისა და დასავ-
 ლეთის ქვეყნები მიდიიდან ვიდრე
 ლადირთამდე და ბრეტანიის კუნ-
 ძულამდე, ა რ მ ე ნ ი ა და ი ბ ე -
 რ ი ა, პონტო, კოლხეთი და
 მათ იქით მდებარე ქვეყნები და
 კუნძულები ვიდრე იტალიამდე და
 გალლიამდე, სპანიაში, კელტ-
 იბერიაში და ლისიტიანიაში.

იაფეტის მოღვა

Ἐκ τοῦ Ἰάφεθ τοῦ τρίτου
 υἱοῦ Νῶε ἕθνη δεκαπέντε οὕτως.
 Υἱοὶ Ἰάφεθ τοῦ τρίτου, υἱὸν
 Νῶε ἕθνη δεκαπέντε οὕτως.
 α' Γάμερ¹, ἐξ οὗ Καππαδόκες.
 β' Μαγῶγ, ἐξ οὗ Κέλτοι, οἱ
 καὶ Γαλάται.
 γ' Μαδαί, ἐξ οὗ Μῆδοι.
 δ' Ἰωσάν, ἐξ οὗ Ἑλλήνες, οἱ
 καὶ Ἰῶνες.
 ε' Θωβέλ, ἐξ οὗ Θετταλοί.
 ς' Μοσόχ, ἐξ οὗ Ἰλλυριοί.
 ζ' Θηράς, ἐξ οὗ Θράκες.
 η' Χετταίμ², ἐξ οὗ Μακεδόνες.

ნოეს მესამე ვაჟისაგან; იაფე-
 თისაგან წარმოდგა თხუთმეტი
 ასეთი ტომი:
 ნოეს მესამე ვაჟის, იაფეთის
 ვაჟები:
 ა. გამერი, რომლისაგანაც წარ-
 მოშობილნი არიან კაპპადოკიელები.
 ბ. მაგოგი, რომლისაგანაც
 არიან კელტები ანუ გალატელები.
 გ. მადაი, რომლისაგანაც არიან
 მიდიელები.
 დ. იოჯამი, რომლისაგანაც
 არიან ჰელლინები ანუ იონიელები.
 ე. თოზელი, რომლისაგანაც
 არიან თეტტალიელები.
 ვ. მოსოხი, რომლისაგანაც
 არიან ილლირიელები.
 ზ. თერასი, რომლისაგანაც
 არიან თრაკიელები.
 ლ. ქეტტაემი, რომლისაგანაც
 არიან მაკედონიელები.

1) Γόμερ G.—2) Χετταίμ G.

Οἱ υἱοὶ Γάμερ τοῦ υἱοῦ Ἰάφεθ.
 θ' Ἀσχανάζ, ἐξ οὗ Ῥηγინεα.
 ι' Ῥιχάθ, ἐξ οὗ Σαυρομάται.
 ια' Θοργαμά, ἐξ οὗ Ἀρμένιοι.
 Οἱ υἱοὶ Ἰωυάν.
 ιβ' Ἐλισσά, ἐξ οὗ Σικελσί.
 ιγ' Θαρσεῖς, ἐξ οὗ Ἰβηρες.
 ιδ' Κίτιοι, ἐξ οὗ Λατῖνοι, οἱ
 καὶ Ῥωμαῖοι.
 ιε' Ῥόδιοι, ἐξ οὗ Ῥόδιοι.

Τὰ δὲ τοῦ Ἰάφεθ ἔθνη ἀπὸ
 Μηθεῖα: ἕως τοῦ ἑσπερίου Ὀκεα-
 νοῦ κατέσπαρται βλέποντα πρὸς
 βορρᾶν οὕτως. Μηδοί, Ἀλβανοί,
 Ταργανοί, Ἑρραῖοι, Ἀρμένιοι,
 Ἀμαζόνες, Κολλοί¹, Κορζηνοί,
 Δεναγῖνοι, Καππάδοκες, Παφλα-
 γόνες, Ταβῖεννοι, Κάλυβες, Σαρ-
 μάται, Θράκες, Μοσσοῖοι², Βασ-
 τρανοί, Σαυρομάται, Ἰλσυριοί,
 Μαιῶται, Σχύθαι, Ταῦροι, Μα-
 κεδόνες, Ἑλληγες, Ἰστροί, Δαυ-
 νεῖς, Οὔεννοί, Ἰάπυγες, Καλαβ-
 ροί, Ὀππικοί, Λατῖνοι, οἱ καὶ
 Ῥωμαῖοι, Γάλλοι, οἱ καὶ Κελταῖοι,
 Λυγιστῖνοι, Κελτίβηρες, Ἰβηρες,
 Γάλλοι, Ἀκισιανοί, Ἰλσυρικοί,
 Βάσαντες, Κυρταννοί, Λυσιταννοί,
 Ὄθᾶκ καὶ οἱ Βρεττανικοί, εἰ δὲ
 ἐν ταῖς νήσοις οἰκοῦντες, ἐξ αὐ-
 τῶν εἰδότες γράμματά εἰσιν οὗ-
 ποι: Ἰβηρες, Λατῖνοι, οἱ καὶ Ῥω-

იაფეთის ვაჟის გამერის ვაჟები:

თ. ასქანაზი, რომლისაგანაც არიან რეგინები.

ი. რიქათი, რომლისაგანაც არიან სავრომატები.

ია. თორგამა, რომლისაგანაც არიან არმენიელები.

იოჯანის ვაჟები:

იბ. ელისსა, მისგან სიკელიელები.

იგ. თარსები, საიდანაც არიან იბერიელები.

იდ. კიტები, საიდანაც არიან ლატინები ანუ რომაელები.

იე. როდიოსი, საიდანაც არიან როდიქელები.

იაფეთისაგან წარმოშობილი ტომები გაბნეული არიან მიდიიდან ვიდრე დასავლეთის ოკეანემდე და ჩრდილოეთის მიმართულებით შემდეგნაირად: მიდიელები, ალბანელები, გარგანელები, ერრელები, არმენიელები, ამაზონელები, კოლები¹, კორზენები, დენნაგინები, კაპადოკიელები, პაფლაგონიელები, ტაბიენნები, ხალიბები, სარმატები, თრაკიელები, მოსსუნები, ბასტრანები, სავრომატები, ილირიელები, მეოტელები, სკვითები, ტავრები, მაკედონიელები, ჰელლინიები, ისტრიელები, დავნები, უენნები, იაპიგები, კალაბრიელები, ოპპიკები, ლატინები ანუ რომაელები, გალლები ანუ კელტები, ლიგისტინები, კელტიბერები იბერიელები, გალლები, აკვიტიანები, ილირიკები, ბასანტები, კირტანები,

¹) სკალიგერი ასწორებს: *Κόλλοι* — ²) *Μοσσοῖοι* G.

μαῖοι, Σπάνιοι, Ἑλληγες, Μηδοί, Ἀρμένιοι. ἔστι δὲ κατὰ μῆκος τὰ ὄρια ἀπὸ Μηδείας ἕως δυτικῶν Ὠκεανοῦ τὰ πρὸς βορρᾶν, εὐρος δὲ ἀπὸ Τανάϊδος ποταμοῦ ἕως Μαστευσίας τῆς κατὰ ἥλιον.

ეწოდებათ, სპანიელებმა, ჰელლიელებმა, მიდიელებმა, არმენიელებმა. მათი საზღვრები გაჭიმული არის სივრცეზე მიდიიდან ვიდრე დასავლეთის ოკეანემდე, ჩრდილოეთისაკენ; ხოლო სიგანეზე მდინარე ტანაიდოიდან ვიდრე მასტუსიამდე, აღმოსავლეთისაკენ.

Αἱ χώραι δὲ αὐτῶν Μηδεία, Ἀλβανία, Ἀρμενία μικρὰ καὶ μεγάλη, Ἀμαζόνις, Παφλαγονία, Καππαδοκία, Γαλατία, Κολχίς, Βοσπορινή, Μαιῶτις, Δερρίς, Σαρματία, Ταυριανή, Βαστρανή, Σκυθία, Θράκη, Μακεδονία, Ἑλλάς, Θέσσαλη, Βοιωτίς, Λοκρία, Αἰτωλία, Ἀχαια, Πελοπόννησος, Ἀκαρνανία, Ἡπειρωτίς, Ἰλλυρίς, Λυχνίτις, Ἀδριακή, ἀφ' ἧς τὸ Ἀδριακὸν πέλαγος ἐκλήθη, Καλαβρία, Ἰταλία, Γαλλία, Θουσκινή, Λუსιτανία, Κελτική, Μεσσαια, Κελτογαλλία, Σπανογαλλία, Ἰβηρία, Σπανία ἢ μεγάλη. ἐνταῦθα καταλήγει τὰ ὄρια τοῦ Ἰάφεθ ἕως Βρεττανικῶν νήσων τὰ πρὸς βορρᾶν βλέποντα. ἔχει δὲ νήσους Βρεττανίαν, Σικελίαν, Εὐβοίαν, Ῥόδον, Χίον, Λέσβον, Κύθηρα, Ζάκυνθον, Κεφαλληνίαν, Ἰθάκην καὶ τὰς Κυκλάδας, καὶ μέρος τι τῆς Ἀσίας τὴν Ἰωνίαν καλουμένην· ποταμὸν δὲ Τίγγριν διορίζοντα μεταξὺ Μηδείας καὶ Βαβυλωνίας (CB I, 91—93).

ლისიტანები. უაკი და ბრეტანიკები, რომლებიც აგრეთვე კუნძულებზეც ცხოვრობენ. ამათგან დამწერლობა იციან შემდეგმა ტომებმა: იბერებმა, ლატინებმა, რომელთაც აგრეთვე რომაელები

მათი ქვეყნები კი შემდეგია: მიდიია, ალბანია, მცირე და დიდი არმენია, ამაზონისი პაფლაგონია კაპადოკია, გალატია, კოლხისი, ბოსპორინე, მეოტისი, დერრისი, სარმატია, ტავრიანე, ბასტრანე, სკვითია, თრაკია, მაკედონია, ჰელლასი, თესსალე, ბეოტისი, ლოკრია, ეტოლია, აქაია, პელოპონნესი, აკარნანია, ეპიროტისი, ილიირისი, ლიხნიტისი, ადრიაკე, საიდანაც მოდის სახელწოდება ადრიაკის ზღვა, კალაბრია, იტალია, გალლია, თუსკინე, ლისიტანია, კელტიკე, მესსალია, კელტოგალლია, სპანოგალლია, იბერია, დიდი სპანია. აქ თავდება იაფეთის საზღვრები, ვიდრე ბრეტანიის კუნძულებამდე, ჩრდილოეთისაკენ ამ საზღვრებში შედის კუნძულები: ბრეტანია, სიკელია, ევბეა, ქიოსი, ლეზბოსი, კითერა, ზაკინთოსი, კეფალონია, ითაკე და კიკლადები და აზიის ერთი ნაწილი, ეგრეთწოდებული იონია, აგრეთვე მდინარე ტიგროსი, რომელიც მიდიისა და ბაბილონიის საზღვარს წარმოადგენს.

ალექსანდრე მაკედონელი „კავკასიაში“

Ἀλέξανδρος οὖν κ' ἄγων ἔτος,
κατὰ Δέξιππον, πᾶσαν ἄσκησιν
ἡσκημένος σωματικῆν, αὐτοῦ τε
γνησιώτατος Ἀριστοτέλους γεγο-
νῶς τοῦ δαιμονίωντος φοιτητής,
ἐπὶ τὴν πατρῴαν παρήλθε βασι-
λείαν. καὶ πρῶτος μὲν Θράκης καὶ
Ἑλλάδος ἀπάσης πλὴν Λακεδαι-
μονος μόνης κρᾶτήσας, εἰς τὴν με-
γάλην Ἀσίαν διὰ τὸν Περσικὸν πε-
ραιοῦται πόλεμον, ἐν Ἰρανικῷ
τὲ ποταμῷ πρότερον καταγωνισά-
μενος τῶν Περσικῶν στρατευμά-
των, ἔπειτα καὶ ἐν Ἰσσοῦ τῆς
Κιλικίας αὐτῷ πολεμῆι Δαρείῳ,
καὶ τελευταῖον εἶσω χωρεῖ τῆς
Ἀσσυρίας. καταλαβὼν δὲ Δαρείον
ὑπὸ Βησσᾶ τινος τῶν ἀρχόντων
ἀναιρεθέντα θάπτει μεγαλοπρε-
πῶς, ἔχων ἤδη τὴν αὐτοῦ γαμετῆν
ἀπὸ τῆς ἐν Ἰσσοῦ μάχης, σὺν τῇ
μητρὶ τε καὶ τοῖς τέκνοις. βασιλεύει
δὲ βασιλείαν Περσικὴν ἅμα τῇ
βαρβάρῳ διαίτη. γενόμενος δὲ καὶ
ἐν Καυκάσῳ κρατεῖ τῶν αὐτόμῃ
βαρβάρων Μαιώτιδος λίμνης ἐλ-
θῶν². ἀκείψεν μεταχωρήσας ἐπὶ
τοῦς Ἴνδους παντός τε κρατήσας

როდესაც – როგორც დექსიპე ამ-
ბოზს¹ – ოცი წლისა იყო ალექსან-
დრე, რომელიც სხეულთაც სრუ-
ლიად გავარჯიშებული და გან-
ვითარებული იყო და აგრეთვე
ჭეშმარიტი მოწაფე იყო თვით სა-
ხელგანთქმული არისტოტელესი.
მან ჩაიბარა მამაკავებული სამეფო.
ჯერ მან ხელში ჩაიგდო თრაკია
და მთელი ელლადა, გარდა მხო-
ლოდ ლაკედემონისა, და დიდს
აზიაში გადავიდა სპარსელების
წინააღმდეგ ომის საწარმოებლად:
ჯერ მდინარე გრანიკზე დაამარც-
ხა სპარსული ჯარები, ხოლო შემ-
დეგ კილიკიის ქალაქ ისსოში
შეებრძოლა თვით დარიოსს; ბო-
ლოს, შიგ ასირიაში შეიჭრა. რო-
დესაც გაიგო დარიოსის გარდა-
ცვალების შესახებ, რომელიც მოე-
კლა ერთ-ერთ მმართველს, ბესსას,
დიდის პატივით დაასაფლავა იგი:
თან ჰყავდა ისსოს ბრძოლის
დროს დატყვევებული მისი ცოლი
დედითურთ და ბავშვებითურთ. ის
მართავდა სპარსეთის სამეფოს
ზარზაროსული წესების დაცვით.
კ ა ვ კ ა ს ი ა შ ი რომ იყო, დაი-

¹) დექსიპე – ბერძენი ისტორიკოსი ახ. წ. III საუკუნის მეორე ნახევ-
რისა, ავტორი საისტორიო თხზულებათა: *Χρονικά* და *Τὰ μετ' Ἀλέξανδρον*.

²) აქ ტექსტი დამახინჯებული უნდა იყოს *Μαιώτιδος λίμνης*, თუ მათ
თანდებული არ ექნებათ, უნდა გავიგოთ, როგორც მსაზღვრელი სიტყვისა *Μαι-
βάρων* («დაიმორჩილა... მეოტის ტბის ზარზაროსები»), მაგრამ ეს უკანასკნელი
უკვე განსაზღვრულია მის წინ მდებარე სიტყვით *αὐτόμῃ* («დაიმორჩილა იქაური
[ე. ი. კავკასიის] ზარზაროსები»). ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უნდა იყოს
μὲχρι Μαιώτιδος λίμνης.

ἔθνησιν Ἰνδικῶν μέχρι ποταμοῦ Γάγγου πάλιν ἀναζεύγνυσι διὰ τὸν Ἰνδὸν ποταμὸν μέχρι τῆς Ἰνδικῆς θαλάσσης, καὶ οὕτως εἰς τὴν Ἀσσυρίαν ἐπάνεισι Βαβυλωνίαν, πᾶσαν ἔχων Εὐρώπην ὑπὸ χεῖρα καὶ τὴν Ἀσίαν. τελευτᾷ δὲ τὸν βίον ἐκεῖ νόσῳ καμῶν (CB 502,1—19).

მორჩილა იქაური ბარბაროსები¹ და მივიდა მეოტის ტრზა[მდე]. იქიდან გადავიდა ინდების წინააღმდეგ, დაიმორჩილა მთელი ინდური ტომი ვიდრე მდინარე განგამდე და კვლავ ილაშქრა მდინარე ინდის გავლით ვიდრე ინდოეთის ზღვამდე, და ამრიგად დაბრუნდა ასირიაში, ბაბილონში, ასე

რომ მის ხელთ აღმოჩნდა მთელი ევროპა და აზია. იქ (ასირიაში), რაღაც სენით შეპყრობილი, გარდაიცვალა ის.

ჰომერუსის ლაშქრობა ალბანიაში, იბერიაში და კოლხეთში

Ἐντεῦθεν λοιπὸν τῆς Ἰουδαίων συμμαχίας Ὑρκανὸς ἀφαιρειθεὶς ἄμα τῷ Ἀντιπάτρῳ τὴν Δαμασκὸν καταλαμβάνει, πρὸς Μάγνον Πομπήμιον τὸν τηγικαῦτα καταλαβόντα ἐξ Ἀρμενίας τὴν Συρίαν μετὰ τῆς πολυθρυσλήτου ἀριστείας κατὰ Μιθριδάτου καὶ Τιγράνου Ἀλβανίας τε καὶ Ἰβηρίας καὶ Κολχίδος² καὶ αὐτῶν Ἀσσυρίων, καὶ δῶρων χωρὶς μόναις ἐμβόλοις δικαιοσύνης πείθουσι τὸν

ამრიგად, ჰირკანეს რომ მოაკლდა იუდეელთა მოკავშირეობა, მან ანტიპატრესთან ერთად დამასკოს მიაშურა მაგნუს ჰომერუსთან, რომელიც მაშინ არმენიიდან სირიაში მოსულიყო ჩინებული გამარჯვების შემდეგ მითრიდატეზე და ტიგრანეზე, ალბანიაზე, იბერიაზე, კოლხიდაზე და თვით ასირიელებზე, და ჰირკანემ და ანტიპატრემ უსაჩუქრებოდ, მარტო კეთილგონიერი საბუთებით დაი-

1) აქ, როგორც კონტექსტიდან ჩანს, იგულისხმება ინდოეთის კავკასია (პარაპამისი): ალექსანდრემ „სპარსეთი“ დაიპყრა და მივიდა კავკასიაში; კავკასიიდან გადასულა ინდების წინააღმდეგ და დაუმორჩილებია მთელი ინდური ტომი. ძნელი საფიქრებელია, რომ ავტორს სპარსეთის სამეფოს დაპყრობის შემდეგ ალექსანდრე უკან დაებარებინა ჩვენს კავკასიაში და მერე აქედან უშუალოდ ინდოეთში გადაეყვანა ის. როგორც ცნობილია, ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობათა გარშემო შექმნილ ლეგენდებში იხსენიება ალექსანდრეს ლაშქრობა ჩვენს კავკასიაში: ამ უკანასკნელი ვერსიის ერთ-ერთი ავტორის ნახელარი უნდა იყოს ჩვენი „ქრონიკის“ ამ ადგილას ჩამატება წინადადებისა «და მივიდა მეოტის ტბამდე»: ამით ინტერპოლატორს სურდა, ჩვენის აზრით, ხაზი გაესვა იმისთვის, რომ აქ კავკასია იგულისხმებოდა და არა პარაპამისი (ამ ინტერპოლატიის შედეგი უნდა იყოს ტექსტუალური დამახინჯება ამ ადგილისა; იხ. ზემოთ გვ. 61, შენიშვნა 2).

2) Χαλκίδος G.

5. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1940, I.

Μάγνον ἀληθῶς καὶ φιλαλήθη
Πομπήιον ἐπινεῦσαι τῇ Ἑρκανοῦ
βοηθείᾳ (CB 563,1-8).

Ὁ Πομπήιος παραδούς Σκαύρου
διέπειν καὶ δύο Ῥωμαϊκὰ τάγ-
ματα πρὸς συμμαχίαν εἰς Ῥώ-
μην ἠπειγέτο διὰ Κιλικίας, αὐτὸς
τὸν μέγιστον κατατάξων θρίαμβον
ἐπαγόμενος τοὺς ἠττηθέντας αὐ-
τῷ βασιλέας Φαρνάκην Μιθριδά-
του υἱὸν (τὸν καὶ καρτερήσαντα
τὸν ἴδιον ἀνελεῖν πατέρα Μιθρι-
δάτην τῇ πρὸς Πομπήιον χάριτι
καὶ αὐμῖς κατὰ Ῥωμαίων στα-
σιάζαντα) Κολχῶν ἦτοι Δαζῶν
βασιλέα², ἄρχοντας Ἰβήρων³ κ',
Αριστόβουλον Ἰουδαίων βασιλέα
σὺν θυγατράσι δυοῖς καὶ υἱοῖς,
Ἀλεξάνδρου καὶ Ἀντιγόνου... (CB
565,21-566,8).

ყოლიეს მართლაც რომ დიდი და
ჭემბარიტების მოყვარული პომ-
პეუსი ჰირკანესთვის აღმოეჩინა
დახმარება...

პომპეუსმა სკავრეს მიანდო წეს-
რიგის დამყარება და ორი რო-
მაული რაზმიც დაუტოვა დამხმა-
რედ, თვითონ კი კილიკიის გზით
რომში გაემგზავრა დიდი ტრიუმფ-
ის მოსაწყობად: თან მიჰყავდა მის
მიერ დამარცხებული მეფეები:
ფარნაკე, მითრიდატეს ძე (რო-
მელმაც პომპეუსის სასარგებლოდ
ხელი შეუწყო საკუთარი მამის,
მითრიდატეს, მოსპობას და მერე
კვლავ აჯანყდა რომაელების წი-
ნააღმდეგ), კოლხთა ანუ ლაზ-
თა მეფე¹, იბერიელთა ოცი
მთავარი, იუდეელთა მეფე
არისტობულე ორი ქალიშვილითა
და ვაჟებითურთ – ალექსანდრეთი
და ანტიგონეთი...⁴

1) βασιλεῖς გამოცემაში. – 2) βασιλέας G. — 3) ἰβηρίων B.

4) გიორგი სინგელოზის „ქრონიკის“ ამ ნაწყვეტში ჩვენთვის განსაკუთრე-
ბულ ინტერესს წარმოადგენს მოხსენიება «ი ბ ე რ ი ე ლ თ ა ო ც ი მ თ ა ვ რ ი ს ა».
ჩვენ მოგვეპოვება სხვა ისტორიკოსების ცნობებიც პომპეუსის ლაშქრობათა
შესახებ ალბანიაში, იბერიასა და კოლხეთში, ისევე როგორც მისი ტრიუმფით
დაბრუნების შესახებ რომში, მაგრამ არსად «იბერიელთა ოცი მთავარი» არ იხსე-
ნება. აპპიანე (II საუკ. ახ. წ.) ასე აგვიწერს პომპეუსის ტრიუმფს:

Αὐτὸς δὲ τοῦ Πομπηίου προῆγον ὄσοι
τῶν πεπολεμημένων βασιλέων ἠγῆμένοι
ἢ παῖδες ἢ στρατηγοὶ ἦσαν..., ἐνθα δὲ
καὶ ὁ Τερράνους ἦν παῖς Τερράνης καὶ
πέντε Μιθριδάτου..., παρήγετο δὲ καὶ ὁ
Κολχῶν σκηπτοῦχος Οὐθιάκης... καὶ Σκό-
θων βασιλεῖσι γυναικῆς, καὶ ἠγῆθη ὁ
υἱὸς τῆς Ἰβήρων καὶ Ἀλβανῶν
ὄσο (Appiani Lib. de b. Mithridatico 117).

თვით პომპეუსის წინ მიდიოდნენ ისი-
ნი, ვინც დამარცხებული მეფეების ან
მთავრები, ან შვილები, ან სარდლები
იყვნენ... აქ იყო ტიგრანის შვილი ტი-
გრანი, მითრიდატეს ხუთი შვილი...
იყო აგრეთვე კოლხთა სკიპტროსანი
ოლთაკე... სკვითთა სეფე-ქალნი, ი ბ ე-
რ ი ე ლ თ ა ს ა მ ი მ თ ა ვ ა რ ი და
ალბანელთა ორი.

დიონ კასიუსიც (150 – 235) აგვიწერს პომპეუსის ლაშქრობას საქარ-
თველოში, დაწვრილებით ჩერდება იბერთა მეფეზე, არტოკზე, მაგრამ არაფერს

532-წლიანი მოქცევა

Τῷ αὐτῷ εφ' ἔτει ἀπὸ κτίσεως κόσμου πληρουμένῳ, τῷ κη' τῆς Φαμενώθ, μηνὸς Μαρτίου κδ' καὶ ἀρχομένῳ τῷ Φαμενώθ κθ' ἦτοι Μαρτίου κε', ἕκτος μῆς ἀπὸ τοῦ εὐαγγελισμοῦ Ζαχαρίου καὶ τῆς τοῦ προδρόμου συλλήψεως, ἀπεσταλή ὁ ἀρχάγγελος Γαβριήλ πρὸς τὴν ἀγίαν καὶ ὑπερένδοξον παρθένον τὰ τῆς παγκοσμίου σωτηρίας καὶ αἰωνίου ζωῆς εὐαγγέλια κομίσαν. ἔτος τῆς μὲν ια' περιόδου τῶν φλβ' ἔτων ρπα' ἀρχόμενον, μὴν παρ' Ἑβραίοις Νισάν πρωτόκτιστος α' ἄγων ἡμέραν, ἦτις κατὰ μὲν Ῥωμαίους τῆ κε' τοῦ Μαρτίου [μηνὸς] συμπίπτει ἀεὶ μῆνός, κατὰ δὲ Αἰγυπτίους τῆ

იმავე 5500 წელს ქვეყნის გაჩენიდან, ფამენოთის 28-ს, მარტის თვის 24-ს და ფამენოთის მომდევნო 29-ს, ე. ი. მარტის 25-ს, რომელიც არის მეექვსე თვე ზაქარიას ხარებისა და წინამორბედის ჩასახვს დღიდან, მთავარანგელოზი გაბრიელი გაიგზავნა წმინდა და მიმადლებულ ქალწულთან, რომელსაც მიახარობლა მთელი ქვეყნის ხსნისა და საუკუნო ცხოვრების ამბავი. ეს იყო 181 წელი 532 წლიანი მეთერთმეტე მოქცევისა, ებრაელთა თვე ნისანი, პირველქმნილი წამყვანი დღეებისა, რომელიც ყოველთვის ხვდება რომაელების 25 მარტს, ეგვიპტელების 29 ფამენოთს, აპრილის

ამბობს პომპეუსის ტრიუმფზე (Dio Cassius, ed. Dindroffii c. 37). იბერიელთა მეფეს არტოკს იხსენიებს ევტროპიც (IV საუკ. ახ. წ.), მაგრამ არც ის ლაპარაკობს პომპეუსის ტრიუმფზე (Eutrop. VI 14; იხ. ზემოთ გვ. 3). ასე რომ ჩვენს განკარგულებაშია ორი წყარო (აპკიანე და გიორგი სინგელოზი), რომლებიც „იბერიელთა მთავრებზე“ ლაპარაკობენ: აპკიანეს ცნობით პომპეუსს იბერიის „სამი მთავარი“ წაუყვანია რომში, ხოლო გიორგი სინგელოზით „ოცი მთავარი“. ჩვენს ყურადღებას იპყრობს აქ შემდეგი გარემოება: იმ პირთა შორის, რომლებიც პომპეუსმა წაასხა ტროფეების სახით, გიორგი სინგელოზის გადმოცემით სულ ყველანი მეფეები (*βασίλεις*) იყვნენ გარდა იბერიიდან წაყვანილთა; აქ იყო პონტოს მეფე, კოლხეთის მეფე, იუდეელთა მეფე არისტობულე, ხოლო იბერიიდან ოცი მთავარი (*ἀρχόντες*). აპკიანე ამ მთავრებს უწოდებს «ჰეგემონებს» (*ἡγεμόνες τῶν*). ჩვენ რომ არ მოგვეპოვებოდეს გიორგი სინგელოზის პარალელური ტექსტი, სადაც მოხსენებული არიან *ἀρχόντες*, შეგვეძლო გვეფიქრა, რომ იბერიიდან პომპეუსმა მძევლებად თუ ტყვეებად წაასხა «სარდლები» (*ἡγεμόνες*) და არა მეფე (არტაგი), რომელიც მან სხვა წყაროების ცნობით, აიძულა გაქცეულიყო (იხ. ზემოთ გვ. 3 და შენიშვნები), მაგრამ გიორგი სინგელოზის *ἀρχόντες* გვაიძულებს ვთქვათ, რომ ესენი მარტო «სარდლებად» არ ყოფილან. *ἀρχόντες* პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილი მმართველები იყვნენ («მთავარი», «ერისთავი»). თუ, სახელდობრ, რა ფარგლებში იყო ეს უფლებები «არქონტებისა» ან როგორი იყო მათი ურთიერთობა «მეფესთან» (არტაგთან), ეს შემდგომი კვლევის საკითხია.

καὶ τὸν Φαμεγώνῃ, πρὸς τὴν καλαν-
θῶν Ἀπριλλίαν (CB 596,10-20).

კალანდების რვა ლლის წინ ¹.

კოლხეთის დაპყრობა რომაელთა მიერ

Ῥωμαίων ἐξ βασιλέως Σευθή-
ρου ἔτη ιη'.

Σευθῆρος Οὐλγίσσος Περσῶν
βασιλέως φυγόντος πρὸς τὴν Νι-
σιβιν καὶ ἄλλας πόλεις Πέρσαις
προδοθείσας, Ῥωμαίοις δὲ πρὸ-
τερον ἀνηκούσας, παρεστήσατο.

Σευθῆρος Ἀδιαβηγῶν καὶ Ἄρα-
βας συμμαχήσαντας τῷ Νίγερι
καθυσπέταξεν.

Ὁ αὐτὸς Κολχικὴν ἤτοι Λαζი-
κὴν παρεστήσατο (CB 671,1-10).

რომაელთა მე –17 მეფის სევერეს
მეფობის 18 წელი ².

სევერემ გააქცია სპარსელთა მეფე
ულიგისე და დაიმორჩილა ნისიბი-
ნი და სხვა ქალაქები, რომლებიც
სპარსელებს ჰქონდათ გადაცემული,
წინათ კი რომაელებს ეკუთვნოდა.

სევერემ დაიმორჩილა ადიაბენე-
ბი და არაბები, რომლებიც ნიგერ-
თან იბრძოდნენ.

მანვე (სევერემ) დაიმორჩილა
კოლხიკე, ესე იგი ლაზიკე ³.

¹) ჩვენამდე მოღწეულ ტექსტთაგან გიორგი სინგელოზის ეს ნაწყვეტი პირ-
ველია, რომელიც შეიცავს ცნობას 532-წლიანი მოქცევის შესახებ. ეს რიცხვი
წარმოადგენს ნამრავლს 28-ისა (მზის მოქცევის წელთა რიცხვისა) და 19-ისას
(მთვარის კვინკლოსისას) (28X19=532) და 532 წელი ის რკალია, რომელიც თა-
ვისი განმეორების დროს განსაზღვრულ, ერთსა და იმავე დღეს ათავსებს საქრი-
სტიანო საზოგადოებაში მიღებულ ყველა მნიშვნელოვან ცვალებად დღესასწაუ-
ლებს: „532 წელი რომ დასრულდება, შვიდეულის დღენი, მთოვარის განახლება
დიდ მარხვის აღების დღე, პასექის დღე და შემდგომნი ცვლადნი დღესასწაულნი,
კვირაცხოვლობა, ამაღლება და სხვანი ანგარიშნი თვითეულის წლისა იმავე შვი-
დეულის დღეს, თვისა რიცხვს და თვეს მოვლენ, როგორც რომ 532 წლის წინათ
იყო“ (დ. ჩ უ ბ ი ნ ო ვ ი, ეტნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის
ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა, გვ. 16 – 17; იხ. აგრეთვე W. K u b i t s c h e k,
Grundriss der antiken Zeitrechnung. München 1928, გვ. 46). ეს წელთაღ-
რიცხვა პირველად შემოიღო დ ი ო ნ ი ს ე მ წ ი რ მ ა (Dionysius Exiguus; გარ-
დაიცვალა 540 წლის მახლობელ ხანებში), რომელმაც 525 წელს თავის თხზუ-
ლებაში Liber de pascale „სააღდგომო ცხრილები“ დაამუშავა (RE V, 998 – 999).

²) Septimius Severus კეისრად იყო 193 – 211) წლებში (სულ 18 წელს
კეისრობდა).

³) ეს ამბები მოთხრობილია იმ თავში, რომლის ზედაწერილია: «ქვეყნის
გაჩენიდან 5696 წელი, განკაცებითაგან 196 წელი. რომაელთა დანარჩენი საქმეები»
(პანოდორეს 196 წელი უდრის ალექსანდრიულ 204 წელს). დ ი ნ დ ო რ ფ ი შ ე ნ ი-
შენებში სწერს (II, 334): «Κολχικὴν ἤτοι Λαζικὴν, haec duo verba expungit pag.
Eadem»; ლაპარაკია ძველს გამომცემელზე ს კ ა ლ ი გ ე რ ზ ე, რომელსაც – როგორც
დ ი ნ დ ო რ ფ ი ს შ ე ნ ი შ ე ნ ი დ ა ნ ჩ ა ნ ს – ორი უკანასკნელი სიტყვა (ἤτοι Λαζიკή) მოუსპია.

კეისარ ტაკიტეს მოკვლა

ქვეყნის გაჩენიდან 5765

განკაცებითგან 265 (273)

Ῥωμαίων κτ' βασιλεὺς Ἀὐρηλιανὸς ὁ προγεγραμμένος ἔτη ε'.

Τῷ ε' αὐτοῦ ἔτει Ἀὐρηλιανὸς μέλλων διαγμὸν κινεῖν κατὰ Χριστιανῶν φείω κεραιγῶν διακόλνεται. σασκευῆς δὲ γενόμενης περὶ αὐτοῦ ἐκ τῶν κατ' αὐτὸν ἐδολοφονήθη ἐν καινῷ φρουρίῳ.

Μεθ' οὗ βασιλεύει Τάκιτος μῆνας ε'.

Ὁὐ σφαγέντος ἐν Πόντῳ βασιλεὺς Φλαριανὸς ἡμέρας πη' (CB 722,10-16):

რომაელთა ოცდა მეცხრე მეფემ, ზემოთხსენებულმა ავრელიანემ¹, იმეფა ექვს წელს.

თავისი მეფობის მეექვსე წელს ავრელიანემ განიზრახა დევნა ეყოქრისტიანებისათვის და ღვთაებრივმა ელვამ ხელი შეუშალა, ხოლო შემდეგ, მისიანებმა მახე დაუგეს და ვერაგულად მოჰკლეს ახალ ციხეში.

მის შემდეგ იმეფა ტაკიტემ ექვს თვეს.

მისი მოკვლის შემდეგ კონ-

ტოში² მეფობდა ფლორიანე ოთხმოცდარვა დღეს.

¹) ავრელიანე (Lucius Domitius Aurelianus), რომის კეისარი 270 – 275 წლებში.

²) ტაკიტე (Marcus Claudius Tacitus), რომის კეისარი (275 – 276 წ.). მოჰკლეს ჭანეთში (შდ. გეორგიკა III, 252).

თეოფანე ჟამთააღმწერელი

თეოფანე ჟამთააღმწერელი ანუ, როგორც მას ჩვეულებრივ ეწოდება, თეოფანე აღმსარებელი (θεοφάνης ἁγιογράφος) ბიზანტიური ქრონოგრაფიის ერთი უდიდესი წარმომადგენელთაგანია. იგი დაიბადა 760 წლის მახლობელ ხანებში; მამა მისი, ისააკი, იყო შეძლებული მოხელე კონსტანტინეპოლში და დიდს პატივში იყო კონსტანტინე კოპრონიმის (741 – 755) კარზე, თუმცა ის ხატისთაყვანისმცემელთა¹ ბანაკს ეკუთვნოდა. თეოფანე პირველ ხანებში, სწავლა-განათლების დამთავრების შემდეგ, სახელმწიფო სამსახურში იყო და კიდევ მიაღწია ლეონ IV-ის დროს (775 – 780) სპათარის პატივს. ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო თეოფანე, როდესაც მან საერისკაცო ცხოვრებას თავი გაანება და ბერად აღიკვეცა; მან დააარსა მრავალი მონასტერი: ასე, მისი დაარსებულია მონასტერი xxx-xxx მარმარილოს ზღვის ნაპირას, კვიზიკსა და რინდაკის შესართავს შუა. თეოფანე ხატისთაყვანისმცემელთა ბანაკს ეკუთვნოდა და, როდესაც ლეონ V-ის დროს (813 – 820) განახლდა ხატისთაყვანისმცემელთა დევნა, თეოფანეც დატუსაღებულ იქმნა 815 წელს და 818 წელს გადასახლებულ იქმნა სამოთრაკის კუნძულზე, სადაც ის იმავე წლის 12 მარტს გარდაიცვალა (იხ. K. Krumbacher, G. d. byz. L. გვ. 342 და RE, Zweite Reihe, X Hib [1934], Sp. 2127).

თეოფანეს კალამს ეკუთვნის ქრონოგრაფი, რომლის სათაურად ხელთნაწერებში სწერია: Θεοφάνους ἀμαρτωλῶν καὶ ἡγούμενου τῶν

Ἀγρῶν καὶ Ὁμολογητῶν χρονογραφία ἐτῶν φκη', ἀρχομένη ἀπὸ πρώτου ἔτους Διοκλητιανοῦ ἕως δευτέρου ἔτους Μιχαήλ καὶ Θεοφιλᾶκτου σὺν τῶν αὐτῶν τοῦτ' ἔστιν ἀπὸ τοῦ εἰσοῦ ἔτους τῶν κόσμου ἕως ἔτους ςϵ' κατὰ τοὺς Ἀλεξανδρείας, κατὰ δὲ Ῥωμαίους ςϵκκ' („აგრუს [მო-

¹) ხანა 726 წლიდან 843 წლამდე ბიზანტიის საშინაო ცხოვრებაში ხასიათდება «ხატისმებრძოლობის» სახელწოდების ქვეშ ცნობილი მოძრაობით, როდესაც ებრძოდა ერთმანეთს ორი ბანაკი: ხატისმებრძოლთა და ხატისთაყვანისმცემელთა. ეს მოძრაობა, რომლის ინიციატორები იყვნენ თვით კეისრები (ლეონ III ისავრიელი, კონსტანტინე V კოპრონიმი და სხვ.), არსებითად მიმართული იყო ბერებისა და მსხვილი სამონასტრო მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და მიზნად ისახავდა მსხვილი სამონასტრო მამულების დაქუცმაცებას და წვრილ მესაკუთრეთათვის დარიგებას.

ნასტრის] ცოდვილი ბერისა და წინამძღოლის თეოფანე აღმსარებლის ქრონოგრაფი 528 წლისა, დაწყებული დიოკლეტიანეს [მეფობის] პირველი წლიდან ვიდრე მიქაელისა და მისი ძის თეოფილაქტეს¹ მეორე წლამდე, ესე იგი ქვეყნის გაჩენის 5777 წლიდან ვიდრე 6305 წლამდე ალექსანდრიული წელთაღრიცხვით, ანუ 6321 წლამდე რომაული წელთაღრიცხვით“). თეოფანეს „ქრონოგრაფი“, როგორც ამას წიგნის სათაურიც აღნიშნავს, შეიცავს ამბებს დიოკლეტიანედან (284 წლიდან) მიქაელ I რანგაბემდე (813 წლამდე), ე. ი. იმ დროიდან, სადაც გიორგი სინგელოზმა შესწყვიტა თავისი მოთხრობა. თეოფანე თვითონაც გადმოგვცემს თავისი „ქრონოგრაფის“ შესავალში, გიორგი სინგელოზს დაუმთავრებელი დარჩა თავისი ნაშრომი, მხოლოდ დიოკლეტიანემდე მოიტანა მოთხრობაო და ჩვენ გვთხოვა დაგვემთავრებინა იგიო (დე ბოორის გამ. გვ. 3 – 4). აქედან ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თეოფანეს თავისი „ქრონოგრაფის“ წერა დაწყებული უნდა ჰქონდეს არა უადრეს 810 წლისა, რადგან, როგორც ცნობილია (იხ. ზემოთ გვ. 57), გიორგი სინგელოზი გარდაიცვალა არა უადრეს 810 წლისა; ხოლო შეწყვეტილი უნდა ჰქონდეს „ქრონოგრაფის“ წერა არა უგვიანეს 814 წლისა, რადგან 815 წლის მარტში უკვე გამოიცა ლეონ V-ის *πρόσταγμα* ხატების თაყვანისცემის წინააღმდეგ და თეოფანე კი თავისი „ქრონოგრაფის“ ბოლოში ლეონს ჯერ კიდევ „კეთილსათნოდ“ იხსენიებს (de Boor 502,3 – 4; *Λέοντι, πατριῶσι καὶ στρατηγῶ τῶν ἀγατοῦχων, ἃς ἐπέσειε καὶ ἀνδρειοτάτω....* შდ. *RE*, 1. c. (30 F. Dölger, *Corpus der griechischen Urkunden des Mittelalters und der neueren Zeit I* [München 1924], 33, 49, №: 394).

მართალია, თეოფანე თავისი ძირითადი საქმიანობით (როგორც ბერი და „ღვთისმეტყველი“)? ისტორიკოსი არ ყოფილა და საისტორიო თხზულების წერისათვის ხელის მოკიდება ერთგვარ შემთხვევითობას მიეწერება (მისი მეგობრის, გიორგი სინგელოზის, თხოვნის ასრულებას), მაგრამ ის ბიზანტიური ისტორიოგრაფისათვის უდიდესი მნიშვნელობის მოღვაწეა, განსაკუთრებით როგორც წყარო VII – VIII საუკუნეთა ისტორიისათვის, ვინაიდან ამ ეპოქისათვის,

¹) მიქაელ I რანგაბე – მეფობდა 811 წლის 2 ოქტომბრიდან 813 წ. 10 ივლისამდე; მანვე 811 წლის 25 დეკემბერს პატრიარქ ნიკიფორეს მეფედ აკურთხებინა თავისი ვაჟი თეოფილაქტე (იხ. თეოფანე, ქრონოგრაფი, დე ბოორის გამ. გვ. 494,25 – 27).

²) ის თავის მიერ დაარსებულ მონასტრებში შრომობდა საღვთისმეტყველო წიგნების გადაწერაზე.

რომელსაც ახასიათებს ძირითადი ძრვები ბიზანტიის სახელმწიფო ცხოვრებაში ერთის მხრით არაბთა შემოსევასთან, ხოლო მეორე მხრით სახატისმებრძოლო მოძრაობასთან დაკავშირებით, ჩვენ სხვა წყაროები არ მოგვეპოვება; მხოლოდ ნიკიფორეს „მოკლე ისტორია“ (Ἰστορία σύντομος) უდგას მას გვერდით¹. გარდა ამისა თეოფანეს „ქრონოგრაფის“ მნიშვნელობა იმითაც იზრდება, რომ მან ზედმიწევნით დააზუსტა ქრონოლოგიური თარიღები. თეოფანემ გამოიყენა გიორგი სინგელოზის გამოცდილება და მისი ცდები ქრონოლოგიის დარგში და კიდევ უფრო გაზარდა თარიღების დასაზუსტებელი საშუალებები: თვითეული წლის ამბების მოთხრობის წინ მას მოჰყავს ქრონოლოგიური ცხრილი, რომელშიაც შეტანილია წელთა რიცხვი: 1) ქვეყნის გაჩენიდან, 2) ქრისტესით, 3) ბიზანტიის ამათუიმ კეისრის მეფობიდან, 4) ირანის ამათუიმ მეფის (ან არაბთა ხალიფის) მმართველობის დაწყებიდან და 5) ყველა ხუთივე პატრიარქის პატრიარქობისა. აი, სანიმუშოდ ერთ-ერთი ცხრილი, რომელიც წინ უძღვის ჩვენ მიერ ქვემოთ (გვ. 76) მოყვანილ ნაწყვეტს ლაზთა მეფის წათეს შესახებ: «1) დასაბამითგან ქვეყნისა 6020 წელი; 2) ღვთაებრივი განკაცებითგან 520 წ.; 3) რომაელთა მეფე იუსტინიანე [მეფობდა] 38 წელს; (მისი მეფობის) I [წელი]; 4) სპარსელთა მეფე ხოსრო [მეფობდა] 48 წელს, [მისი მეფობის] მე-3 [წელი]; 5) რომის ეპისკოპოზი ფილიქსი 4 წელს, [მისი] მე-2 [წელი]; 6) კონსტანტინეპოლის ეპისკოპოზი ეპიფანი 16 წელს, [მისი] მე-8 [წელი]; 7) იერუსალიმის ეპისკოპოზი ელია 23 წელს, [მისი] მე-17 [წელი]; 8) ალექსანდრიის ეპისკოპოზი ტიმოთე 17 წელს, [მისი] მე-8 [წელი]; 9) ანტიოქიის ეპისკოპოზი ეფრაიმი 18 წელს, [მისი] I [წელი]².

თავის ქრონოლოგიურ სისტემას თეოფანე საფუძვლად უდებს პანოდორეს (ე. ი. ალექსანდრიულს) წელთაღრიცხვას, ე. ი. „ქვეყნის გაჩენიდან“ მოყვანილ წელთა რიცხვს უნდა გამოვაკლოთ 5492. ხოლო „ქრისტესით“ ნაანგარიშევი წლებს უნდა დავუმატოთ 8. გარდა ამისა თეოფანეს მოჰყავს ტექსტში აგრეთვე ინდიქტიონის წლები (ბიზანტიური თხუთმეტწლიანი კვინკლოსით), რაც საშუალებას იძლევა კიდევ უფრო დავაზუსტოთ თარიღები. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც „ქვეყნის გაჩენიდან თეოფანეს მიერ მოყვანილი წლების რიცხვი ერთით ნაკლებია ინდიქტიონებით ნაჩვენებ წლებზე. ამ საკითხის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში კამათია გა-

¹) ნიკიფორეს „ისტორია“ მხოლოდ 769 წლამდეა მოტანილი.

²) ქვემოთ ჩვენ, ადგილის სიმცირის გამო, მოგვყავს ხოლმე მხოლოდ პირველი სამი თარიღი.

მართული (G. Ostrogorsky, Die Chronologie des Theophanes im VII. und VIII. *Jahrh. Byz. Neugr. Jahrb.* VII [1930], 1 – 56; V. Grumel, L'année du monde dans la Chronographie de Théophanes: *Échos d'Or.* 33 [1934], 395 – 408; უკანასკნელს ვიცნობთ F. D[ölger]-ის რეცენზიის მიხედვით, *BZ* 35 [1935], 153 – 155). ზოგიერთთა აზრით ეს განსხვავება მსოფლიო და საინდიქტიონო წლებს შორის აიხსნება იმით, რომ თეოფანე, როგორც გამგრძელებელი გიორგი სინგლოზისა, უკანასკნელის მსგავსად 25 მარტი იწყებდა მსოფლიო წელს, ხოლო ვინაიდან თეოფანეს მიერ მოთხრობილი ზოგიერთი ამბები ემთხვეოდა 1 სექტემბრით დაწყებულ ამათუიმ ინდიქტიონს, ამიტომ მან ზოგი ამბავი 25 მარტის წინა სექტემბერს მიაკუთვნა, ზოგი კიდეც 25 მარტის შემდგომ სექტემბერსო. მიღებულია დღეს შემდეგი ახსნა: განსხვავება მსოფლიო და საინდიქტიონო წლებს შორის აიხსნება იმით, რომ 605/606 და 606/607 წლების ამბები თეოფანემ ერთად აღწუსა; ამიტომ ის თავის შემდგომ თხრობაში ერთი წლით უკან რჩება მანამ, სანამ ის 712 და 713 წლების ამბებს სამი წლის მანძილზე გაანაწილებდეს (აქ, მაშასადამე, შეცდომა უკვე გამოსწორებულია). მაგრამ 725/726 და 726/727 წლების ამბებს ის კვლავ ერთ წელში ათავსებს და ასე აგრძელებს თხრობას მანამ, სანამ 774 და 775 წლების ამბებს სამ წელზე გაანაწილებდეს (აქაც კვლავ გამოსწორდება მდგომარეობა). მაშასადამე, 606/607 – 711/712 და 726/727 – 773/774 (ანუ ქვეყნის გაჩენიდან 6099 – 6204 და 6219 – 6266) წლების ამბების ზუსტად დასათარიღებლად თითო წელი უნდა დავუმატოთ თეოფანეს მიერ ნაჩვენებ წლებს.

წყარობად თეოფანეს ჰქონდა ძველი ხანისათვის, V საუკუნის შუა წლებამდე, სოკრატე, სოზომენე და თეოდორიტი. შემდეგი ხანისათვის ვიდრე ირაკლის მეფობამდე თეოფანეს თხრობას ემჩნევა დიდი მსგავსება მალალას, პროკოპი კესარიელის, აგათიას, იოანე ანტიოქელის, თეოფილაქტეს და გიორგი პიზიდიელის ნაშრომებში და „პასქალურ ქრონიკაში“ მოცემულ თხრობასთან, მაგრამ ჯერჯერობით არ არის გამორკვეული თეოფანემ ისარგებლა ამ ნაშრომებით, თუ მათ ყველას საერთო წყარო ჰქონდათ (*REI.* c.).

თეოფანეს „ქრონოგრაფი“ იმ ღირსებათა გამო, რომლებზედაც ზემოთ იყო ნათქვამი, ძალიან პოპულარული იყო, როგორც ბიზანტიაში ისე დასავლეთში¹; თეოფანეს ამ „ქრონოგრაფით“ თითქოს

¹) IX საუკუნის 70-იან წლებში ის გადათარგმნა ლათინურად ანასტასი ბიბლიოთეკარმა.

დამთავრებულად თვლიდნენ ქრონოგრაფიული რკალის თხრობას და მომდევნო ქრონისტები მეტწილად იქიდან იწყებდნენ თხრობას, სადაც თეოფანეს თხრობა თავდება.

თეოფანეს „ქრონოგრაფს“ გაუჩნდა აგრეთვე უშუალო გაგრძელება, რომელიც თეოფანეს „ქრონოგრაფს“ უმატებს ლეონ V, მიქაელ II, თეოფილეს და მიქაელ მესამის ისტორიას და რომელიც ცნობილია Theophanes Continuatus-ის სახელწოდებით. ეს გაგრძელება შედგენილი უნდა იყოს 961 – 963 წლებში (K. K r u m b a c h e r 349).

ტექსტისა და თარგმანის დამხადების დროს ხელთ გექონდა შემდეგი გამოცემები და სპეციალური ნაშრომები:

Carolus de Boor, Theophanis Chronographia. Volumen I, textum graecum continens ¹. Lipsiae 1883, p. X+503.

Classenus Joannes, Theophanis Chronographia. Volumen I (ბერძნული ტექსტი). Bonnae 1839, Volumen II (შეიცავს Anastasii Bibliothecarii Historia ecclesiastica, ex recensione Immanuelis Bekkeri). Bonnae 1841 (CB).

Оболенский В. И. и Терновский, Ф. А. Летопись византийца Феофана (rusuli Targmani). Москва 1884.

Преображенский П. Г. Летописное повествование Феофана Исповедника. Исследование из области византийской историографии ². Вена 1912.

¹) დე ბოორს გამოყენებული აქვს შემდეგი ძირითადი ხელთნაწერები:

- b – Codex Vaticanus 154, XII საუკუნისა
- c – Codex Vaticanus 155, XI საუკუნისა
- d – Codex Parisinus Regius 1710, X საუკუნისა (თავში და ბოლოში ნაკლულევანი)
- δ – Codex Parisinus Regius 1709 (გადმოწერილი d ხელთნაწერიდან XVI საუკუნეში)
- e – Codex Vaticanus Palatinus 395, XV – XVI საუკუნისა
- f – Codex Coislinianus 133, XIII საუკუნისა
- g – Codex Pansinus Regius 1711, XI საუკუნისა
- h – Codex Vaticanus 978, XII საუკუნისა
- m – Codex Monacensis Graecus 391, XV – XVI საუკუნისა.

²) ამ წიგნის ავტორი აყენებს ორიგინალურ მოსაზრებებს თეოფანეს ტექსტის დადგენის შესახებ და იყენებს ახალს, სამწუხაროდ ტექსტის დადგენის მხოლოდ დამაბუნდოვანებელს, მეთოდებს, რაც ამ წიგნს თითქმის უსარგებლოდ ხდის მკვლევარისათვის (იხ. ს. შე ს ტ ა კ ვ ი ს რეცენზია ამ წიგნზე: *ЖМНП* 1913 წ. ივლისი, გვ. 189 – 144).

იოანე ოქროპირის გამევება ბიჭვინტაში

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან არკადის მეფობის
5898 398 (406) 12

Ἰωάννης δὲ ἐξηλάθη τῆς πύ-
λεως καὶ ἐξῶρισθη εἰς Κουσού-
σον, ἐκεῖθεν τε μετηνέχθη εἰς
Πισοῦντα. γενόμενος δὲ ἐν Κο-
μόνοις κατὰ πάροδον τῆς Ἀρμε-
νίας ἐτελειώθη ἐν κυρίῳ. τούτου
δὲ ἐξορισθέντος Ἀρσάκιος ἐχει-
ροτονήθη, ὁ ἀδελφὸς Νεκταρίου
τοῦ πρὸ τοῦ Χρυσοστόμου (de
Boor 79,16—21).

იოანე გამევებულ იქმნა ქალა-
ქიდან (ე. ი. კონსტანტინეპოლიდან)
და გადასახლებულ იქმნა კუკუსო-
ში, იქიდან კი გადაყვანილ იქმნა
პიტუნტში¹. კომანოში
რომ იყო, არმენიის გზაზე, მიც-
ვალა უფლისა მიმართ. მისი გადა-
სახლების შემდეგ ხელდასხმულ იქ-
მნა არსაკი, იმ ნექტარიოსის ძმა,
რომელიც ოქროპირის წინ იყო.

ფარსმან კოლხი

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან ანასტასის მეფობის
5997 497 (509) 14

Τούτην τῶν ἔτει στέλλεται παρὰ
τοῦ βασιλέως Ἀναστασίου στρα-
τιὰ Γότθων τε καὶ Βέσσην καὶ
ἐτέρων Θρακίων ἐθνῶν, στρατη-
γόντος τῆς ἕως καὶ ἐξαρχόντος
αὐτῆς Ἀρεόβινδου, τοῦ Δαγαλαί-
φου παιδός, ἡπάτου γεγονότος
ὀρδινάριου (τούτου πρὸς πατρὸς
ἐγένετο πάππος Ἀρεόβινδος, ὁ
κατὰ τὸν Θεοδοσίον τὸν νέου
χρόνον εὐδοκίμησας κατὰ Περ-
σῶν· ἐτέχθη δὲ Ἀρεόβινδος τῶν
Δαγαλαίφων ἀπὸ Γοδισθέας, τῆς
Ἀρδαβουρίου θυγατρὸς τοῦ παι-
δὸς Ἀσπυρος, ὁ πρῶτος ἐμ-

ამავე წელს ანასტასი მეფემ გა-
გზავნა ჯარი, რომელიც შედგებო-
და გუთებისაგან, ბესებისაგან და
სხვა თრაკიული ტომებისაგან; მათ
მეთაურობდა აღმოსავლეთის სარ-
დალი და ექსარხი არეობინდე, და-
გალაიფეს-ძე, რომელიც იყო დიდი
ძალაუფლებით აღჭურვილი ორდი-
ნარული ჰიპატოსი (მასი პაპა,
მამის მხრით, იყო არეობინდე,
რომელმაც თეოდოსი უმცროსის
დროს თავი ისახელა სპარსელთა
წინააღმდეგ ბრძოლაში. არეო-
ბინდე ეყოლა დაგალაიფეს გო-
დისთეასაგან, ამასწინათ მოხსენე-

¹) ეს ქალაქი მოხსენებული აქვს თეოფანეს მეორეჯერაც (de Boor 125,17), იქ, სადაც ის ლაპარაკობს პეტრე მკაწრვალის (Πέτρον τὸν Κναφέα) ექსორიაქმნის შესახებ. ამ ადგილას ხელთნაწერებში იკითხება Πιτυσῶν Πιτυσῶν, ხოლო ანასტასის ლათინურ თარგმანში მოცემულია Pityussam, რაც de Boor-მა ბერძნულ ტექსტშიაც შეიტანა (Πισσοῦσαν წინააღმდეგ ხელთნაწერთა Πιτυσῶν-ისა).

νημονένσαμεν) ἐπὶ δυναστείᾳ με-
γάλη. συναπεστάλησαν δὲ τῷ
Ἀρεοβίνδῳ καὶ ἕτεροι πλείστοι
στρατηγοί, ὧν οἱ περιφανέστατοι
Πατρικίος ἦν καὶ Ὑπάτιος, ὁ Σε-
κουνδίνου καὶ τῆς ἀδελφῆς Ἀνα-
στασίου τοῦ βασιλέως υἱός, καὶ
Φαρασμάνης¹ ὁ Ζουνα, πατήρ,
τὸ γένος Λαζός, καὶ Ῥωμανός ὁ
προειρημένος ἐξ Εὐφρατησίας
συνάφθεις τῷ στρατεύματι καὶ
Ἰουστίνος ὁ βρασιλεύσας μετὰ
ταῦτα, καὶ Ζήμαρχος καὶ ἕτεροί
τινες (de Boor 145,17—146,6).

ბული ასპარის ძის არდაზურის
ქალიშვილისაგან). არეობინდესთან
ერთად გაგზავნილ იქმნა სხვა ბევ-
რი სტრატეგოსიც, რომელთაგან
ყველაზე უფრო გამოჩენილნი იყვ-
ნენ პატრიკიოსი და ჰიპატიოსი,
მე სეკუნდინესი და ანასტასი მე-
ფის დისა, ზუნას მამა ფარას-
მანე¹, წარმოშობით ლაზი, ზე-
მოთ მოხსენებული რომანოზი, რო-
მელიც ევფრატესიიდან შემოუერთ-
და ჯარს, იუსტინე, რომელიც
იმის შემდეგ მეფედ იყო, ზემარქე
და ზოგიერთი სხვაც.

ლაზთა მეფე წათე²

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან იუსტინეს მეფობის
6015 515 (523) 5

Τούτῳ τῷ ἔτει Τζάθιος³ ὁ τῶν
Λαζῶν βασιλεὺς ἀποστατήσας τῆς
τῶν Περσῶν βασιλείας, Καβάδου
βασιλεύοντος, καὶ φιλοῦντος τὸν
Τζάθιον⁴, ὡς καὶ αὐτοῦ προβαλ-
λομένου αὐτὸν βασιλέα τῶν Λα-
ζῶν, ἦλθε πρὸς Ἰουστίνον εἰς τὸ
Βυζάντιον, καὶ παρεκάλεσε τὸν
βασιλέα γενέσθαι αὐτὸν χριστιαν-

ამ დროს ლაზთა მეფე წათი გა-
დაუდგა სპარსელთა სამეფოს, რო-
დესაც იქ მეფობდა კავადი, რო-
მელსაც წათი იმდენად უყვარდა,
რომ ის ლაზთა მეფედ დააყენა.
წათი მივიდა ბიზანტიონში იუსტი-
ნესთან და სთხოვა მეფეს, რათა
მას გაექრისტიანებინა ის და მასვე
ეკურთხებინა ის ლაზთა მეფედ. მე-

1) Φαρισμάνης b, Φαρασμάνης fh, Φαρασβάνης em. ფარსმანი და
მისი შვილი ზუნა მოხსენებული ჰყავს პროკოპი კესარიელს BP I, 8,
BV II, 19 და BVIL, 20 (იხ. გეორგიკა II, 16 – 18); პროკოპის ხელთნაწერები
ზუნას სახელისათვის იძლევიან ვარიანტებს *Zavna* და *Zavva*.

2) წათეს დროს მომხდარი ამბები მოთხრობილი აქვთ აგრეთვე მალა-
ლას (იხ. გეორგიკა III, 263 – 268) და „პასქალური ქრონიკის“ ავტორს (იხ.
ზემოთ, გვ. 11 – 14).

3) თეოფანეს ხელთნაწერები ამ ადგილას იძლევიან Τζάθს (ქვემოთ
გვ. 76 უძველესი ხელთნაწერი იძლევა *Τζάθ(ი)σ*), *Mainlas-Ztáθιος*, *Chr. P.*
Τζάθιος. პ. პროკოპი კესარიელის აზრით ამ სახელის პირველადი ფორმა უნდა
იყოს Τζάθოს (Π. Γ. Πρεοβραჟენეკი, *Летоп. повествование Фео-*
фана, გვ. 53 – 55).

4) ყველა ხელთნაწერი იძლევა Τζάθონ (იხ. წინა შენიშვნა).

νον και ὑπ' αὐτοῦ ἀναγορευομένη-
 ναι βασιλέα τῶν Λαζῶν. ὁ δὲ
 βασιλεὺς μετὰ χαρᾶς αὐτὸν δεξά-
 μενος ἐφώτισεν αὐτόν, και υἱὸν
 ἀνηγόρευσεν. ἔγημε δὲ και γυ-
 ναῖκα Ῥωμαίαν¹, τὴν ἐγγόνην²
 Νόμου τοῦ πατρικίου και ἀπο-
 κούροπαλάτου, Οὐαλεριανὴν τινὰ³,
 και εἰς τὴν ἰδίαν χώραν ἔλαβεν,
 προχειρισθεὶς παρὰ Ἰουστίνου
 βασιλεὺς τῶν Λαζῶν, φορέσας
 στέφανον και χλανίδα⁴ βασιλικὴν
 ἄσπρην ἔχουσας ταβλίν⁵ χρυσοῦν,
 ἐν ᾧ ἐκ κεντητοῦ ἐνεκεχάρακτο
 ἡ εἰκὼν τοῦ βασιλέως Ἰουστίνου,
 και στιχάριον ἄσπρον ἔχον
 πλοσυμία χρυσοῦ και εἰκόνα τοῦ
 βασιλέως. τὰ γὰρ τζαγία αὐτοῦ
 ῥόνσια ἦσαν ἔχοντα μαργαρίτας
 Περσικῶ σχήματι· ὁμοίως και ἡ
 ζώνη αὐτοῦ ἦν χρυσοῦ διὰ μαρ-
 γαριτῶν. ἔλαβε δὲ παρὰ τοῦ βα-
 σιλέως δῶρα πολλά, και μετὰ
 χαρᾶς ἀπῆλθεν εἰς τὰ ἴδια.

Γνοὺς δὲ τοῦτ᾽ Καβάρδης, ὁ
 τῶν Περσῶν βασιλεὺς, ἐδήλωσεν
 τῷ βασιλεῖ Ἰουστίνῳ⁶ ὅτι „φιλίας
 και εἰρήνης μεταξὺ ἡμῶν οὔσης
 τὰ ἐχθρῶν πράττεις, και τοὺς
 ὑπὸ τὴν ἐξουσίαν τῶν Περσῶν
 ὄντας ἀπ' αἰῶνος προσελάβου“. ὁ δὲ
 βασιλεὺς ἀντεδήλωσεν αὐτῷ·

ფემ სიხარულით მიიღო ის, მონა-
 თლა და შვილად გამოაცხადა.
 წათიმ შეირთო რომელი ქალი,
 პატრიკიოს და აპოკუროპალატ
 ნომოსის შვილისშვილი, სახელად
 ვალერიანე, რომელიც წაიყვანა
 თავის საკუთარ ქვეყანაში, რო-
 დესაც იუსტინეს მიერ ლაზთა მე-
 ფედ იქნა ნაკურთხი. მას ემოსა
 გვირგვინი და თეთრი სამეფო
 ქლანიდი, რომელსაც ჰქონდა ჩავ-
 ლებული ოქროს ზოლი, სადაც იუ-
 სტინე მეფის სურათი იყო ამოქარ-
 გული; აგრეთვე თეთრი სტიქარი
 ოქრომკედით ნაქსოვი და მეფის
 სურათით. მისი წაღები წითელი
 იყო და მარგალიტებით შემკული
 სპარსულ ყაიდაზე. ამგვარადვე
 მისი სარტყელიც ოქროსი იყო და
 მარგალიტებით შემკული. მეფისა-
 გან ბევრი საჩუქრები მიიღო მან
 და დიდად ნასიამოვნები დაბრუნ-
 და თავის ქვეყანაში.

ეს რომ გაიგო სპარსელთა მეფემ
 კავადმა, შეუთვალა იუსტინე მეფეს
 შემდეგი: „მიუხედავად იმისა, რომ
 ჩვენ შორის მეგობრობა და ზავია
 დადებული, შენ მაინც მტრულად
 იქცევი; შენ მიიღე ის პირები, რო-
 მელნიც იმთავითვე სპარსელების
 ძალაუფლების ქვეშ არიან“. მეფემ

1) Ῥωμαίων g.

2) ἐγγόνην b, ἐκγόνην Mal., ἐκγονον Chr. P.

3) Οὐαλεριανὴν ἦντινα b, Οὐαλεριανήν τινὰ Mal.

4) χλαμύδα Mal., χλανίδα Chr. P.

5) ταβλίν g, ταβλήν bh.

6) Ἰουστίνῳ დამატებული აქვთ *vulgata*-ს.

„ἡμεῖς τινὰ τῶν ὑποκειμένων τῆ βασιλείᾳ σοιοῦτε προσελαβόμεθα, οὔτε προετρεψάμεθα· ἀλλ' ἐλθόντος Ἰζάθιου¹ εἰς τὰ ἡμέτερα² βασιλεία ἐδεήθη προσπίπτων ἡμῖν ρυθῆναι μυσσαροῦ καὶ ἐλληγνικοῦ δόγματος καὶ ἀσεβῶν θυσῶν καὶ πλάνης δαιμόνων, καὶ προσελθεῖν τῷ δημιουργῷ τῶν ὅλων θεῷ, καὶ γενέσθαι χριστιανός. τοῦτον ἡμεῖς βαπτίσαντες εἰς τὴν ἰδίαν ἀπελύσαμεν χώραν“. ἔκτοτε λοιπὸν ἐγένετο ἔχθρα μεταξὺ Ῥωμαίων καὶ Περσῶν (de Boor 168,14—169,12).

მას შემდეგი უპასუხა: „ჩვენ შენი სახელმწიფოს ქვეშევრდომი არც არავინ მიგვიღია, არც გადმოგვიბირებია; ჩვენს სამეფოში მოვიდა წათი და მუდართით მოგემართა ჩვენ: მიხსენ სახიხლარი და წართული სარწმუნოებისაგან, უწმინდური მსხვერპლებისაგან და ეშმაკთა ცდუნებისაგან, მაზიარე ყოველთა შემქმნელ ღმერთს და გამაქრისტიანეო. ჩვენ ის მოვნათლეთ და ისე გავისტუმრეთ მის საკუთარ ქვეყანაშიო“. აი, იმ დროიდან დაიწყო მტრობა რომაელებსა და სპარსელებს შორის.

ირანელთა ლაშქრობა წათეს წინააღმდეგ

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან იუსტინიანეს მეფობის
6020 520 (598) 1

Ἐπεὶ δ' αὐτῷ ἔτει ὁ βασιλεὺς Περσῶν ἐπολέμησε τῷ Ἀαζῷ Ἰζάθιῳ, ὡς προσρῆντι³ Ῥωμαίοις⁴. καὶ λοιπὸν ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς ἔπεμφεν αὐτῷ βοήθειαν στρατῶν καὶ στρατηλάτας τρεῖς, Βελισάριον καὶ Κήρυκον καὶ Εἰρηναῖον⁵. καὶ πολέμησαντες ἠττήθησαν· καὶ ἠγανάκησεν

ამავე წელს სპარსელთა მეფემ ომი დაუწყო ლაზთა მეფეს წათის იმის გამო, რომ უკანასკნელი რომაელთა მხარეზე გადავიდა, და, აი, იუსტინიანე მეფემ გაუგზავნა მას დამხმარე ჯარი და სამი სტრატე-ლატი, ველიზარი, კვირიკე და ირინე 5. იმათ იბრძოლეს და დამარცხდნენ; მეფე გაჯავრდა სტრა-

1) ἐλθόντος Ἰζάθιου b, ἀνελθόντων Ἰζάθιος gh.

2) ἡμέτερα b.

3) προσρῆντι ch. — 4) Ῥωμαίους c.

5) იუსტინიანეს მიერ გაგზავნილ მესამე სარდლად თეოფანე ირინეს ნაცვლად ასახელებს პეტრეს (Πέτρον). გამომცემელმა დე ბოორმა სამართლიანად აღადგინა აქ *Εἰρηναῖον*, და Πέτρον მიიჩნია ქვემო მოყვანილ ადგილიდან («პეტრე... გაგზავნა სტრატელატად») გადამწერის მიერ გადმოტანილად. მალა და Chr. P აქ სწორედ ირინეს ასახელებენ (იხ. ზემოთ გვ. 14 და იქვე შენიშვნა 3). კედრენევი, რომელსაც ეს ადგილი თეოფანეს „ქრონოგრაფიდან“ აქვს გადმოწერილი, იძლევა Πέτρον (Georgii Cedreni Hedrenui Historiarum Compendium, CB, I 643,5).

ὁ βασιλεὺς κατὰ τῶν στρατηλα-
τῶν¹, οὗτι φθινοῦντες ἀλλήλοις
προέδωκαν τῆν νίκην. καὶ δια-
δεξάμενος² αὐτοὺς ἀπέστειλε Πέ-
τρον, τὸν νοτάριον αὐτοῦ, στρα-
τηλάτην. καὶ συμβαλὼν τοῖς Πέρ-
σαις μετὰ τῶν Λαζῶν ἐνίκησαν,
καὶ πολλοὺς ἀγείλον τῶν Πέρσων
(de Boor 174,19-26).

ტელატებზე იმის გამო, რომ ერთ-
მანეთისადმი შურის გამო გამარ-
ჯვება ხელიდან გაუშვეს. მან გა-
დააყენა ისინი და პეტრე, თავისი
ნოტარი, გაგზავნა სტრატელატად;
პეტრე ლაზებთან ერთად შეება
სპარსელებს და დაამარცხა ისინი:
მრავალი სპარსელი გაჟლიტეს
მათ.

იბერიელთა მეფე დამანარძე

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან იუსტინიანეს მეფობის

6027

527 (535)

8

Τούτῳ τῷ ἔτει ὁ τῶν Ἰβήρων
βασιλεὺς Ζαμαναρζός³ ἀνήλθειν
ἐν Κωνσταντινουπόλει πρὸς τὸν εὐ-
σέβεστατον βασιλέα Ἰουστινιανὸν
μετὰ τῆς γυναικὸς καὶ τῶν συγ-
κλητικῶν αὐτοῦ, παρακαλῶν αὐ-
τὸν τοῦ εἶναι αὐτὸν σύμμαχον
Ῥωμαίων καὶ φίλον γνήσιον. ὁ δὲ
βασιλεὺς τὴν τοιαύτην προαίρε-
σιν ἀποδεξάμενος πολλὰ αὐτὸν
ἐφιλοτιμήσατο καὶ τοὺς αὐτοῦ
συγκλητικούς· ὁμοίως δὲ ἡ ἀν-
γοῦστα τῇ αὐτοῦ γυναικὶ κόσμια
παντοῖα διὰ μαργαριτῶν ἐχαρί-
σατο. καὶ ἀπέλυσεν αὐτοὺς ἐν
εἰρήνῃ εἰς τὴν ἰδίαν βασιλείαν
(de Boor 216,7—14).

ამ წელს იბერიელთა მეფე დამა-
ნარძე მოვიდა კონსტანტინეპოლ-
ში კეთელსათნო იუსტინიანე მე-
ფესთან თავისი მეუღლითა და
დარზაისლებითურთ; მან სთხოვა
იუსტინიანეს მიეღო იგი რომაე-
ლების მოკავშირედ და ქემმარიტ
მეგობრად. მეფემაც შეიწყნარა ეს
თხოვნა, დიდი პატივი სცა მასაც
და მის დარზაისლებსაც; ამგვარად-
ვე, დედოფალმაც აჩუქა მის მეუ-
ღლეს მრავალნაირი სამკაული,
მარგალიტებით მოჭედილი და
იუსტინიანემ გაისტუმრა ისინი
მშვიდობით მათ საკუთარ სახელ-
მწიფოში⁴.

¹) κατὰ τῶν στρατιωτῶν c, κατ' αὐτῶν d.

²) διαδεξάμενος h.

³) Ζαμαναρζός c, Ζαμαναρζόν m, Ζαμαναρζός d, Zamanardus ა ნ ა ს-

ტასი ბიბლ. (Ζαμανარζός Malalas).

⁴) სამეცნიერო ლიტერატურაში განმტკიცებულია ის აზრი, რომ 523 წლის შემდეგ ქართლში მეფობა გაუქმდა. „მას შემდეგ, რაც ქართველები გურგენ მეფის მეთაურობით სპარსელებს აუჯანყდნენ, და ბიზანტიის მფარველობას მიჰმართეს, მაგრამ კეისრის მხრივ პირობის აუსრულებლობის გამო ძლეულ იქნენ, ხოლო სამეფო სახლობა და ამბოხების მოთავე დიდებულები იძულებული იყვნენ ბიზანტიაში გაქცეულიყვნენ, ამის შემდგომ სპარსელებმა, როგორც პროკოპი კესა-

ბულგარულ ტყვეთა გაგზავნა სომხეთსა და ლაზეთში

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან იუსტინიანეს მეფობის

6032

532 (540)

13

*Και ἐγένετο εἰρήνη βαθεῖα ἐν
τῇ Θράκη, μὴκέτι τοιμάντων*

ამის შემდეგ ჩამოვარდა ღრმა
მშვიდობიანობა თრაკიაში; ჰუნ-

რიელი მოგვითხრობს, ქართველებს ნება აღარ მისცეს საკუთარი მეფე ჰყოლოდათ და მეფობა გააუქმეს“ (ივ. ჯავახიშვილის ქ. ერის ისტ. I³, 226). „ქართლში მეფობის უფლება გაუქმდა მამინვე, როცა გურგენი თავისი შვილითა და სახლობით ბიზანტიაში გაიხიზნა, ესე იგი 523 წ., მაგრამ საბოლოოდ ეს გაუქმება 532 წლის „საუკუნო ზავის“ ხელშეკრულებამ დააკანონა“ (იქვე, 227).

მაგრამ ამ აზრს თითქოს ეწინააღმდეგება ბიზანტიელი ისტორიკოსების ორი ცნობა. იოანე მალალასწერს: „ამ ხანებში, როგორც ზემოთ ვთქვი, მეფობდა ღმრთიერი იუსტინიანე. ხოლო სპარსელთა მეფე იყო კოადი დარასთენი, ძე პეროზისა, რომში კი ალარიხი... აფრიკის მეფე იყო გილდერიხი... ხოლო ივერიელთა – ზამანაზი (CB 429, 10-15; გეორგიკა III, 268). ხოლო თეოფანე ჟამთააღმწერელის ცნობით 535 წელს კონსტანტინეპოლში ჩასულა «იბერიელთა მეფე დამანარძე».

ი. მარკვარტი (Streifzüge, 432) ფიქრობს, რომ მალალას ცნობა ეკუთვნის იუსტინიანეს მეფობის პირველ წელს, ხოლო თეოფანეს ცნობა – თანახმად ქრონოგრაფში მოცემული თარიღისა – 535 წელს, და ამბობს: „მალალას ცნობა რომ არ ყოფილიყო, შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ დამანარძე გურგენ მეფის ძმა იყო, რომელიც ზავის დადების შემდეგ [532 წ.] დაბრუნდა და სპარსელების მიერ «მასასხლისად» იქნა დაყენებული“.

ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ალბათ, გაქცეული მეფე გურგენის მოადგილედ იბერიაში დამანარძე დამჯდარა, რომელიც 527 წ. კონსტანტინოპოლში წასულა... და იუსტინიანე კეისრისთვის აღუთქვამს რომაელების მოკავშირეები და მეგობრები ვიქნებით“ (ქ. ერის ისტ. I³, 225), ხოლო იქვე შენიშვნაში დასძენს: „ცნობა ძალიან საეჭვოა იმიტომ, რომ დამანარძე ახლად გაქრისტიანებულად არის მოხსენებული და განა ამის თქმა ქართლის მეფეზედ შეიძლებოდა? იქნებ იგი იბერიის მეფე არც-კი ყოფილიყოს“.

არც მალალას და არც თეოფანეს ტექსტებიდან არ ჩანს, რომ დამანარძე „ახლად გაქრისტიანებული“ იყოს; არც ის არის სწორი, თითქოს ეს ამბავი მომხდარიყოს 527 წელს, რადგან, თეოფანეს თარიღებში „ქრისტესით“ თვლაში ყველგან მისამატებელია 8 წელი. ვინაიდან თეოფანე პანოდორეს წელთაღრიცხვით ანგარიშობს; თანაც თეოფანეს იქვე აქვს აღნიშნული, რომ ეს მოხდა იუსტინიანეს მეფობის მე-8 წელს, ე. ი. (527 + 8 =) 535 წელს.

ი. მარკვარტის ეჭვი, თითქოს მალალას ცნობა ხელს გვიშლიდეს იმაში, რომ თეოფანეს ცნობის მიხედვით რაიმე დასკვნა გამოვიტანოთ დამანარძეს შესახებ, უსაფუძვლოა. იოანე მალალა გადმოგვცემს, თუ სხვადასხვა ქვეყანაში ვინ მეფობდა იუსტინიანეს მეფობის დასაწყისში. სახელდობრ;

სპარსეთში – კოადი (488 – 531) რომში – [ათ]ალარიხი (526 – 534)

აფრიკაში – ჰილდერიხი (523 – 530) ივერიაში – დამანარძე.

ამ ცნობაში თეოფანეს ცნობის საწინააღმდეგო არაფერია. მალალა

6. მასალები საქ. და კავკ. ისტორიისათვის, 1940, I.

τῶν Οὐννων περιᾶσαι τὸν Δα-
 νισίν. τὸς δὲ ἀρχιμαλάτους τῶν
 Βουλιγάρων ἐπεμψεν ὁ βασιλεὺς

ნები უკვე ვეღარ ბედავდნენ დანუ-
 ბის გადმოლახვას. ბულგარელი
 ტყვეები მეფემ გაგზავნა არმენიასა

გვიამბობს, რომ 527 – 530 წლებში ივერიის მეფე იყო ძამანარძე, ხოლო თ ე ო -
 ფ ა ნ ე გადმოგვცემს, რომ ეს მეფე ძამანარძე 535 წელს კონსტანტინეპოლში ჩასუ-
 ლა იუსტინიანე მეფესთან. რომ მალაღას და თეოფანეს ცნობები ერთსა და იმავე
 ამბავს ეხებოდეს, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ერთხელ მალაღას მიერ და-
 შვებული შეცდომა ბრმად იქმნა განმეორებული თეოფანეს მიერ. მაგრამ ამ ორი
 ტექსტის შესწავლა უეჭველყოფს, რომ ჩვენი ავტორები ერთმანეთისაგან დამოუ-
 კიდებელნი არიან. რაც შეეხება მესამე ავტორს, გ ი ო რ გ ი კ ე დ რ ე ნ ე ს, რო-
 მელსაც აგრეთვე მოეპოვება ცნობა ივერიის მეფის ძამანარძეს შესახებ, ის მთლია-
 ნად იმეორებს. თეოფანეს: τὸ ἡ' ἔτελε..... (CB. Georgius Cedrenus, Tomus
 I, 650).

ამრიგად, მალაღას და თეოფანეს ტექსტების გაცნობიდან და ამ ტექსტე-
 ბის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრების გადასინჯვიდან
 ცხადი ხდება, რომ **527 – 535 წლებში ივერიაში მეფედ მჯდარა ძამანარძე**. ეს
 ფაქტი დადგენილად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად იმისა, რომ პროკოპი
 კესარიელის ცნობის მიხედვით (BP II, 28) სამეციერო ლიტერატურაში გან-
 მტკიცებულია ის აზრი, რომ გურგენ მეფის გაქცევის (523 წ.) შემდეგ იბერიაში
 მეფობა მოისპო.

როგორ უნდა შევათანხმოთ ერთმანეთს ეს ორი ცნობა: ერთი მხრით 523
 წლის შემდეგ იბერიაში მეფობა გაუქმდა, ხოლო მეორე მხრით 527 – 535 წლებში
 იბერიის მეფედ არის ძამანარძე.

მართალია, პროკოპი კესარიელის გარდა, რომელიც 523 წლის
 შემდეგ იბერიაში მეფობას მოსპობილად თვლის, მისი მომდევნო ისტორიკოსე-
 ბიც, აგათიან და მენანდრეც, რომლებიც თავიანთ „ისტორიებში“ ეხებიან
 აგრეთვე იბერიასაც, არსად არ იხსენიებენ იბერიის მეფეს, – მაგრამ მეორე მხრით
 ქართული საისტორიო წყაროები VI საუკუნის ქართლის ისტორიისათვის სულ
 სხვა სურათს იძლევიან:

ა) „ქართლის მოქცევის“ მატანიით ვახტანგ გორგასალის შემდეგ (გარდ.
 502 წელს) ქართლის მეფეებად იყვნენ:

«დაჩი უჟარმელი,
 ბაკურ, ძჳ მისი,
 ფარსმან,
 ფარსმან სხუად,
 ბაკური

და მის ბაკურის-ზევე დაესრულა მეფობაჲ ქართლისაჲ... სპარსნი უფლებდეს
 ქართლს

და სომხითს, და სივნიეთს და გუასპურაგანს» (Описание II, 722 – 724). ხოლო
 ჭელიშის ვარიანტი ფარსმან მეორის მეფობაში სდებს იოანე ზედაზადენელისა
 და მისი მოწაფეების მოსვლას შუამდინარიდან ქართლში, რაც მემატანიის აზრით
 მოხდა «ქართლის მოქცევითგან მეორასესა წელსა» (იქვე, გვ. 723).

ბ) ისტორიკოსი ჯუანშერიც, რომელიც ამ ეპოქისათვის უთუოდ „მოქცევაჲ
 ქართლისაჲთ“ სარგებლობს, ქართლის მეფეებად იმავე პირებს და იმავე თანმიმ-
 დევრობით ასახელებს (დაჩი, ბაკური, ფარსმანი, ფარსმანივე, ბაკური) და იოანე

εις Ἀρμενίαν καὶ εἰς Λαζικήν,
καὶ κατετάγησαν ἐν τοῖς νομίμοις

და ლაზიკეში, და ისინი ჩარიცხულ იქმნენ სამხედრო ნაწილებში.

ზედაზადენელსაც ფარსმან მეორის მეფობაში მოსულად თვლის. თანაც დასძენს, ბაკურის დროს სპარსეთში ურმიზდი მეფობდაო (მარიამ დედოფლ. ვარ, გვ. 185 – 188).

მკვლევარნი იოანე ზედაზადენელის მოსვლას ქართლში VI საუკ. შუა წლებში სდებენ (კ. კეკელიძე: თბ. უნ. მოამბე VI, 100; ივ. ჯავახიშვილი, ქ. ერის ისტ. 1³, 342), ხოლო ჰორმიზდა, როგორც ცნობილია, 579 – 590 წლებში მეფობდა. მაშასადამე, ის მეფეები, რომლებსაც ასახელებენ ქართული საისტორიო წყაროები, 502 – 590 წლების მოღვაწეებად ჩანან.

პროკოპი კესარიელის მიერ გამოთქმული აზრი, რომ გურგენ მეფის შემდეგ სპარსელები იბერიელებს აღარ «აძლევდნენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათო», საბუთს აძლევს მკვლევართ კატეგორიულად უარჰყონ ქართული საისტორიო წყაროების ცნობა VI საუკუნეში ქართლის მეფეთა არსებობის შესახებ. მართალია, ჩვენ მიერ ზემო მოყვანილი ქართული საისტორიო ძეგლები გვიანი დროისაა (IX – XI საუკუნეებისა), მაგრამ როგორც ეს უკვე დამტკიცებულია, მათ (განსაკუთრებით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანეს) ძველი სანდო წყაროები მოეპოვებოდათ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, მეორე გამ. 1920. გვ. 86). გარდა ამისა, საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ერთისა და იმავე ძეგლის („მოქც. ქართლ.“) ორი ვარიანტი, რომ დავრწმუნდეთ იმაში, თუ რაოდენ სახეშეცვლილად არის ჩვენამდე მოღწეული ეს ძეგლი. და, თუ მემატეანეს თავის ნაწარმოებში შეტანილი აქვს VI საუკუნის ქართლის მეფეთა სია, მიუხედავად პროკოპი კესარიელის ცნობისა, ეს იმას ნიშნავს, რომ მემატეანეს მართლაც რაღაც ძველი წყარო, ძველი ნუსხები ჰქონდა ხელთ, ხოლო ის ჩვენამდე შერყვნილი სახით არის მოღწეული. რომ ეს ასე არ იყოს, რატომ არ არის ამ სიაში მოხსენებული გურგენ მეფე. რომლის არსებობა არავის არ ეეჭვება, ვინაიდან ის ჰყავს მოხსენებული თანამედროვე ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს.

ჩვენის აზრით „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანის სია VI საუკუნის ქართლის მეფეებისა უკუსაგდები არაა, ხოლო ის ნაკლებევაანია და აღრეულია.

ქართლში მეფის არსებობას ამ ხანებისათვის ჰგულისხმობს აგრეთვე შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ შეტანილი ცნობა იმის შესახებ, რომ ქართლის მეფემ ფარსმანმა დახმარება აღმოუჩინა იუსტინიანე კეისარს, როდესაც ეს უკანასკნელი ებრძოდა აჯანყებულ აბაზგებს (ჩვენის აზრით ეს ეხება 550 წლის აჯანყებას: იხ. გეორგიკა II, 130 – 132).

მაშასადამე, ქართლში მეფეების არსებობა VI საუკუნის მანძილზე დასტურდება: 1) მაღალას და თეოფანე ჟამთააღმწერელის ქრონოგრაფებით, 2) „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატეანით (და მისგან დამოკიდებული ჯუანშერთ), 3) შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ მოხსენებული ეპიზოდით.

საკითხი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ იმას, თუ რა უფლების მატარებელი იყვნენ ეს მეფეები იმ დროს, როდესაც ქართლში გაბატონებული იყვნენ სპარსელები. ევსტათი მცხეთელის მარტვილობის მიხედვით ივ. ჯავახიშვილი სწერს: „ქვეყნის ბატონპატრონად შაჰის წარმომადგენელი მარზპანი ჩანს, ხოლო შინაურობაში მხოლოდ ქართლის მთავარნი, კათალიკოზი, მამასახლისი და პიტიახში

ლაზები და პეტრას ციხე

	დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან იუსტინიანეს მეფობის	
	6046	546 (554) 27
<p>Τούτω τῷ ἔτει μὲν Ἀβγύστου τῷ ιε', Ἰνδικτιῶνος β', ἄρχιμεσο- γυακίου διαφασίσσης κυριακῆς, ἐγένετο σεισμὸς φοβερὸς, ὥστε παθεῖν οἴκους πολλοὺς καὶ λου- τρά καὶ ἐκκλησίας καὶ μέρες τῶν</p>	<p>ამ წელს, აგვისტოს 15-ს, ინდი- ქტიონის მეორე წელს, შუაღამეს ბრწყინვალე კვირადღისა დაიწყო ისეთი საშინელი მიწისძვრა, რომ დაზიანდა მრავალი სახლი, აბანოე- ბი, ეკლესიები და კონსტანტინე-</p>	

გვხვდება“ (ძვ. ქ. საისტ. მწერლობა. 1920; გვ. 30). მართლაც, ქართლის სამმართველო აპარატი ამ დროს მოსპობილი არაა, და ამ სამმართველო აპარატში, როგორც ჩანს, სამეფო გვარის წევრები არიან. ევსტათი მცხეთელის განთავისუფლებისათვის სათხოვნელად მარზპანთან მივიდნენ „ქართლის მთავარნი“ – ნათქვამია ევსტათის „ცხოვრებაში“: «რაჟამს აღმხედრდებოდა მარზაპანი იგი, აღდგეს მთავარნი ქართლისანი და სამოელ ქართლისა კათალიკოზი და გრიგოლ ქართლისა მამასახლისი და არშუმა ქართლისა პიტახში და სხუანი სეფეწულნი და მარზაპანსა ჰრქუეს...» (საქ. სამოთხე 3:5). ყურადღებას იპყრობს თანამიმდევრობა მოხსენებული პირებისა: 1) ქართლისა კათალიკოზი, 2) ქართლისა მამასახლისი, 3) ქართლისა პიტახში და სხუანი სეფეწულნი. ქართლის მამასახლისს ამ რიგში ის ადგილი უჭირავს, რომელიც მეფეს განეკუთვნებოდა, და მართალი უნდა იყოს მ ა რ კ ვ ა რ ტ ი, რომელიც ფიქრობდა, რომ სპარსელებმა მეფის ადგილას მამასახლისი დააყენესო (Streifzüge 432).

ამრიგად, ირკვევა, რომ ქართლში VI საუკუნის მანძილზე, როდესაც იქ სპარსელები ბატონობდნენ, ადგილობრივ სამმართველო აპარატი მოსპობილი არ ყოფილა; ის გარეგნულად დარჩა ისევე, როგორც იყო – მეფე (მამასახლისი) და (მისი მოადგილე) პიტახში, ხოლო მათი მოქმედება შეზღუდული იყო მარზპანის ძალაუფლებით. საგულისხმოა, რომ შიო მღვიმელის „ცხოვრებაში“ მოხსენებულ ფარსმან მეფესაც ჰყავს თავისი „მოადგილე“. იქ ნათქვამია: «ისმინა უკუე ფარსმან ვედრებად ბერძენთა მეფისაჲ, და დაუტევა ევაგრე მ ც ვ ე ლ ს ა მ ე ფ ო ს ა თ ვ ს ი ს ა; ხოლო თვთ წარვიდა... დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთაჲ» (ხელთნაწერი A – 160, გვ. 691 – 692). და რომ სპარსელებმა ვერ მოახერხეს ქართლის მესვეურთა მთლად მოშორება, ეს ჩანს პროკოპი კესარიელის სიტყვებიდანაც, რომელიც ამბობს: «იმ დროიდან არც სპარსელები აძლევენ ნებას მათ მეფე ჰყოლოდათ, არც იბერიელები ემორჩილებოდნენ სპარსელებს თავისი ნებით» (ὅσπερ ἀπογοινομοιόντες Περσῶν κατήχοσι Ἰβήρους ἡσάυ BP II, 28; გეორგიკა II, 66). ეს უკანასკნელი სიტყვები იმას მოასწავებს, რომ იბერიელები ებრძოდნენ სპარსელებს მმართველობის საკითხებში და, როგორც ჩანს, შინაურ მმართველობაში შეუნარჩუნებიათ საკუთარი აპარატი, მეფითა და პიტახშით.

ერთ-ერთი მეფეთაგანი უნდა იყოს ძამანარძე, რომელიც, სპარსელების ბატონობით უკმაყოფილო, 535 წელს იუსტინიანესთან ჩასულა კონსტანტინეპოლში; ამავე პერიოდის მეფედ ჩანს ფ ა რ ს მ ა ნ ი ც, რომელმაც 550 წელს დახმარება აღმოუჩინა იუსტინიანეს აბაზგთა აჯანყების ჩაქრობაში.

τειχῶν Κωνσταντινουπόλεως, μάλιστα τὸ τῆς Χρυσῆς πόρτης· καὶ πολλοὶ ἀπέθανον. πέπτωκε δὲ καὶ Νικομηθείας μέρος πολὺ. ἐπεκράτησε δὲ ὁ αὐτὸς σεισμὸς ἡμέρας μ'. καὶ πρὸς ὀλίγον οἱ ἄνθρωποι κατενύγησαν λιτανεύοντες καὶ προσεδρεύοντες καὶ εἰς τὰς ἐκκλησίας μένοντες, καὶ πάλιν φιλανθρωπίας θεοῦ γενομένης ἐπὶ τὸ χεῖρον γέγονασιν. γίνεται δὲ ἡ μνήμη τοῦ σεισμῶ τούτου κατ' ἔτος ἐν τῷ Κάμπῳ, λιτανεύοντος τοῦ λαοῦ. οἱ δὲ Λαζοὶ ἀθιέθησαντες Ῥωμαίους διὰ τὰς Ἰωάννου τοῦ ἀρχόντος αὐτῶν φιλαργυρίας καὶ¹ ἀδικίας καὶ πρὸς Πέρσας αὐτ·μολήσαντες πάλιν τῷ χρόνῳ τούτῳ τοῖς Ῥωμαίοις προσεβέρρησαν, καὶ τὴν Πέτραν τὸ φρούριον παρέλαβον οἱ Ῥωμαῖοι καὶ τοὺς Πέρσας ἀπήλασαν (de Boor 229,5—18).

პოლის კედლების ერთი ნაწილი, განსაკუთრებით კი ოქროს კარიბჭესთან; მრავალი ხალხიც დაიხოცა. დაინგრა აგრეთვე ნიკომედიის დიდი ნაწილი. ეს მიწისძვრა ორმოც დღეს მძვინვარებდა. ცოტა ხნით დამწყობდნენ ადამიანები, მიეცნენ ლოცვებს და ეკლესიებში სიარულს, და კვლავ, მის შემდეგ რაც ღმრთის კაცთმოყვარეობა გამოსცადეს, ბოროტებაში ჩავარდნენ. ამ მიწისძვრის ხსოვნას ყოველწლიურად აღნიშნავს ხალხი კამპოსში ლოცვით. ლ ა ზ ე ბ ი, რომლებიც მათი არქონტის იოანეს ვერცხლისმოყვარეობისა და 1 უსამართლო მოქმედების გამო რომაელებს გადაუდგნენ და სპარსელებთან გაიქცნენ, ამ დროს კვლავ რომაელების მხარეზე გადმოვიდნენ, პ ე ტ რ ა ს ციხეც რომაელებმა აიღეს და სპარსელები გააგდეს.

562 წლის საზავო ხელშეკრულება

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან იუსტინიანეს მეფობის
6055 555 (563) 36

Ἐφθασε δὲ καὶ Πέτρος ὁ μαγιστρὸς ἀπὸ Περσίδος ποιήσας πάκτα εἰρήνης ἔτη ιζ'² ἔνεκεν

სპარსეთიდან დაბრუნდა პეტრე მაგისტროსი, რომელმაც დადვა საზავო ხელშეკრულება 17 წლით¹

1) *φιλαργυρίας* და სკლია *em*-ს.

2) *ἔτη ιζ' αὐτῆ*. – თეოფანეს ამ თხრობის მიხედვით იუსტინიანეს მეფობის მე-36 წელს (ე. ი. 563 წელს) სპარსეთიდან დაბრუნებულა პეტრე მაგისტროსი, რომელსაც იქ საზავო ხელშეკრულება დაუდვია 17 წლით (მეორე ვარიანტი 7 წლით). ამ ცნობაში ყველაფერი ნათელი არ არის: 563 წელს პეტრე მაგისტროსს (იგივე პეტრე პატრიკოსი) შეეძლო დაბრუნებულიყო სპარსეთიდან, სადაც ის 561 წლის ბოლოს გაიგზავნა ზავის დასადებად, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს იყო ო რ მ ო ც და ა თ წ ლ ი ა ნ ი ზავი (მენანდრე, ფრგ. II: გეორგიკა III, 212); ასე რომ თეოფანეს ცნობა, რომ პეტრე მაგისტროსმა 17 წლით (ან 7 წლით) დადვა საზავო ხელშეკრულებაო, არ შეეფერება სინამდვილეს. თუ ვინმე იფიქრებს

Δαξικῆς καὶ τῶν μερῶν τῆς ἀνα-
τολῆς (de Boór 239,18—20).

ლაზიკისა და აღმოსავლეთის
მხარეების შესახებ.

ირანელების ლაშქრობა სვანეთის წინააღმდეგ

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან მავრიკის მეფობის

6080

580 (588)

6

Τούτῳ τῷ ἔτει μὲν Σεπτεμ-
βρίῳ, ἰνδικτικῶνος ε', οἱ Λαγγίβαρ-
δοὶ πόλεμον κατὰ Ῥωμαίων ἤρα-
ντο, καὶ τὰ τῶν Μαυρουσίων ἔθνη
κατὰ τὴν Ἀφρικὴν μεγάλως τα-
ραχὰς ἐποίησαντο.

Ἐν δὲ τῇ Περσίῳ φυλακῇ
ὑπάρχει λεγόμενη Δήμη, καὶ
πᾶσι τοῖς ὁ τῶν Περσῶν βασιλεῦς

ამ წელს, სექტემბრის თვეში,
მეექვსე ინდიქტიონს, ლონგიბარ-
დებმა ომი დაიწყეს რომაელების
წინააღმდეგ და მავრუსიების ტო-
მებმაც აფრიკაში დიდი აჯანყე-
ბები მოაწყვეს.

პერსილში (სპარსეთში) არსე-
ბობს ერთი ციხე, ეგრეთწოდებუ-
ლი ლეთე, სადაც სპარსელთა მე-

რომ ეს ცნობა 50-წლიან ზავს კი არ შეეხება, არამედ იმ დროებით ზავს, რომე-
ლიც ამის წინ დაიდვა და რომლის შესახებ მოგვითხრობენ აგათიან (IV, 30).
და მენანდრე (ფრგ. 3), ესეც არ შეეფერება სინამდვილეს: 1) ეს დროებითი
ზავი დაიდვა კონსტანტინეპოლში და არა სპარსეთში, და 2) ის, როგორც ჩანს,
ხუთი წლით იქნა შეკრული და არა შვიდი წლით; თანაც 3) ქრონოლოგიური გან-
რიგებით ეს ცნობა თეოფანეს „ქრონოგრაფში“ 563 წლის ქვეშ კი არ უნდა მოქ-
ცეულიყო, არამედ 557 ან 558 წლის ამბებთან.

თეოფანეს ცნობის ეს შეუსაბამობა, როგორც ჩანს, უგრძნია ანასტასის,
რომელსაც თავის ლათინურ თარგმანში მთლად გამოუტოვებია „ქრონოგრაფის“
ეს ადგილი (იხ. Theophanis Chron. ex rec. I. Classeni vol. II, p. 108, ქვევი-
დან მე-5 სტრ.). ჩვენის აზრით, თეოფანეს „ქრონოგრაფის“ ეს ადგილი უნდა
გაირკვეს შემდეგნაირად: 1) სწორი უნდა იყოს ვარიანტი *c* (XI ს.), *d* (X ს.) *g*
(XI ს.) და *h* (XII ს.) ხელთნაწერებისა, რომელთა მიხედვით საზავო ხელშეკრუ-
ლება შვიდი წლით იქნა დადებული, და არა დანარჩენი (უმეტესად მოგვიანო)
ხელთნაწერების წაკითხვა «ჩვიდმეტი წლით»; 2) თუმცა ამ ცნობაში საზავო
ხელშეკრულების ვადა განისაზღვრება შვიდი წლით, მაგრამ ეს ცნობა ეხება 562
წელს დადებულ ორმოცდაათ წლიან ზავს; 3) რიცხვი «შვიდი» ნაცვლად
«ორმოცდაათისა» აიხსნება შემდეგნაირად: როგორც მენანდრეს მიერ თვით პეტ-
რე მაგისტროსის მასალების მიხედვით გადმოცემული ცნობებიდან ჩანს, 562 წელს
საზავო ხელშეკრულება, მართალია, 50 წლის ვადით იქნა დადებული, მაგრამ სა-
კონტრიბუციო გადასახადის პირველი ვადა განისაზღვრა შვიდი წლით, «და-
დგენილ იქნა ისიც – გადმოგვცემს მენანდრე, – რომ ათი წლის თანხა წინდაწინ
ერთად მიეცათ რომაელებს შემდეგნაირად: შვიდი წლისა მაშინვე; და შვიდი
წლის გასვლის შემდეგ, ვადის გაუგრძელებლად, დანარჩენი სამი წლის გადასახა-
დი უნდა გაეღოთ; შემდეგ სპარსელებს ასევე ყოველ წელიწადს უნდა მისცემოდა
განსაზღვრული წლიური გადასახადი» (გეორგიკა III, 212). ამ ცნობიდან ნათელია,
რომ 562 წელს საზავო ხელშეკრულება ფაქტობრივად დადებულ იქნა შვიდი
წლის ვადით, ვინაიდან ამ ხელშეკრულების ვადის გაგრძელება დამოკიდებული
იყო იმაზე, გადაუხდიდნენ თუ არა ბიზანტიელები სპარსელებს მორიგ ულუფას.

ἀπὸ διαφορῶν ἐθνῶν ἐν ταύτῃ κατέκλεισε σὺν τοῖς ἀρχμαλώτοις τῆς πόλεως τοῦ Δαρᾶς. οὗτοι οὖν ἀπογόνους ἑαυτῶν ἐπανίστανται κατὰ τῶν φυλασσόντων αὐτούς· καὶ ἀνελόντες τὸν Μαρουσᾶν¹ καὶ τὴν τούτου κεφαλὴν² λαβόντες εἰς τὸ Βυζάντιον ἦκαν. ὁ δὲ βασιλεὺς μετὰ χαρᾶς μεγάλης αὐτοὺς ὑπέδεξατο.

Τὸν δὲ Φιλιππικὸν μόλις στρατηγὸν ὁ στρατὸς κατεδέξατο.

Πολέμου δὲ Ῥωμαίων καὶ Περσῶν ἐν Μαρτυροπόλει γεγονότος ἤττωνται Ῥωμαῖοι· ὁ δὲ αὐτοκράτωρ πάλιν τῆς στρατηγίας τὸν Φιλιππικὸν διαδεξάμενος, Κομεντίου στρατηγὸν τῆς ἀνατολῆς ἀπέσπειλεν. ὁ δὲ Κομεντίος περὶ τὴν Νισίβιν γενόμενος, καὶ οἱ Πέρσαι κατὰ τὸ Σαρβανῶν³ ἀλλήλοις συνέβαλον. Ἡράκλειος δὲ ὁ τοῦ Ἡρακλείου πατὴρ ἐνευδοκίμησας ἐν τῇ πολέμῳ ἀνείλε τὸν τῶν Περσῶν στρατηγὸν Ἀφραάτου δὲ ἀναιρεθέντος τρέπονται Πέρσαι, καὶ διώκουσι Ῥωμαῖοι. πολλῆς δὲ ἀλώσεως ἐν αὐτοῖς γενομένης, παραλαμβάνουσι καὶ τὸ τσινδον, καὶ πολλὰ λάφυρα ἐν Βυζαντίῳ

ფეს მრავალნი ჰყავდა ჩამწყვდეული, სხვადასხვა ტომთაგან ტყვედ წამოსხმულნი, ქალაქ დარადან წამოყვანილ ტყვეებთან ერთად. აი, ესენი, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილნი, აჯანყებას აწყობენ თავიანთი მცველების წინააღმდეგ: მათ მოკლეს მარუსანი¹, ხოლო მისი თავი თან წაიღეს ბიზანტიონში; მეფემ ისინი დიდი სიხარულით მიიღო.

ჯარმა, როგორც იქნა, სცნო სარდლად ფილიპიკე.

ომი რომ მოხდა მარტიროპოლისში სპარსელებსა და რომაელებს შორის, რომაელები დამარცხდნენ, თვითმპყრობელმა (მავრიკიმ) კვლავ ჩამოართვა ფილიპიკეს სტრატეგოსობა და კომენტოლე გაგზავნა აღმოსავლეთის სტრატეგოსად. ნიზიბინთან მისული კომენტოლე და სპარსელები სარვანონთან შეეხნენ ერთმანეთს. ჰერაკლიმ, ჰერაკლის მამამ, სახელი გაითქვა ამ ომში: მან მოკლა სპარსელთა სარდალი. აფრატი რომ მოკლულ იქმნა, სპარსელები გაიქცნენ და რომაელები მათ დაედევნენ. დიდი დარბევა მოხდა: რომაელებმა ხელთ იგდეს ბევრი ბარგიც და დიდძალი ნადავლი

1) *Μαρουσᾶν cdefm* (ხოლო სხვადასხვანაირი მახვილით), *Marusan ა ნ ა ს ტ ა ს ი ბ ი ბ ლ .*, *Μαρουσᾶν* თეოფილაქტე.

2) ტელი ხელთნაწერი იძლევა *ἀδελφήν* («და»), ან ა ს ტ ა ს ი ბ ი ბ ლ ი ო - თ ე კ ა რ ს ა ქ ვ ს *caput* («თავი»), აგრეთვე თეოფილაქტეს მიხედვითაც *κεφαλῆν* (იხ. Theophyl. S. ed. de Boor 118,20: *ἢ τε κεφαλῆ Μαρουζᾶ τοῦ στρατηγοῦ ἐς Βυζάντιον ἦεν*).

3) *περὶ τὸ Σισαρβανῶν* თეოფილაქტე (de Boor 120,2).

ἐκπέμπουσιν. ὁ δὲ αὐτοκράτωρ ἑπιπικαῖς θεωρίαις καὶ πανηγύρεσι τὴν πόλιν ἐφαιδρυνε καὶ τὰς νίκας ἐθριάμβευσεν. ὁ δὲ Ὀρμισδᾶς¹ στρατηγὸν χειροτόνησας τὸν Βαρᾶμ ἅμα δυνάμεισι πολλαῖς κατὰ Σουανίας² ἐκπέμπει. ἀδοκῆτως δὲ ταύτῃ ἐπιστάς, καταπολεμηθέντων τῶν Τούρκων ὑπὸ τῶν Περσῶν, τῶσδε τὸν Ὀρμισδᾶς ἠξήθη, ὡς καὶ φόρους μ' ἑκατὸν χρυσῶν παρὰ τῶν Τούρκων λαβεῖν, πρότερον τοῦτου τὰ ἴσα τοῖς Τούρκοις τελοῦντος. τοῦ δὲ Βαρᾶμ περιδόξου κατὰ τὸν πόλεμον τοῦτον γεγονότος, καὶ εἰς τὸν Ἀράξην³ ποταμὸν στρατοπεδευσμένου, ὁ Μαυρίκιος τοῦτο μαθὼν Ῥωμαῖον χειροτονεῖ στρατηγὸν, καὶ ἐν Σουανίᾳ⁴ μετὰ δυνάμειος ἐκπέμπει. καταλαβὼν δὲ ὁ Ῥωμαῖος τὴν Λαζικήν καὶ εἰς τὸν Φάσιδα γενόμενος ποταμὸν ἐπὶ τὴν Ἀλβανίαν⁵ στρατοπεδεύεται. ὁ δὲ Βαρᾶμ τὸν τῶν Ῥωμαίων στρατὸν ἐπιδημήσαντα ἀκηκῶς, διεγέλα τὸ πρᾶγμα· ἐπεθῆμει δὲ καὶ Ῥωμαϊκῆς παρὰ τῆς πείρας λαβεῖν· εὐ γὰρ τῆν ποτε Ῥωμαῖος πολεμήσας· διαβὰς τοίνυν τὸν γείτονα ποταμὸν, ὡς ἐπὶ τὰ ἐνδοτέρα μέρη τῆς Περσίδος τοῖς Ῥωμαῖοις

გაგზავნეს ბიზანტიონში. თვითმპყრობელმაც დიდად გაამხიარულა ქალაქი საჯირითო სანახაობებით და საჯარო დღეობებით და გამარჯვება იზეიმა. ჰორმიზდამ¹ სარდლად ბარამი დანიშნა და დიდძალი ჯარით სვანეთის² წინააღმდეგ გაგზავნა. ბარამი მოულოდნელად დაეცა მას (სვანეთს), მის შემდეგ რაც თურქები სპარსელების მიერ იქნენ დამარცხებული, და იმდენად გაძლიერდა ჰორმიზდა, რომ თურქებისგან ორმოც ათას ოქროს ღებულობდა ხარკს, თუმცა წინათ თვითონ უხდიდა თურქებს იმავე რაოდენობას. ბარამმა ამ ომში დიდი სახელი მოიხვეჭა; ის რომ მდინარე არაქსზე დაბანაკდა და, მავრიკიმ რომ ეს გაიგო, რომანოსი დანიშნა სტრატეგოსად და სვანეთში⁴ გაგზავნა ჯარით. რომანოზი მივიდა ლაზეთში და მდინარე ფაზისზე რომ იყო, ალბანიის⁵ წინააღმდეგ დაბანაკდა. ბარამმა რომ შეიტყო რომაელთა ჯარის მოსვლა, სასაცილოდ აიგდო ეს ამბავი; უნდოდა რომაული ჯარიც ესინჯა: მას ხომ არასდროს არ ებრძოლნა რომაელებთან, მან გადალახა მეზობელი მდინარე, რათა რომაელები სპარსეთის შიდა ქვეყნებში შეეთრია, და წინ წავიდა. რომანოზმა გაჰყო

1) ანსტასი ბიბლიოთეკარი აქ უმატებს Persarum rex («სპარსელთა მეფე»),

2) Σουμανίας f, Σοβανίας d.

3) Αραάξην g, Ἀσραάξην ch (ამ ვარიანტების შესახებ იხ. ზემოთ გვ.)

34 – 35 შენიშვნა).

4) Σουμανίαι f. — 5) Αλβανίαν cf.

ἐφελκόμενος ἦει ὁ δὲ Ῥωμανὸς τὴν Ῥωμαϊκὴν πληθὺν ἐχώριζεν, τοὺς ἀδοκίμους εἰς τὸ τοσλδον καταλιπὼν· καὶ δέκα χιλιάδας ἐπιλέκτους λαβὼν κατὰ τῶν βαρβάρων ἐχώρει· δύο δὲ χιλιάδας προτρέχειν τοῦ στρατοῦ παρακελεύεται· οἳ τινες συναντήσαντες τοὺς προτρέχοντας τῶν Περσῶν τούτους τρέπουσι καὶ πάντας ἀνήλωσαν. τῆς γὰρ φυγῆς γενομένης, καὶ κρημνοῦ συναντήσαντος αὐτοῖς, ἀποκλεισθέντες πάντες ἀνηρέθησαν. οἳ δὲ Ῥωμαῖοι μέχρι τοῦ χάρακος τῶν βαρβάρων ἐγένοντο, ὡς καταπλεγῆναι τὸν Βαράμ ἐπὶ τούτῳ. τοῦτο ἀκηκοὼς Ῥωμανὸς παραθαρρύνει τὸ στρατόπεδον, καὶ παρατάσσονται ἐν πεδίῳ τῆς Ἀλβανίας. ὁ δὲ Βαράμ ἀπεπειράτο κλέψαι τὸν πόλεμον. διητύχησε δὲ τοῦ βουλεύματος· συνέσει γὰρ ὁ Ῥωμανὸς ἐκεκόμενος. συμβαλόντων δὲ ἀλλήλοις καὶ πολλῶν ἀναιρεθέντων βαρβάρων, μεγίστη Ῥωμαίων γίνεται νίκη· σκυλεύονται τοῖσιν οἱ βάρβαροι, καὶ ταφῆς ἀμοιρήσαντες τοῖς θηρίοις γίνονται κατάβρωμα. τοῦτο ἀκούσας ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς καὶ τὴν αἰσχύνην μὴ φέρων γυναικείαν ἐσθῆτα τῷ Βαράμ ἐξέπεμψεν· καὶ τῆς στρατηγίας τοῦτον ἀπέπαυσεν. νεώτερίζει τοῖσιν ὁ Βαράμ, καὶ πρὸς τυραννίδα χωρεῖ· καὶ ἀντιβρίζει διὰ γραμμῶν τὸν Ὀρμισδαν, ἐπιγράφας

რომაული ჯარი და უვარგისნი ბარგთან დასტოვა: ათი ათასი რჩეული ჯარისკაცი თან წაასხა და ბარბაროსების წინააღმდეგ გაილაშქრა; ხოლო ამათგან ორ ათასს უბრძანა ჯარის წინ დაწინაურებულიყოვნენ; ესენი წააწყდნენ სპარსელთა ჯარის დაწინაურებულ ნაწილებს, აოტეს ისინი და ყველანი ამოჟლიტეს. გაქცევის დროს ციკაბო ადგილი შეხვდათ მათ (სპარსელებს), აქ მოიძწყვიდეს ისინი რომაელებმა და ამოჟლიტეს; რომაელები ბარბაროსების ბანაკამდე მივიდნენ, ისე რომ თვით ბარამიც მოიყვანა ამ გარემოებამ განცვიფრებაში.

ეს რომ გაიგო რომანოზმა, ბანაკი გაამხნევა, და დარაზმა ჯარი ალბანიის დაბლობში.

ბარამი ფიქრობდა მოტყუებით მოეგო ომი, მაგრამ განზრახვა გაუცუდდა: რომანოზმა საკმაო გამჭრიახობა გამოიჩინა. როდესაც ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, მრავალი ბარბაროსი მოისრა და რომაელებს ხვდათ გამარჯვება; ბარბაროსებს საჭურველი მოხსნეს და გვამები მხეცებს გადაუგდეს საჯიჯგნელად, ისე რომ საფლავი არ აღირსეს. ეს რომ შეიტყო სპარსელთა მეფემ, ვერ აიტანა ეს სირცხვილი და ბარამს ქალის კაბა გაუგზავნა და სარდლობაც ჩამოართვა მას. ამიტომ ბარამმა აჯანყება მოაწყო და ტირანობა განიზრახა. მანაც, თავისი მხრით, წერილის საშუალებით გალანძღა

τὴν ἐπιστολὴν Ὁρμισδᾶ, τῆ ἑ-
γατρί Χοσρόου, ὁ Βαράμ ταῦτα
ἐπιστέλλει (de Boor 261,27
— 263,19).

ჰორმიზდა და მისწერა მას შემ-
დეგი წერილი: «ჰორმიზდას, ხოს-
როს ქალიშვილს, ბარამი უთვლის
შემდეგს...».

ირაკლი კეისრის ლაშქრობანი

დასაბამითგან ქვეყნისა განკაცებითგან ირაკლის მეფობის

614

614 (622)

13

Τούτῳ τῷ ἔτει μηνὶ Μαρτίῳ
ιε', ἰνδίκτιωνος ια', ἀπάρας ὁ
βασιλεὺς Ἡράκλειος τῆς βασιλι-
δος πόλεως κατὰ τάχος ἀφίκετο
εἰς Ἀρμενίαν. Χοσρόης δὲ ὁ
τῶν Περσῶν βασιλεὺς ἀπέστειλε
τὸν Σαρβαναζᾶν¹ σὺν τῷ ἑαυτοῦ
στρατῷ εἰσβαλεῖν εἰς τὴν Ἑ-
μαίλων γῆν. Ἡράκλειος δὲ ἔγρα-
ψε πρὸς Χοσρόην, ἣ τὴν εἰρήνην
ἀσπάσασθαι, ἣ ἑαυτὸν εἰς τὴν
Περσίδα σὺν τῷ ἑαυτοῦ στρατῷ
εἰσβαλεῖν. ὁ δὲ Χοσρόης οὕτε
τὴν εἰρήνην ἠσπάζετο, οὕτε τι
τῶν λόγων² ἠγείτο, ὅτι Ἡράκλειος
τολμᾷ τῇ Περσίδι πλησιάζει. ὁ
δὲ βασιλεὺς τῆ εἰκοστῇ τοῦ Ἀπ-
ριλλίου μηνὸς εἰσέβαλεν εἰς τὴν
Περσίδα, καὶ μαθὼν τοῦτο Χο-
ρόης τὸν Σαρβαναζᾶν ὑποστρέψαι
ἐκέλευσεν· καὶ ἐπισυναξάς³ ἐκ
πάσης τῆς Περσίδος τὰ ἑαυτοῦ
στρατεύματα, καὶ παραδοὺς αὐτὰ
τῷ Σάνῳ κατὰ τάχος ἐνωθῆναι

ამ წელს, მარტის თვის 15-ს,
მე-11 ონდიკტიონს, ირაკლი მეფე
გაემართა სატახტო ქალაქიდან და
სასწრაფოდ მივიდა არმენიაში.
სპარსელთა მეფემ ხოსრომ გააგ-
ზავნა სარვარაზა თავისი ჯარი-
თურთ და დაავალა შეჭრილიყო
რომაელთა ქვეყანაში. ირაკლიმ
მისწერა ხოსროს, ან ზავი მოით-
ხოვე ან ეხლავე მთელი ჩემი ჯა-
რით სპარსეთში შემოვიჭრებო.
ხოსრომ კი არც ზავი მოითხოვა,
არც ყურადღება მიაქცია იმ მუ-
ქარას, რომ ირაკლი სპარსეთს
მიადგებოდა. ირაკლი მეფე აპრი-
ლის თვის ოცს შეიჭრა სპარსეთში
და, ხოსრომ რომ გაიგო ეს, უბრ-
ძანა სარვარაზას უკან გაბრუნებუ-
ლიყო; მან მთელი სპარსეთიდან
შეჰყარა თავისი ჯარები, ჩააბარა
ისინი საინს, უბრძანა სასწრაფოდ
შეერთებოდა სარვარაზას, და ასე
გაელაშქრა მეფის წინააღმდეგ.
ირაკლიმ მოუხმო თავისი ჯარებს,

1) *Σαρβαναζᾶν g, Σαρβαναζᾶν h, Sarmanazan A n a s t.* (ქვემოთაც ასე-
თი ვარიანტებია).

2) *τῶν λόγων gh.*

3) *καὶ ἐπισυναξάς—προσέταξε* აკლია *em.*

αὐτὰ τῷ Σαρβαραζᾶν προσέτα-
 ξε· καὶ οὕτω χωρήσαι κατὰ τοῦ
 βασιλέως. Ἱεράκλειος δὲ προσ-
 καλεσάμενος τὸ ἐχούσιν στρατεύ-
 μα, λόγοις παραινετικοῖς διήγει-
 ρεν αὐτούς, λέγων· ἄνδρες, ἀδελ-
 φοί μου, λάβωμεν εἰς νοῦν τὸν
 τοῦ θεοῦ φόβον, καὶ ἀγωνισώ-
 μεθα τῇ τοῦ θεοῦ ἰβρίν ἐκδι-
 κῆσαι. στῶμεν γενναίως κατ' ἐχ-
 θρῶν τῶν πολλὰ δεινὰ χριστιαν-
 οῖς ἐργασαμένων. αἰδέσθωμεν
 τὸ τῶν Ῥωμαίων αὐτοθέσποτον
 κράτος, καὶ στῶμεν κατ' ἐχθρῶν
 δυσσεβῶς ἄπλισμένων. λάβωμεν
 πίστιν τῶν φόβων φορευέτριαν. ἀνα-
 λογιώμεθα ὅτι ἔνδον ἐσμὲν τῆς
 τῶν Περσῶν γῆς καὶ μέγαν¹ κίν-
 δυον φυγῆ φέρει. ἐκδικήσωμεν
 τὰς φθοράς τῶν παρθέτων, τὰ
 τετραμημένα μέλη τῶν στρατιωτῶν
 ἡμῶν ἑρῶντες πονήσωμεν τὰς
 καρδίας. οὐκ ἔστιν ἄμισθος ὁ
 κίνδυνος, ἀλλ' αἰωνίου ζωῆς πρό-
 ξενος· στῶμεν ἀνδρείως, καὶ κύ-
 ριος ὁ θεὸς συνεργήσει ἡμῖν, καὶ
 ὀλέσει τοὺς ἐχθρούς ἡμῶν“.
 ταῦτα δὲ καὶ ἄλλα πολλὰ τοῦ
 βασιλέως παραινέσαντος τῷ λαῷ,
 ἀπεκρίθη αὐτῷ εἰς ὑπὲρ πάντων·
 „ἠπλώσας ἡμῶν τὰς καρδίας, θέ-
 σπότη, τὸ σὺν πλατύναις ἐν πα-
 ραινέσει στόμα. ᾤξυναν οἱ λόγοι
 σοῦ τὰ ξίφη ἡμῶν, καὶ ἔμψυχα
 ταῦτα εἰργάσαντο ἀνεπτέρωσας
 ἡμᾶς διὰ τῶν ῥημάτων σου.

ქება შეასხა მათ და უთხრა: „მე-
 ზო, ვაჟკაცნო, ვიქონიოთ ღვთის
 შიში და ვიბრძოლოთ ღვთის შეუ-
 რაცხყოფისათვის საზღვევად. გუ-
 ლადად დავხვდეთ მტერს, რო-
 მელმაც მრავლი საშინელება
 დაატეხა თავს ქრისტიანებს. სირ-
 ცხვილისაგან დავიცვათ რომაელ-
 თა თავისუფალი სახელმწიფო,
 და მედგრად გავუმკლავდეთ
 მტერს,

რომელიც ურცხვად ჩამჯდარა ია-
 რალში. შევიარადღეთ რწმენით,
 რომელიც ყოველგვარი სიკვდილის
 დამთრგუნველია, გვახსოვდეს, რომ
 შიგ სპარსეთში ვიმყოფებით და დი-
 დი საფრთხე მოელის იმას, ვინც გაქ-
 ცევას გაბედავს. შური უნდა ვი-
 ძიოთ ქალწულთა გახრწნისათვის;
 ჩვენი ჯარისკაცების დაკოდილი
 სხეულების შემხედვართ გულები
 უნდა გვიკვდებოდეს. ჩვენი გამო-
 ვლილი საფრთხე დაუჯილდოვებ-
 ლი კი არ რჩება, არამედ ის საუ-
 კუნო დიდებას იხვეჭს. ვაჟკაცუ-
 რად მოვიქცეთ, უფალი ღმერთიც
 ჩვენი შემწე იქნება და ჩვენს
 მტრებს მოსპობს“. ასეთი და ბევ-
 რი სხვა სიტყვებით ამხნევებდა მე-
 ფე ხალხს; ხალხიდან წამოდგა
 ერთი კაცი და უპასუხა მას: „გულს
 მოგვეშვა, ბატონო, როგორც კი
 გააღე პირი ჩვენდა გასამხნევებ-
 ლად; შენმა სიტყვებმა გალესეს
 ჩვენი მახვილები და სული ჩაბე-
 რეს მათ; ფრთები შეგვასხხეს შენ-
 მა სიტყვებმა. ვწითლდებით სინ-

1) μέγαν] μέγα codd.

ἐρρυθριῶμεν σὲ θεωροῦντες, προά-
γοντα ἡμῶν ἐν ταῖς μάχαις, καὶ
ἐπόμεθα ἐν πάσι τοῖς σοῖς κελείσ-
μασιν“. ὁ δὲ βασιλεὺς ἀναλα-
βῶν τὸ στράτευμα, εὐθύς ἐν τῇ
ἐνδοτέρᾳ Περσίδι ἐχώρησεν, πυρὶ
καταφλέγων τὰς πόλεις¹ καὶ τὰς
κώμας· καὶ γίνεται τι θαῦμα
φοβερὸν. ἐν γὰρ τῇ φερινῇ τρο-
πῇ ἀήρ γέγονε ὀροσώδης, ψυχα-
γωγῶν τὸν τῶν Ῥωμαίων στρα-
τόν, ὥστε ἀγαθὰς ἐλπίδας ἀνα-
λαβεῖν αὐτοῦς.

Ἀκούσας δὲ Ἡράκλειος, ὅτι
Χοσρόης ἐν Γαζακῷ τῇ πόλει
ἐστὶν σὺν τεσσαράκοντα χιλιάσιν
ἀνδρῶν πολεμιστῶν, ὤρμησε
κατ' αὐτοῦ· καὶ προπέμφας τινὰς
τῶν ὑπ' αὐτὸν Σαρακηνῶν προ-
τρέχειν, συναντήσιν τῇ τοῦ Χοσ-
ρόου βίβλῃ, καὶ τούτων τοὺς μὲν
ἀνείλεν, τοὺς δὲ πεδήσαντες σὺν
τῷ στρατηγῷ αὐτῶν τῷ βασι-
λεῖ προσήνεγκαν. τοῦτο μαθὼν
Χοσρόης καταλιπὼν τὴν πόλιν
καὶ τὸ στράτευμα φυγῇ ἐχρή-
σατο. ὁ δὲ Ἡράκλειος ἐπιδιώξας,
τοὺς μὲν φθάσας² ἀνείλεν, οἱ δὲ
λοιποὶ φυγόντες διεσκεδάσθησαν·
καὶ καταλαβὼν ὁ βασιλεὺς τὴν
Γαζακῶν³ πόλιν (ἐν τοῖς ταύτης
προαστείσις⁴ ἀνελάμβανε τὸν στρα-
τόν αὐτοῦ. οἱ δὲ καταφυγόντες

ცხვილისაგან, რომ ვხედავთ, რომ
ბრძოლებში წინ მიგვიძღვები, და
ჩვენც ყველა შენ ბრძანებას და-
ვემორჩილებით“. მეფემ წაიყვანა
ჯარი და სწრაფად გადავიდა
შიდა სპარსეთში: ცეცხლში ხვევ-
და ქალაქებსა და სოფლებს. მოხ-
და საკვირველი სასწაული: ჰაჰა-
ნაქება ზაფხული იყო და ჰაერი
ისე გაიჟლინთა სისველით, რომ
რომაელთა ჯარს სული მოათქმე-
ვინა და კეთილი იმედები ჩაუხერ-
გა მათ.

ირაკლიმ გაიგო, ხოსრო ქალაქ
განძაკში არის ორმოცი ათასი
მეომრითურთო, და გაემართა მის
წინააღმდეგ. წინ გაუშვა დასახვე-
დრად რამდენიმე მის ხელქვე-
ვით მყოფი სარკინოზთაგანი; ისი-
ნი წააწყდნენ ხოსროს მცველ
რაზმს, ზოგიერთი ამ დარაჯთაგან
მოკლეს, ზოგიც შებორკეს და
მათი სარდლითაურთ მეფეს მოჰ-
გვარეს. ეს რომ გაიგო ხოსრომ,
დასტოვა ქალაქიც და ჯარიც და
გაიქცა. ირაკლი დაედევნა მათ:
ზოგიერთებს დაეწია და დახოცა,
ხოლო დანარჩენები გაიქცნენ და
დაიფანტნენ. ამის შემდეგ მეფე
რომ განძაკელთა ქალაქს იღებდა,
მან ქალაქის სანახებში მისი (ხო-
სროს) ჯარი ჩაიგდო ხელთ. მისკენ
გამოქცეული სპარსელები ამზობ-

1) πόλεις| χώρας ἤθ.

2) φθάσας აკლია m.

3) Γαζακῶν codd., Gazacensium A n a s t.

4) ἐν τοῖς ταύτης προαστείσις — τὴν πόλιν დამატებულია ან ა ს ტ ა ს ი ს

πρὸς αὐτὸν Πέρσαι ἔλεγον, ὅτι
 φυγὼν ὁ Χερσόης πυρὶ ἀνήλωσε
 πάντα τὰ λήγα ἐν ἐκείνοις τοῖς
 τόποις ἐλθὼν εἰς Θηβαρμαῖς
 τὴν πόλιν) ἐν τῇ ἀνατολῇ, ἐν ἣ
 ὑπῆρχεν ὁ ναὶς τοῦ Πυρὸς καὶ
 τὰ χρήματα Κροίσου τοῦ Λυδῶν
 βασιλέως, καὶ ἡ πλάνη τῶν ἀν-
 θράκων. ταῦτα λαβὼν ἐπὶ Δαστα-
 γερὸ ἐχώρει. ὁ δὲ βασιλεὺς ἀπά-
 ρας ἀπὸ Γαζακῶν¹ καταλαμβάνει
 τὴν Θηβαρμαῖς· καὶ εἰσελθὼν ἐν
 ταύτῃ πυρὶ ἀνήλωσε τὸν τοῦ Πυ-
 ρὸς ναὸν καὶ πᾶσαν τὴν πόλιν
 πυρὶ ἀναλώσας κατεδίωκεν ὀπίσω
 Χερσόου ἐν τοῖς στενοῖς τῆς τῶν
 Μήδων χώρας, καὶ ἐν ταύταις
 ταῖς δυσχωρίαις τόπον ἐκ τόπου
 ὁ Χερσόης ἤμειβεν· καὶ ὁ Ἡρά-
 κλειος τοῦτον διώκων πολλὰς πό-
 λεις ἐπόρθησε καὶ χώρας, χειμῶ-
 νος δὲ καταλαβόντος, βουλήν
 ἐποιεῖτο πρὸς παραχειμάσαι μετὰ
 τοῦ λαοῦ αὐτοῦ· καὶ οἱ μὲν ἔφα-
 σκον ἐν Ἀλβανίᾳ, οἱ δὲ κατ' αὐ-
 τὸν εἰσβαλεῖν τὸν Χερσόην. ὁ δὲ
 βασιλεὺς ἐκέλευσε τὸν λαὸν ἀγί-
 ζεσθαι τρεῖς ἡμέρας, καὶ ἀνοίξας
 τὰ τοῦ θεοῦ εὐαγγέλια εὗρεν
 ἐπιτρέποντα αὐτῷ ἐν Ἀλβανίᾳ πα-
 ραχειμάσαι. εὐθέως οὖν ἐπιτρέψας,
 ὤρμησεν ἐν Ἀλβανίᾳ. ἐν δὲ τῷ
 μεταξὺ τῆς ὁδοῦ ἔχων πολλὴν
 αἰχμαλωσίαν Περσῶν σὺν αὐτῷ
 οὐκ ὀλίγας ἐπιδρομὰς ὑπὸ τῶν
 Περσικῶν στρατευμάτων ἐδέχετο·

